

ბ მ ს გ ბ ე

თვიური ქურნალი

Վյլովիալո Ցյանց

N^o II

1903 թվական

Օգոստոս

ԿԱՐԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՎՐԱ ԱՐՄԵՆԻԱ

1903

Дозв. ценз. Тифлисъ, 20 Февраля, 1903 г.

შინააღმდე

88

I	დაზორებული. — (მოთხრობა) დუტუ მეგრელისა	1
II	ხენოი. — რუს - ფრანგულის (1877—1878 წ. (უკანასკნელ თმის დროის ისტორიული რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ეგანგულოვისა (გაგრძელება)	23
III	სამნი. — ბ. გორგისა, თარგმანი ი. პოლუმორდვინო- ვისა. (გაგრძელება)	77
IV	ჩართველთა მატიანი. — მოსე ჭანაშვილისა	1
V	უცხოეთის მიმოხილვა. — საფრანგეთი. — ქორესის სიტყვა	29
VI	დამატება. — საბერძნეთის ქველი ისტორია დასაუზი- სილან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. — ფრან- გულიდან ნათარგმნი ვ. ლ — ს	385—416

დაშორებული

1

— მზე გადახრილა; საკაა მატარებელიც შოვა, — სთქვა ედუკიმ, როცა, სამზარეულოდან გაძოსულმა, მზეს შეხედა და წავიდა აივნისკენ.

— რას შვრები, ნიკიფორე, არ მიღიხარ შესახვედრად? — ჰკითხა მან ქმარს, რომელიც ამ დროს სკამლობინზე წამოწოლილიყო და, წარბებ შეკრული, კერს მისჩერებოდა. — არ გესმის, კაცო? — ხმა აამაღლა ქალმა, როცა პასუხი ვერ მიიღო: მზე გადიხარა, საკაა მოვა მატარებელი.

— რა გინდა, რა? რას ჩამცივებიხარ? — შემოუტია. ნიკიფორემ.

— არ დახვდები სვიმონს? — ხმა მოტკბილებით ჰკითხა ახლა ედუკიმ.

— რაზე უნდა დავხვდე? რა დაჯილდოებული მოდის, რომ წინ მივეგებო და მშვიდობით მობრძანება მივულოცო? — წამოიძახა ნიკიფორემ, გაუყარა ქუსლებ ჩაკეცილ წულებში ფეხები და დააიწყო იქით-აქეთ აჩქარებით სიარული.

— რავა რაზე უნდა დახვდე? ამდენი ზანია შვილი არ გინახავს, — დაიწყო საყვედურით ქალმა.

— შვილი, თვარა ის რომ დაჩინონიკებული მოდის, — სთქვა ამოოხვრით ნიკიფორემ.

— რა ვუყოთ მერე? მარცხი ვის არ მოუვა? ამბობენ, სხვაც ბევრია დათხოვნილიო, — სთქვა ედუკიმ.

— იქნება, სხვებს მილიონები აქვსთ და შვილებს თავის შესაქცევად ასწავლიდნენ მხოლოდ, მე-კი უკანასკნელი ვენახი

დავაგირავე წელს, რომ სვიმონისთვის საჭირო ფული გამეგზავნა. ვფიქრობდი, ერთი წლის მეტი აღარ დარჩენია, ბარემ გაათავებს. სწავლას და მეშველება-მეთქი. ასე მეგონა, დაჩინონიკებული ჩამომივიღოდა და ის-კი გაუბედურებული მოდის! ხმა აუკანკალდა ნიკიფორეს და ცრემლით ავსებული თვალები ახალუხის სახელოთი მოიწმინდა. ედუკისაც აუცრემლიანდა თვალები და თავი დახარა, თითქო სვიმონის მაგიერ ის იყო დამნაშავე.

— არა, რაზე მოდის, რომ მოდის? — დაიწყო ისევ ნიკიფორემ: — რა პირით მოდის ჩემთან? ყელში დანა გამიყარა, დამკლა თავის ხელით, გამაუბედურა ცოლშვილიანა და, ვითომ აქ არაფერია, მწერს, მოვდივარო. რა უნდა, რომ მოდის?..

— ბერა, ნიკიფორე, რას ამბობ? აბა საღ უნდა წავიდეს? — გააწყვეტინა ცოლმა.

— საღაც უნდა, იქ წავიდეს! მოჯამავირედ დადგეს, ზურგზე კურტანი მოიკიდოს და იმუშავოს! მისი წონა ფული დამიხარჯავს და კიდევ ჩემთან მოდის სარჩენად? ან ღმერთს რას ეუბნება ის ჩემის ცოდვით სავსე და ან კაცს? მთელი ჩემი სატევრებელი იმას გადავალიე და რაღათი უნდა გამოვკვებო ცოლშვილი, როგორ-ლა უნდა გამოვზარდო დანარჩენი შვილები? განა საცოდავები არ არიან ეს, მარგალიტივით, ბავშვები, რომ იმის წყალობით უსწავლელები უნდა დარჩენ? ნიკიფორემ ხელი გაიწვდინა ოთხ პატარა ერთმანეთის მომდევნო ბავშვებისკენ, რომელნიც ამ ლაპარაკის დროს შეუმჩნევლად მოსულიყვნენ დედასთან. ედუკიმაც დახედა პატარებს და თავი ვეღარ შეიმაგრა: რამდენიმე ცვარი ცრემლი გადმოუგორდა. თვალოაგან. ჩამოვარდა გულის შემზარავი დუმილი, რომელიც, ვინ იცის, რამდენს ხანს გაგრძელდებოდა, რომ ამ დროს ხელიდან მატარებლის სტვენის ხმა არ მოსულიყო.

— მაშინა, მაშინა! დარძახეს ბავშვებმა და კიშკრისკენ გაიქცენ ხტუნვითა და კვირილით.

— ვაიმე, დალუბულო ცოლო და შვილო! ღრმა ამოონგრით წამოიძახა ნიკიფორემ და ჩამოჯდა სკამლოვინზე.

— წავიდეთ, ჭიშკართან მაინც დავხვდეთ! უთხრა წყნარად ცოლმა, მაგრამ ნიკიფორე, თითქო გაქვავებულაო, აღარ ინძრეოდა. ედუკი იდგა ცოტას ხანს და შემდეგ ნელის ნაბიჯით წავიდა ჭიშკრისკენ.

ნიკიფორე უყურებდა მიმავალ ცოლს და სახეზე თითქო კმაყოფილება ეხატებოდა. „დედინაცვალიო, იტყვიან“, ჰეიქ-რობდა ნიკიფორე: „ლვთის რისხვა აღამიანი დედინაცვალიც გამოვა და დედაც, კეთილი-კი ყოველთვის კეთილად დარჩება! მთელი ჩემი ქონება, რაც გამაჩნდა და ოვით მაგისი მზი თევიც-კი სვიმონს შევაჭამე... მე, მამას, ნაღველი მისივდება, როცა მოვიგონებ, რომ ამდენმა ხარჯმა უნაყოფოდ ჩამიარა და დედინაცვალი-კი საყვარელ საჭმელებს უმზადებს და სულ მის ფიქრშია, როგორ ასიამოვნოს, თითქო დიდად დასაჩუქრებული იყოს მისგან“. ასე ფიქრობდა ნიკიფორე, როცა ჭიშკართან მოძრაობა შეამჩნია: ბავშვები მხიარულის კიურინთ გადავიდნენ გადაღმა და გაიქცნენ; ედუკიც იქით წავიდა.

„ეტყობა, მოდის... წავალ, არ დავენახვები და საჭმელს მაინც არ დავამწარებ... მშიერი იქნება. ვინ იცის, რა ხანია ხეირიანად არც-კი გამაძლარა!“ გაიფიქრა ნიკიფორემ და სწორედ მაშინ, როცა ჭიშკარს მოუახლოვდნენ ყველანი, უკან გავიდა და ჭურის თავებისკენ წავიდა. შორს იმიტომ აღარ წასულა, რომ იცოდა, სვიმონისთვის ღვინო იქნებოდა ამოსალები და ქალებს იმ საქმეს არაფრისთვის არ ანდობდა.

შეიმალა ნიკიფორე ვაზის შეფუთნულ ტალავერში, რომელიც ჭურის თავებზე იყო გამართული და მარნის მაგიერობას ასრულებდა; ჩამოჯდა საწნეხელზე და დაიწყო თავის საფარიდან, სადაც მას ვერავინ ვერ დაინახავდა, სახლისკენ ურება. გავიდა რამდენიმე წამი და ედუკი და სვიმონი, რომელსაც სულ უმცროსი ძმა ხელში აეყვანა, ხოლო დანარჩენნი კალთებზე ებლაუჭებოდნენ და ეკოწიწებოდნენ, უკანა ღივანზე გამოვიდნენ.

— მამა სად არის? მოესმა ნიკიფორეს სვიმონის ხმა და გული აუძგერდა.—ძალიან გულ მოსულია ჩემზე?.. რა ვქნა,

ჩემი ბრძლი არ არის! მაღლობა ღმერს, რომ ასეც გადავრჩი
და შინ დავბრუნდი!

ნიკიფორეს ესმოდა სვიმონის ლაპარაკი; ხედავდა სვი-
მონს, რომელსაც სრულიადაც არ ეტყობოდა მწუხარება და,
პირ-იქით, ისე ეჭირა თვეი, თითქო საგმირო საქმე ჩაუდენია
და უველასაგან თანაგრძნობასა და პატივის ცემას ელისო. ეს-კი
მეტის-მეტი იყო უიმისოდაც ცეცხლ მოდებულ მამისთვის და
ნიკიფორეს მღელვარებასაც სამზღვარი აღარ ჭონდა.

— ნიკიფორე, ნიკიფორე!... — მოისმა ედუკის ხმა: — არა,
სად დაიკარგა ეს კაცი! ახლა აქ იყო, — წუწუნებდა საბრალო
ქალი და იხედებოდა აქეთ-იქით, უძახოდა ქმარს, მაგრამ ნიკი-
ფორე ხმას არ იღებდა და იყო თავის ადგილზე გულ-დამწვა-
რი, სულ შეწუხებული.

— მართა, შენ ვერ ამოიღებ ღვინოს? დაუძახა ედუკიმ
მზარეულ დედაკაცს, როცა იმედი გადაუწყდა.

— კი, ბატონო, სახარჯო ღვინოს ამოვიღებ, უპასუხა
მართამ.

— არა, კარგი ღვინო უნდა ამოვიღოთ, უთხრა ედუკიმ.

— კაის ვერ მოვხდო; ჩამივარდება რამე კურში და ბა-
ტონი მომკლავს, თქვა მართამ.

— წამოდი; მეც მოგეხმარები და ერთად მოგხადოთ რო-
გორმე! სვიმონს სახარჯო ღვინოს რავა დავალევინებ, წევე
გუშინ იყო თავის სახლში! თქვა ედუკიმ და შოკიდა დოქს
ხელი.

— რა ვქნა, მეშინია: ბატონი გაწყრება, დაიწყო ისევ
მართამ.

— წამო, დედა, მე ამოვიღებ ღვინოს! შენ ოღონდ მი-
თხარი, რომელი კურია მოსახდელი და, თუ გინდა, ერთიანად
ამოვთხრი მიწიდან, წამოიძახა სიცილით სვიმონმა, გამოართვა
დოქს ედუკის და უველანი გაემართნენ კურის თავებისკენ.

„რა დიდგულზეა? ერთიანად ამოთხრის!.. მისი ოფლით
მოწეულია თუ? იფიქრა ნიკიფორემ და აღარ იცოდა, რა ექნა,

რაღგან დამალვა აღარ შეიძლებოდა: საითაც უნდა წასულია ყო, დაინახავდენ.

ნიკიფორე არ მოელოდა, რომ სვიმონი მოსვლის უმალვე ჭურის თავებზე გაჩნდებოდა. ეგონა ღვინისთვის ან მართა მოვიდოდა, ან თვითონ ედუკი და ღვინოს ნიკიფორე ამოუღებდა. მეტი გზა არ იყო, უნდა იქვე დარჩენილიყო და გამოსჩენოდა შვილს. ნიკიფორემაც დაავლო ბარს ხელი და დაუწყო ჭურს ხდა.

— მამა! დაიძახა სვიმონმა, როცა ნიკიფორე დაინახა, და გაექანა მისკენ, მაგრამ უკანასკნელს არც კი მიუხედია შვილისკენ. სვიმონს ურუანტელმა დაუარა მთელს ტანში, როცა ნიკიფორე ასე შეწუხებული დაინახა, და აღარ იცოდა რა ექნა. იდგა ერთს ადგილზე, გაშეშებული, და თავი ძირს დაეხარა, როგორც მძიმე დანაშაულის ჩამდენს და მონანულს, მაგრამ გვიან-და იყო. რომ თავიდანვე შეწუხებული და შეკდემილი ენახა ნიკიფორეს, შეიძლება, ცველაფერი ეპატივებინა კიდეც, მაგრამ სვიმონი მხიარულად მოვიდა შინ, თითქმ საზაფხულოდ ჩამოსულა და სადარდო არა აქვს-რაო, და უამისოდაც ცეცხლ მოდებულ მამის გულს ნავთი დაესხა ზედ და აპრიალდა. აშკარა იყო, რომ მამა და შვილი ისე დაშორებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთმანეთის აღარაფერი გაეგებოდათ!...

II

როცა სახლში დაბრუნდნენ, ნახეს, რომ მართას გაეწყო კიდეც სვიმონისთვის სუფრა და საღვინე ჭიქას რეცხდა.

— ჭინჭილა, ჭინჭალა მოძებნე! სვიმონს ჭინჭილით უყვარს ღვინის სმა, უთხრა ედუკიმ და მართაც მაშინვე გაიქცა ჭინჭილის მოსატანალ.

— აბა, სვიმონ, დაბრძანდი და მიირთვი; ნამგზავრი ხარ, მოგშივდებოდა, მიუბრუნდა ედუკი სვიმონს, რომელიც ერთს ადგილზე იდგა და აღარ იძროდა.

— დაჯექი და ჭამე! ეგ გინდოდა და იყავი; ეგდე სახლში და ჭამე მჭარი, სანამ ისიც არ გამოვლევია შენის წყალობით, უთხრა ხმის კანკალით ნიკიფორებ.

სვიმონი მოუჯდა სუფრას, სახე გაფიროებული და არ იცოდა, რა ექნა. უცებ თვალი მოპკრა პატარა ბავშვებს, რომელნიც იქვე იდგნენ და ნდომის თვალით შესცექეროდნენ გაშლილს სუფრას. სვიმონმა მაშინვე მოტეხა ქათამს ფეხები, გატეხა აგრეთვე პატარა კეცის მჭადი ოთხად და ხორცი და მჭადი თითო-თითოდ ჩამოურიგა ბავშვებს.

— აჲ, აჲ, შენ ჭამე, გენაცვალე! მაგათ დილიდან სალამომდის გამოულევლად ხელში უკავიათ საჭმელი, თქვა ედუკიმ და ბავშვებს წართმევა დაუპირა, მაგრამ ისინი მაშინვე კარში გავარდნენ და თავს უშველეს.

ნიკიფორებ გააყოლა თვალი ბავშვებს და შუბლი შეეჭმუნა. ცხადი იყო, მოთმინების ფიალა გაიგსო და უნდა გადმოდენილიყო. გადმოდინდა კიდევც.

— არა, ბიჭო, შენი თავი გაიუბედურე, გაიუბედურე, მარა ჩვენ რაღას გვერჩოდი? თუ შენი თავი არ გებრალებოდა, ჩვენ მაინც რატომ აღარ შეგვიბრალე. რა ეშველება ამ ბავშებს? ხომ ყველა უსწავლელი უნდა დარჩეს და სწავლას ვინ-და სჩივის, თუ სიმშილით არ ამოძვრათ სული, რადგან სულსა და ხორცს შეა აღარაფერი გაგვაჩნია!.. ყველაფერი შენ გადაგატანე, რადგან მეგონა, კაცი გამოხვიდოდი და ჩემს მაგიერობას გაუწევდი ამ უბედურებს... არა, რად დაგვმართე მტრის გულის საჭმე, რად გაგვიყარე ყველას დანა კისერში?.. რაღა მაინც და მაინც იმ თავზე ხელალებულებში გაერიე და არეულობაში მიიღე მონაწილეობა... რა იყო, ვერ დაეტიე შენთვის?.. დააბოლოვა ნიკიფორემ ამ კითხვით.

— ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით; მხოლოდ ზოგიერთებმა გვიღალატეს და გაგვექცენ. რა გაეწყობა, თავის დღეში უმსხვევრპლოდ არა გაკეთებულა-რა. ყოველს შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა სჯობია იმათსას, ვინც გვიღალატეს და ათასი კაცის ფურთხის ღირსი შეიქნენ, მტკიცედ სთქვა სვიმონმა.

— ვის გილალატეს? ჰკითხა ნიკიფორემ და წარბები შეიკრა.

— ამხანაგებს, საზოგადო საქმეს...

— საზოგადო საქმეს თქვენ ულალატეთ, შვილო, იმათ-კი არა. ფურთხის ღირსი თქვენა ხართ და არა ისინი. ნეტავი მაჩვენა ის მადლიანის შვილები, რომ ყველას ხელები დავუკოცნო!

— რას ამბობ, მამა? მოლალატეს, იუდას უნდა დაუკოცნო ხელები? გააწყვეტინა მეტად აღელვებულმა სვიმონმა.

— გრჩუმდი! დაიღრიალა ნაკიფორემ: მოლალატე და იუდა, ისინი-კი არა, შენა ხარ: შენ გვილალატე ყველას, დედმამას, და-ძმათ, მთელს ქვეყანას!... ღმერთი მოგვითხავს აპის სამაგიეროს, შე უსინიდისოვ, უპატიოსნოვ!..

— მამა! საშინელის ხმით წამოიძახა მოთშინებიდან გამოსულმა სვიმონმა და წამოდგა უეხზე.— ამისთანა სიტყვები არც შენ გეკადრება და არც მე! შეეიძლია, მისაყვედურო, რომ იმედი გაგიცრუვე. საყვედურს მოვითმენ შენგან, როგორც მამისგან, რადგან მეტი არ გესმის და ვერ გაიგებ ჩემს მოქმედებას, ჩემის სინიდისისა და პატიოსნების შეხების ნებას-კი ვერ მოგცემ, მათ ვერ შეგაბლალვინებ...

— ხა, ხა, ხა! საზარლად გადაიხარხარა ნიკიფორემ, როცა სვიმონი შედგა.— გალახვასაც ხომ არ მიპირობ, რომ შეურაცხ-ყოფა მოგაყენე?.. შენი პატიოსნება თვითონ შენ შებლალე, რადგან დაივიწყე უმთავრესი მოვალეობა; მოვალეობა მშობლების წინაშე!

— ამაზე უფრო მძიმე მოვალეობაც აწევს კაცს; მოვალეობა საზოგადოებისა, მამულისა და თვით მთელის კაცობრიობის წინაშე, სთქვა სვიმონმა.

— სტყუი! დაიწყო გრძნობით ნიკიფორემ.— მარტო შენი თავი გვონია ნასწავლი?.. მეც ვიცი ცოტა რამე. მაში, ტყუილად ვიყავი იმდენს ხანს მონასტერში? ცხონებული დედა შენი რომ არ მომკვდარიყო, ახლა მღვდელი ვიქნებოდი. ღმერთმა ათი მცნება მოგვცა კანონად, ხოლო ამათში პირველი

ოთხი მცნება რომ ღვთის წინაშე მოჟალეობაზე ლაპარაკობს, მეხუთე დედ-მამის პატივისცემასა და სიყვარულს გვავალებს და მხოლოდ შემდეგი მცნებანი ამბობენ დანარჩენ მოვალეობებზე. დიახ, ჯერ ღმერთი, მერქ დედ-მამა და მხოლოდ შემდეგ სხვები!

— ეს ათის მცნებით, სთქვა სვიმონმა.

— სახარებაც სავსებით ეთანხმება ათს მცნებას ამაში... მაცხოვარმა გვიბრძანა ჯერ ღვთის სიყვარული და მერე მოყვისის, ხოლო მოყვასთა შორის, რასაკვირველია, პირველი აღგილი ისევ დედ-მამას უჭირავს, უთხრა ნიკიფორემ.

— მე რამდენჯერმე მითქამს შენთვის, რომ საღმრთო წერილზე შენთან ლაპარაკი არ შემიძლია-მეთქი, გარდა საღმრთო წერილისა სხვაც არის... დაიწყო სვიმონმა.

— არაფერი არ არის, არაფერი ზნეობრივ სწავლის შესახებ საზოგადოდ საღმრთო წერილზე და განსაკუთრებით სახარებაზე უკეთესი! გააწყვეტინა ნიკიფორემ.

— ახლა შენთან ლაპარაკი შეუძლებელია! სთქვა უცებ სვიმონმა, დაიხურა ქუდი და გავიდა გარედ.

— მტყუანი ხარ და იმიტომ! გატყდი მაინც, რომ მტყუანი ხარ და თავს ნუღარ მართლულობ! მიაძახა ნიკიფორემ.

— მე ცრულიადაც არა ვარ მტყუანი, რადგან არაფერი არ დამიშავებია და სინიღისი წმინდა მაქვს. ჩაილაპარაკა სვიმონმა და წავიდა.

— მით უარესი შენთვის! როცა შემცოდე ცოდვას არ ინანიებს, ორ წილად სცოდავს! — სთქვა ნიკიფორემ, მაგრამ სვიმონს ეს აღარ გაუგონია: ჩქარის ნაბიჯით მიღიოდა უკანა გადასაბიჯისკენ.

— რა იყო, ერთი ლუკმის შეჭმა მაინც გეცლია. მოუკვდა ჩემი თავი, მშიერი წავიდა, — უთხრა ედუკიზ ქმარს და, საშინლად შეწუხებულმა, დაიწყო სუფრის ლაგება.

III

ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყო ნიკიფორე, რომელიც სვიმონთან ლაპარაკს შემდეგ, დარეტიანებულივით; დადიოდა აივანზე, რომ უკურად გაიღო ჭიშკარი და ეზოში მამასახლისი და სოფლის მწერალი შემოვიდნენ.

„რაზე მოდიან?“ იფიქრა ნიკიფორემ: „იქნება, მიჩივლა ვინმემ, ან იქნება, ახალი გადასახადი შემოგვაწერეს კიდევ?“ სტუმრები ამოვიდნენ აივანზე და მიესალმნენ ნიკიფორეს. გაფითრებული ედუკიც გამოვიდა ოთახიდან და მდაბლად თავი დაუკრა მოსულებს.

— რისთვის გარჯილხართ? — დამნაშავის კილოთი მიმართა ნიკიფორემ მამასახლისს. მამასახლისმა მწერალს გადახედა; აშანაც ჩახველა, წელში გაიმართა, თითქო უნდა ყველას აგრძნობინოს თავისი ძლიერებაო, და გაღმოდგა წინ ცალი ფეხი.

— სვიმონი ჩამოვიდა? — იკითხა მან.

— სვიმონი?! — გაკვირვებით განიმეორა კითხვა ნიკიფორემ.

— ამ საღამოს მოვიდა; რავა, რა იყო? — შეშინებულმა დაუმატა და ვედრებით შეხედა მამასახლისს.

— არაფერი, მაინც და მაინც, — სთქვა მამასახლისმა და კვლავ გადახედა მწერალს.

— ჩვენ მოწერილობა მოგვივიდა, რომ პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი სვიმონ ნიკიფორეს ძე ძველშავიძე, რომელიც სტუდენტების არეულობაში მონაწილეობის მიღების გამო გამორიცხულია უნივერსტეტიდან, მოდის მამასთან და თვალ-ყური დაიჭირეთ, — წარმოსთქვა მწერალმა.

— დაიჭირეთო? — იკითხა აღელვებულმა ნიკიფორემ, რომელსაც ამ სიტყვის მეტი არაფერი გაუგონდა.

— დიახ, თვალ-ყური უნდა დავიჭიროთ სვიმონზე, რომ არსად დაიწყოს ვაგლახად სიარული, ან აქ არავინ მოვიდეს.

მასთან, — უპასუხა მწერალმა. ნიკიფორემ თავისუფლად ამოი-
სუნთქა.

— ჰო, — დაუმატა თავის მხრივ მამასახლისმა: — თვალ-ყური
უნდა ვადექნოთ სვიმონს და, თუ საღმე წავიდა, იმ წამს მთავ-
რობას შევატყობინოთ. სად არის ახლა?

— მგონი, დაიძინა; დაღალულია, — იცრუა ედუკიმ.

— ნახვა გინდათ? — იკითხა ნიკიფორემ.

— არა; მერეც მოვესტრებით; ნუ გააღვიძებთ, ნამგზავ-
რია, — სთქვა მამასახლისმა. ნიკიფორე დამშვიდდა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — გამოეთხოვა მამასახლისი
მასპინძლებს და წავიდა. მწერალიც უკან გაჰყეა.

— სად ეშმაკში წავიდა მაინც ის ჩემის ცოდვით სავსე? —
ჰკითხა ნიკიფორემ ცოლს, როცა მამასახლისი და მწერალი
ჭიშკარში გავიდნენ კიდეც. — აბა თუ ჩვენც ერთ ხათაბალს
არ გადაგვეიდოს,

— ლევანისას თუ წავიდა; სხვაგან სად წავიდოდა? უთ-
ხრა ედუკიმ.

— ჰმ! წავიდეს, თვარა მიართმევენ ნინუცას! ნაღვლია-
ნის ღიმილით დაიწყო ნიკიფორემ: — მიყვარს, მიყვარსო. შეი-
ყვაროს ახლა. როგორც-კი შეეტყო ლევანს სვიმონის ამბავი,
მაშინვე ეფრინა მაშუალები იქით-აქეთ. ჩვენს მღვდელს დის-
ტული ყოლია, რომელსაც ეს არის, სემინარია გაუთავებია და
ცოლს ეძებდა თურმე, რადგან ამას წინად მამა მოკვდომია და
მის ადგილზე უნდა დაინიშნოს. ლევანსაც, შეუტყია თუ არა
ეს ამბავი, დაუბარებია ის ყმაწვილი და ამ დღეებში ჯვარის
წერაც ექნება თურმე.

— რაც უნდა იყოს, სვიმონს მაინც ვერ აჯობებს ის ვი-
ლაც სემინარიელია. სად უნივერსტეტი და სად სემინარია?
სთქვა ედუკიმ.

— ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა ფეხი და სულ
დაღვარაო, ისე მოუვიდა ჩვენს სვიმონსაც — მიუგონიკიფორემ. —
ის ახლა აღარაფერი აღარ არის და სემინარიელი-კი არა, უბ-
რალო ოთხ კლასიანიც სჯობია. სამსახურში აღარ მიიღებენ.

და რად მინდა იმისთანა სწავლა, რომელიც გამოსაღევი აღარ არის? ეეჭ, მაინც ყველას ეხარბებოდა, ნიკიფორეს სტუდენტი შვილი ჰყავსო და ჰა, როგორ გაეხარდება ახლა ყველას ჩვენი გაუბედურება?..

ედუკიმ ვეღარაფერი ვეღარ უთხრა ქმარს და ჩამოვარდა დუმილი, რომელიც უორას ხანს შემდეგ ისევ ნიკიფორემ დაარღვია.

— წავალ, იქნება, ცხენი ვიშოვო საღმე. ზ—ში ჩავალ, ვნახავ მაზრის უფროსს და გამოვკითხავ, რა ვქა და როგორ მოვიქცე? სახუმრო საქმე არ არის! სთქვა: ნიკიფორემ, დაიხურა ქუდი და წავიდა.

დარჩა ედუკი მარტო და მწარე ფიქრებში გაერთო. „და-სწყევლოს ლმერთმა ეშმაკი! ფიქრობდა იგი!.. რავა ყველაფერი ასე უცებ გამოიცვალა; ამ ლევანს მაინც რა ეჩქარებოდა იმ გომბიოს გათხოვება? მოუკვდა ჩემი თავი, რა გუნებაზე იქნება ახლა სვიმონი მის შემდეგ, რაც აქ მოხდა და რასაც კიდევ ლევანისას შეიტყობდა? ოოჭ, ლმერთო, რატომ მომასწარი ამ დღეს? ჩემი სვიმონი იტანჯება, მე ვუყურებ მის ტანჯვას და შველა-კი არ შემიძლია!.. ედუკის მართლა გულით უყვარდა სვიმონი და თავისს საკუთარ შეილებში არ არჩევდა. მართალია, მასაც ბევრი იმედები გაუცრუვა სვიმონმა, მაგრამ მის მიმართ სიყვარული კიდევ უფრო გაუძლიერდა, რადგან ამ გრძნობას სიბრალულიც ზედ დაერთო და გააორკეცა.

I V

იქვე იდგა ედუკი, თვალებზე ცრემლ მომდგარი, როცა სვიმონის ფეხის ხმა მოესმა, და მაშინვე გაექანა მისკენ. „ლმერთო მომკალიკ კაცის ფერი აღარ დევს“, გაიფიქრა ედუკიმ სვიმონის დანახვაზე და თვითონაც გაფითო.

— სვიმონ, მობრძანდი, შენი ჭირიმე ცალკე თახში და მოისვენე!.. მე სამხარს მოგიტან და უორა შექამე რამე, თვარა არ ვარგა, დასუსტდები და ავად გახდები! — ამ სიტყვებით შე-

უძღვა ედუკი სვიმონს პატარა ოთახში, სადაც ყველაფერი მოეშზადებინა მისთვის, და საჭმელიც მაშინვე შეუტანა.

— შეჭამე, გენაცვალოს ედუკი, ორიოდე ლუკმა! — კვლავ უთხრა ტკბილად.

— გმადლობ, გმადლობ, ედუკი, რომ შენ მაინც არ შეგიცვლია გული ჩემზე და წინანდებურად გიყვარვარ,— უთხრა შეტის-მეტად დალონებულმა სვიმონმა დედინაცვალს:

— რას გიკეთებ მე უბედური?.. აბა, შენი ჭირიმე, შეჭამე რაც-ლა და მოისვენე!

— ვკამო?.. მართლა, უნდა ვჭამო: დილას აქეთ არაფერი მიჭამია, — სთქვა სვიმონმა და მოუჯდა სუფრას! — ქე-კი არ მშია, ძალით თუ ვკამ თვარა... რომ მოვედი, მაშინ კი ძალიან მინდოდა ჭამა, მაგრამ მერე ყველაფერი დამავიწყდა!

— მოგიცვდა ჩემი თავი! — უთხრა ედუკიმ და თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

სვიმონმა ჯერ უნდომრად მოკიდა ხელი საჭმელს, მაგრამ მერე სიმშილში თავისი მოითხოვა, მაღა გაეხსნა და გულიანად დაიწყო ჭამა. ედუკი მისჩერებოდა სიამოვნებით და ღვინოს უსხამდა. სვიმონმაც დალია რამდენიმე ჭიქა მშვენიერი ცოლი: კაურის ღვინო და სახეზე ფერი მოუვიდა.

— უჰ, მარჯვედ ვიყავი: მთელი დედალი გავათავე! — სთქვა ღიმილით სვიმონმა, როცა ჭამა გაათავა, და მადლობა გადაუხადა დედინაცვალს.

— აბა, ახლა მოისვენე, შვილო, დაღალული ხარ, და გულიც დაიმშვიდე!.. ღმერთია მოწყალე, ყველაფერი ისეჭ-გა-მოკეთდება, — უთხრა ბოლოს ედუკიმ და გაუშალა ქვეშაგები. — კარი, თუ გინდა, შიგნიდან ჩაიკეტე, რომ ბავშებმა არ გაალონ, — დაუმატა და გავიდა გარედ.

სვიმონმა მართლაც ჩაიკეტა კარი. და წამოწვა. „დაგელოცა ღმერთო, სამართალი!.. მამამ შემიძულა, საყვარელმა არსებამაც დამიკიწყა და მხოლოდ დედინაცვალს ვუყვარვარ და ვახსოვარ კიდევ!“ ფიქრობდა სვიმონი და მისჩერებოდა ჭერს,

სადაც უხილავი მხატვარი უხატავდა სხვა და სხვა სურათებს წარსულ ცხოვრებიდან.

აი, ხედავს სვიმონი მრეცხელ აღათიას ქოხს ქუთაისში, სადაც რამდენიმე წელიწადი გაატარა შეგირდობის დროს. აღათიას ქოხი სულ ოჭი ოთახისგან შესდგებოდა; ერთში ბავშები უდგა და სასტუმრო ოთახადაც ის მიაჩნდა დიასახლისს, ხოლო მეორეში თვითონ ცხოვრობდა და მუშაობდა კიდეც ზამთრობით, როცა გარედ რეცხა და უთოობა აღარ შეიძლებოდა. საშინელი ნოტიო, ბნელი, ბინძური და მყრალი იყო ორივე ოთახი და ხშირად ლაფი კოჭებამდის სწვდებოდა ბავშებს, რადგან, როცა შინ რეცხდა სარეცხს აღათია, ნარეცხ წყალსაც იქვე კუთხეში აქცევდა, საიდანაც პატარა თხრილი. მიღიოდა კარში, მაგრამ, რასაკვირველია, ერთად დასხმული წყალი შიგ არ ეტეოდა და იქით-აქეთ გადადიოდა. აი, ამ ბინაზე გაატარა სვიმონმა მთელი შვიდი წელიწადი, სანამ მეექვსე კლასში არ გადავიდა და გაკვეთილები არ იშოვა. ბედი მისი, რომ სწორედ მაშინ იშოვა გაკვეთილები, თვარა გიმნაზიას სულ უნდა გამოთხოვებოდა, რადგან იმ წელიწადში გიმნაზიის მთავრობამ აღათიას და მისთანაებს აღუკრძალა შეგირდების ბინის მიცემა, ხოლო რიგიან ბინაზე დასადგომად-კი კაი მალი ფული იყო საჭირო. უკანასკნელ კლასებში ყოფლნის დროს გვარიანად გაატარა ეს ცხოვრება სვიმონმა, თუმცა ამ ხნის განმავლობაშიაც ბევრი უსიამოვნება გამოუცდია, თუ უნიჭო შეგირდებისა და თუ უსინიდისო მშობლების წყალობით, რომელნიც ხშირად არ აძლევდნენ დაპირებულს გასამრჯელოს. ასე, თუ ისე გაათავა სვიმონმა გიმნაზია და ჩავიდა. №-ში, სადაც უნიჭერსტეტში შევიდა. „ნეტა იმ დროს!“ — ფიქრობს სვიმონი და თვალ წინ ეხატება სტუდენტობის პირველი წელიწადი. მართალია, იმედები არ გაუმართლდნენ, რადგან სულ სხვა ნიარად ჰქონდა, წარმოდგენილი უნივერსიტეტი და სტუდენტობა და საქმით-კი სულ სხვა დაუხვდა, მაგრამ მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგან გიმნაზიას გადარჩა. ნამეტურ იმ ზაფხულს, როცა პირველად დაბრუნდა შინ, რო-

გორც სტუდენტი, და ნინოსაც დაუახლოვდა, მის ნეტარებას სულ სამზღვარი აღარ ჰქონდა! ნინო წინადაც ხშირად ენახა სვიმონს, მაგრამ მაშინ პირველად იგრძნო აღგზნებული თავის გულში ის ციური ცეცხლი, რომელსაც სიყვარული ჰქვია. ნინო შვილი იყო ნიკიფორეზე კიდევ უფრო ღარიბ აზნაურისა და ქუთაისში ნათლიასთან სცხოვრობდა, რომლის შემწეობითაც გაათვა კიდეც ღარიბთათვის დაარსებული უფასო სკოლა. სვიმონს მოეწონა წყნარი, მშვიდობიანი, გულ - კეთილი და თან ეშხიანი 16-ის წლის ნინო და გადაწყვიტა უნივერსიტეტის გათავების შემდეგ მისი ცოლად შერთვა. ზაფხულის გასულს, როცა სვიმონი მოემზადა ხელ-ახლავ რუსეთში წასავლელად, გამოუცხადა ნინოს თავისი გულის პასუხი და, რასაკვირველია, ქალის მხრივაც დასტური მიიღო. ამ ნაირად პრობა მისცეს ერთმანეთს ქალ-ვაჟმა, რომ სამის წლის შემდეგ ცოლ-ქმარი გახდებოდნენ და, ბედნიერნი, გაშორონენ ერთმანეთს. ნინოს მშობლები ხომ ცას დაეწიენ სიხარულით, როცა ეს ამბავი შეიტყვეს; არც ნიკიფორე ყოფილა წინააღმდეგი, თუმცა მზითვიანი ქალი უნდოდა სვიმონისთვის და უმზითვო ნინოს, ცოტა არ იყოს, წუნობდა. დიახ, მაშინ ნიკიფორე წუნობდა ნინოს, რომლის მშობლებიც ამოყობლნენ სვიმონის სიძეობით, და ახლა-კი ამათ დაიწუნეს სვიმონი. კაცმა რომ სთქვას, არც გასამტკუნარნი არიან, რადგან იციან, რომ ნიკიფორეს ალარაფერი გააჩნია და, თუ სვიმონს დიპლომი აღარ ექმნება და სამსახურში ვეღარ შევა, ძალიან გაუჭირდებათ ცხოვრება. ამიტომაც იყო, რომ დააჩქარეს საქმე და გიდაწყვიტეს, მიეთხოვებინათ ნინო მღვდლის დისტულისთვის, რადგან ეშინოდათ სვიმონის და უნდოდათ, ბარემ მის ჩამოსვლამდის გაეთავებინათ საქმე. ნინომ ბევრი იტირა, როცა შეიტყო ყველაფერი, მაგრამ რაღაც გააწყობდა და დაემორჩილა ბედს.

როცა სვიმონი ამ საღამოს ლევანისას მივიდა, სასიძო იქ დახვდა. სვიმონმა თავის ყურს არ დაუჯერა, როცა ლევანმა პირდაპირ გააცნო ვიღაც ახმახი ახსლგაზდა, ჩემი ნინუცას საქმროაო, და ქალის ნახვა მოინდომა, მაგრამ ავად არისო,

უთხრეს და აღარ აჩვენეს. მეტი რაღა გზა იყო და სვიმონიც, გულ-შეწუხებული, წამოვიდა ლევანის სახლიდან...

v

დაღამდა და სვიმონიკი იმავე მდგომარეობაში იყო: იწვა პირალმა ლოგინზე და ფიქრობდა; ფიქრობდა თავისს მწარე წარსულზე, საშინელ აწმუნზე და კიდევ უფრო საშინელმომავალზე. უნივერსიტეტიდან გამორიცხეს, ოჯახი დაჰკარგა, საყვარელი არსებაც წაართვეს! მეტად დასჯილი შეიქნა, მეტად! მერე რისთვის? განა შეეძლო ისე არ მოქცეულიყო, როგორც მოიქცა? შეეძლო გაქცეოდა ამხანაგებს და მონაწილეობა არ მიეღო იმ საქმეში, რომლის სიმართლეშიც დარწმუნებული იყო? მაშ, რად დაისაჯა ასე საშინლად? ვთქვათ, უნივერსიტეტიდან დაითხოვეს იმიტომ, რომ არეულობაში მონაწილეობა მიიღო; ნიკიფორე გაუჯავრდა იმიტომ, რომ იმედი გაუცრუა და მაზე დახარჯულ ფულის დაბრუნებას აღარ ელის. მაგრამ ლევანი რაღას ერჩოდა? ნინო რაღაზე წაართვეს; ის ნინო, რომელთანაც სრულიად არავითარი დანაშაული არ მიუძლოდა? რად გასცვალეს იმ სემინარიელში, რომელიც ხე სავით აწოწვილა და ხესავითვე დამუნჯებულა? რითი სჯობია ის სვიმონს?

— „როგორ თუ რითი?.. იმითი, რომ ის სემინარიელია, დღეს, თუ ხვალ, ელვდლად ეკურთხება და ცხოვრებაში ადგილი ექნება; ლუკმა პური საზრუნავი არ ექნება და ქალის დარჩენა შეეძლება, შენ-კი აღარაფერი აღარ გააჩნია და არც იმედია, რომ ოდესმეც გექნეს რამე, რაღვან ცხოვრების მიმღინარეობას ჩამორჩი და ნაპირზე გაირიყე; შენ, სვიმონ ძველ-შავიძეს, კი არ გაძლევდა ლევანი ქალს, არამედ იმ დიპლომს, რომელიც უნდა გეშოვნა და რომლის შემწეობითაც სამსახურში შეხვიდოდი, მდგომარეობას გაიჩენდი. შენ უდიპლომოდ მხოლოდ ცხოვრებისაგან გარიყული გამოუსადეგარი არსება.

ხარ და მთელი შენი სიცოცხლეც მის ნაპირზე უნდა ეგდო!“ ეუბნებოდა რაღაც იღუმალი ხმა სვიმონს.

— „გარიყული, გარიყული!“ — წამოიძახა სვიმონმა: — „რა-და ვარ გარიყული? უნივერსიტეტი რომ კიდეც დამესრულებინა და, დიპლომი მიმქრო, სამსახურში მაინც არ შევიღოდი!.. მადლობა ღმერთს, ავადმყოფი არც მე ვიყავა და არც ნინო იყო, რომ შრომა არ შეგვძლებოდა. ჩვენც ჩვენის შრომით ვირჩენდით ჩვენს თავს და ეს კი უდიპლომოდაც შეგვეძლო... მე უნივერსიტეტში დიპლომისთვის სულაც არ შევსულვარ; მე მინდოდა მხოლოდა სწავლა მიმელო; გონება განმევითარებინა; განათლებულთა წრეში გავრევულვიყავი, ისინი გამეცნა... ყველა ამას მივაღწიე კიდეც და, თუ სრული განათლება არ მიმიღია, გზა ხომ გავიკვალე მისკენ და აწი თვითონაც შემი-ძლია, ეს გზა გავიარო უუნივერსიტეტოთ... მაშ, მე თუ კმა-ყოფილი ვარ ჩემის ხვედრისა, სხვას ვის რა უნდა? მე თუ არ ვნაღვლობ, რომ უნივერსიტეტიდან დამითხოვეს, სხვას ვის რა ენაღვლება?...“

— „როგორ თუ, ვის რა ენაღვლება?“ — გამოეკამათა იგივე ხმა სვიმონს: — „ნიკიფორეს ეგონა, რომ სამსახურში შეხვიდო-დი და ათასობით ჩაუჩხრიალებდი ჯამაგირის ფულს წელიწად-ში; იმიტომ გზრდიდა, იმიტომ ხარჯავდა შენზე მამაპაპეულ ქონებას, რომ ეგონა ას წილად დაუბრუნებდი უკან, თვარა რას დაექებდა ის შენს სწავლას, განვითარებას?.. დამნაშავე არც შენა ხარ და არც ის არის. დამნაშავეა მხოლოდ გარე-მოება, რომლის წყალობითაც თქვენ დაშორდით ერთმანეთს და ერთმანეთის აღარაფერი გეყურებათ. თქვენ სრულიად სხვა და სხვა მოსახრებით ხელმძღვანელობდით და ხელმძღვანე-ლობთ; სხვა-და სხვა მიზანს ემსახურებით! ნიკიფორეს უნდო-და, გესწავლა იმიტომ, რომ ფული გეშოვა, ცხოვრებაში კარ-გი ადგილი დაგეჭირა და შენთან ერთად თვითონ ისიც და მთელი მისი ოჯახიც დაწინაურებულიყო, შენ კი სწავლობდი იმიტომ, რომ შეგეგნო შენი მოვალეობა, როგორც ადამია-ნისა, და გცოდნოდა, როგორ გემსახურნა საზოგადოებისთვის,

სამშობლოსთვის, მთელის კაცობრიობისთვის! იმას უნდოდა შენი დიპლომი, შენ კი თვით სწავლა!...“

„— ოთვე, როდის დადგება ის სანეტარო დრო, როცა სწავლა სწავლისთვის იქნება მხოლოდ და არა იმ რაღაც ფარა-ტინისთვის, რომელსაც დიპლომი ჰქვია და რომელიც მეცნიერების ტაძარს პატენტთა დამრიგებელ დაწესებულებად ჰქმის?“ — წამოიძახა სვიმონმა.

„ „ქალიან გვიან და, სანამ ეს დრო არ დამდგარა, შენ ყოველთვის მტყუანი იქნები და ნიკიფორე მართალი“, — ჩა-ჩურჩულებდა იგივე ხმა: — „დიახ, შენ დღეს დამნაშავე ხარ მამიშენის წინაშე, რადგან სარგებლობდი მის უცოდინარობით და იმ ფულს, რომელსაც ის დიპლომის სასყიდლად გაძლევდა, სრულიად სხვა რამეზე ხარჯავდი!“

აქ მოაგონდა სვიმონს ერთი თავისი ამხანავი, რომელიც ლექციების ზეპირობის მეტს არაფერს აკეთებდა უნივერსიტეტში და არც არეულობაში მიუღია მონაწილეობა.

„ „აი, იმ ყმაწვილს თუ მამა ჰყავს, ბედნიერი იქნება, რადგან მამისა და შვილის სურვილი ერთი და იგივეა: ორი-ვეს დიპლობი უნდა, ორივეს ერთი მიზანი აქვს“, ეუბნებოდა სვიმონს იგივე ხმა: „ „შენ-კი დამნაშავე ხარ, რადგან ატყუებდი მამას და სარგებლობდი იმ ფულით, რომელიც შენ არ გეკუ-თვნოდა, არამედ მხოლოდ იმიტომ გქონდა მობარებული, რომ გაეზარდა და სარგებლით დაგებრუნებინა ოჯახისთვის. დიახ, შენ ისეთივე დამნაშავე ხარ, როგორც, მაგალითად, მებანკე, რომელიც ფულს სტყუებს საზოგადოებას და ერთ მშვენიერ დღეს იმიანა ჰქრება, ან ხარჯავს თავის მოთხოვნილებათა დასა-კმაყოფილებლად და, როცა მოჰკითხავენ, თავს გაკოტრებუ-ლად აცხედებს და აღარავის აღარაფერს არ აძლევს!“

თითქო ამ სიტყვების დასასურათებლად მოაგონდა. სვი-მონს ერთი ამ ნაირი შემთხვევა, რომელიც მის დროს მოხდა №.-ში. და რომლის მზგავსიც ხშირადა ჰქდება ყოველ დიდ ქა-ლაქში დღეს, როცა ფული და ფულთან ერთად თვით სინი-დისი და პატიოსნებაც ბირჟაზე გამოუტანიათ. და გახურებუ-

ლი ვაჭრობაა, ან, უკედ რომ ვ' თქვათ, ცარცუა-რბევაა. ვალაცას საბანკო კანტორა გაეხსნა, მოეყარა ფულისთვის თავი და... შშვიდობით, საღლაც გამჭრალიყო. სვიმონს შესვდა გავლა იმ ქუჩაზე, რომელზედაც ეს საბანკო კანტორა იყო გახსნილი სწორედ იმ დღეს, როცა მისი გაკოტრების და უმთავრეს მებანკის გაპარვის ამბავი მოედვა ქალაქს. ოჯ, რა შემაძრწუნებელი სურათი ნახა მაშინ სვიმონმა! ათასი კაცი და ქალი შემოხვეოდა დაკეტილ და პოლიციისაგან დაბეჭდილ კანტორას და გაისმოდა ტირილი და წყევლა-კრულვა. „რუდა, მოლალტე, უსინიდისო, უპატიონსნო!“ გაისმოდა გარშემო სწორედ იგივე სიტყვები, რა სიტყვებიც დღეს უთხრა თვითონ სვიმონს მამამ. წარმოუდგა სვიმონს თვალ წინ ეს ამბავი და ახლა-კი იგრძნო თავის-დანაშაული მამის წინაშე; იგრძნო და მის ტანჯვას სამზღვარი აღარა ჰქონდა, რადგან არამც თუ გამოსყიდვა არ შეეძლო თავისის დანაშაულისა, უბრალო მონანებაც, სიტყვით აღსარებაც-კი არ შეეძლო მისი: სვიმონმა, რაც მოიმოქმედა, მოიმოქმედა თავისის სინიდისის თანახმად და კვლავაც არ შეუძლია სხვანაირად მოქცევა.

v1

ამისთანა ფიქრებით გარემოცულს მიეძინა ბოლოს სვიმონს და რამდენსამე ხანს მკვდარივით ეგდო. შემდეგ საშინელმა კარზე ბრახა-ბრუხმა გამოაღვიძა. პირველად ვერ მოვიდა გონზე, რადგან ოთახში ბნელოდა და არ იცოდა, სად იყო, მაგრამ შემდეგ მოაგონდა ყველაფერი და სული განაბა; იფიქრა, ხმას არ გავცემ და, ვილაცა არახუნებს, თავს დამანებებსო, მაგრამ ბრახა-ბრუხს ყვირილიც მოჰყვა.

— სვიმონ, სვიმონ! ხმა მაღლა უყვიროდა ნიკიფორე და და თან, რაც შეეძლო, კარებს უბრახუნებდა.

— ძინავს; ღალალულია... დაგენებებია ამაღამ თავი; ხვალ ვერ მოასწორებდი ღაპარაკს? მოესმა სვიმონს ედუკის წყნარი ხმა, მაგრამ ნიკიფორემ ყურადღება არ მიაქცია ამ სიტყვებს

და კიდევ უფრო მოუმატა ბრახა-ბრუხს, მეტი გზა აღარ იყო და სვიმონიც აღგა და გააღო კარები. ოთახში შემოვიდა ნიკიფორე სანთლით ხელში.

— ისე როგორ დაგეძინა, რომ ამდენს ხანს ვერ გაიგე ჩემი ძახილი? უთხრა საყვედურით სვიმონს, დადგა სანთელი და ჩამოჯდა ტახტზედ. სვიმონს ხმა არ გაუცია.

— გითხრა ედუკიმ, რომ ამ საღამოს მამასახლისი და მწერალი იყვენ აქ შენ შესახებ? ჰკითხა სვიმონს ნიკიფორემ.

— არა. იყო პასუხი.

— მოწერილობა მოსვლიათ, რომ შენ თვალყური გადევნონ... ამის შემდეგ ფეხი აღარსაღ გადაადგა, იცოდე, ეზოდან! მე ხვალ დილით აღრე ზ-ში მივდივარ, რომ დაწვრილებით შევიტყო ყველაფერი და ახლა იმიტომ გაგაღვიძე, რომ გითხრა შენებურად არ დაიწყო სოფელ-სოფელ ხეტიალი, უთხრა ნიკიფორემ.

— სასეირნოდაც არ შემიძლია ტყეში წასვლა? დამცინა-ჭის ლიმილით ჰკითხა სვიმონმა.

— ირა, მტკიცედ უპასუხა ნიკიფორემ.

— არც ტყეში? განიმეორა კითხვა სვიმონმა.

— არც ტყეში და არც მინდორში! გაანჩხლდა ნიკიფორე.

— აბა, სულ სახლში რა გამაძლებინებს?.. დაიწყო სვიმონმა.

— დაჭერილი რომ იყავი, როგორ სძლებდი სატუსაღოში? თანდათან გული შოსდიოდა ნიკიფორეს.

— ახლა ხომ დაჭერილი აღარა ვარ და სწორედ არ შემიძლია ტყვესავით ყოფნა. მამასახლისმა და მწერალმა რა იციან, რა მოწერილობა მოუვიდათ?..

— ბიჭო, ბიჭო,—გააწყვეტინა მეტის-მეტად აღელვებულმა ნიკიფორემ:— ხომ ხედავ ამ თეთრ თმას? ორმოცდა ათი წლის კაცი ვარ... სულ ნუ ჩამამწარებ სიბერეს!... ჩახვდი ჭკუაში!.. შეიკდიმე და ღმერთიც გაპატივებს და კაციც დანაშაულს!.. თუ რიგიანი ყოფა-ჭცევით იქნები, შევეხვეწები

შაზრის უფროსს, რომელიც დიდი მწყალობელია ჩემისთანაც გაჭირვებულების, რომ სამსახურში მიგიღოს. ოთხ კლასიანები არიან ჩინონიკები, ზოგი მდივანია, ზოგი სტოლის უფროსი და შენ მწერლობა მაინც აღარ გეკადრება?.. ო, ბიჭო, თვალ ცრემლიანი გევედრები, ნუ დაიღუპავ სულ შენს თავს და ნურც ჩვენ დაგვლუპავ, ამდენ სულს!.. შენი თავი თუ აღარ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიბრალე! კაცობრიობას, მთელ ქვეყანას უნდა ვემსახუროო, რომ იძახი, განა ჩვენზე უფრო გაჭირვებული კიდევ იქნება გინმე? მე რომ რამე დამეგმართოს, ჩემმა ცოლ-შვილმა მათხოვრობა უნდა დაიწყონ, თუმცა ცოცხალსაც რაღა შემიძლია? გისად მჭადიც აღარ მოგვივა სამყოფი, მჭადიც!.. მე სულ ვაკეთებას მოველოდი შენგან და სულ ნუ წაგვაზდენ, ბიჭო!.. — აქ ცრემლი ყელში მოებჯინა ნიკიფორეს და ხმა ჩაუწყდა; მხოლოდ მწარედ ქვითინებდა, გულ-ამომჯდარ ბავშვით, თან ცრემლი ლაპა-ლუპით მოსცვიოდა თვალთაგან და უსველებდა დანაოჭებულს სახეს, თეთრ წვერ-ულვაშს.

სვიმონი არ მოელოდა ამას; პირველად ხედავდა ნიკიფორეს ატირებულს, მის წინ ქედმოხრილს, დამცირებულს, მთხოვნელს. უიმისოდაც მეტად აღელვებული ახალგაზდა კიდევ უფრო ააღელვა ამ საშინელმა სურათმა; თავი ვეღარ შეიმაგრა და გულაჩქროლებულმა თვითონაც ტირილი დაიწყო. ცოტა კიდევ და სვიმონი სრულიად იძლეოდა, რადგან მზად იყო, ფეხ-ქვეშ ჩავარდნოდა მტირალ მამას, უარ ეყო თავისი რწმენა და შენდობა გამოეთხოვა; პირობა მიეცა, რომ დღეიდან სრული მისი მონა-მორჩილი იქნებოდა. რომ თანახმა იყო, თუნდა ახლავე გაყოლოდა მაზრის უფროსთან და უბრალო გადამწერლის ადგილიც კი მიეღო, ოღონდ ნიკიფორე დაეკმაყოფილებინა, ოღონდ იმის ტირილისთვის აღარ ეყურებინა. საშინელი წამი იყო ეს წამი სვიმონისთვის! ყოფნა, თუ არ ყოფნა; სიცოცხლე, თუ სიკვდილი, სიკვდილი ზნეობრივი, აი, რა უნდა გადაეწყვიტა მაშინ! მაგრამ, საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ნიკიფორე დიდ ხანს აღარ ყოფილა იმისთანა საცოდავ მდგო-

მარეობაში, რომელიც ასე მოქმედებდა სვიმონზე. სვიმონი სტირის; სვიმონს ებრალება ნიკიფორე! მაშ, ის იძლია და დაუბრუჩდა მამას და ნიკიფორეც გახარებული წამოდგა ზეზე.

— ჭბა, ჰე, შენ იცი, შვილო, თუ პატივს სცემ ჩემს თხოვნას! — უთხრა მან და თვალების წმენდით გავიდა გარედა გავიდა ღა ამით წააგო კიდეც ბრძოლა, წააგო საუკუნოდ, რადგან სვემონმა ვერ მოასწრო გრძნობის დამორჩილება სავ-სებით და ტრული დამარცხება.

— ოოჭ, ღმერთო, რა ვქნა? — დაიღრიალა საშინელის წმით, როცა მარტოდ დარჩა და ჩქარის ნაბიჯით დაიწყო სია-რული. დიდხანს იარა სვიმონმა, თავჩაღუნულმა, თითქო რა-ლაც დაკარგვია და ეძებსო, და შემდეგ უცემ შედგა, სახე-გაბრწყინვებული. „ჰო, ჰო!“ მტკიცედ წამოიძახა მან და მიირ-ჩინა მაგიდასთან. „ისევ იქ; იქ, თბილისში, სადაც ამხანაგი მაინც ბევრი მეყოლება!.. აქ ჩემი დარჩენა შეუძლებელია!.. იქ, იქ, დიდ ქალაქში!“ იძახოდა სვიმონი და ეძებდა ქალალდა და საწერ-კალამს. აი, იპოვა კიდეც ყველათერი, მოუჯდა მა-გიდას და დაიწყო აჩქარებით წერა. რამდენსამე წუთში დას-წერა კიდეც თაბახის მეოთხედი და მოჰყვა ხმა-მაღლა კითხვას.

„ძვირფასო მამა; — კითხულობდა სვიმონი: — გსწუხვარ, რომ ასე საშინლად შეგაწუხე, დაგრანჯე, მაგრამ რა ვქნა? ჩვენ ისე ძლიერ დავშორებივართ ერთმანეთს, რომ ერთმანე-თის აღარაფერი გვეყურება და ის, რაც შენ მიგაჩნია სიკეთედ, მე სისაძაგლედ მიმაჩნია, ხოლო ის, რასაც მე ვთვლი კეთი-ლად, შენთვის ავია, ბოროტია! ორივე მართალი ვართ ჩვენებურად, რადგან ორივეს სხვა-და-სხვა თვალ-ხედვის ისარი გვაქვს... ვინ არის დამნაშავე?.. არც შენ და არც მე, თუმცა ესეც-კია, რომ ბავშობისას, როცა მე ცელქობაზე მეჭირა თვალი და ვზარმაცობდი შენ სულ იმას ჩამჩიჩინებდი, იკით-ხე, იკითხეო და ამ კითხვამ-კი სულ სხვაგან მიმიკვანა და არა იქ, სადაც შენ გინდოდა!... ყოველს შემთხვევაში მე მოვა-ლედ ვრაცხ ჩემს თავს, შეძლებისა დაგვარად, გადაგიხადო, რაც ჩემზე დაგიხარჯავს და ვეცდები კიდეც. მხოლოდ აქ ჩემი

დარჩენა შეუძლებელია. მე ამაღამვე მივდივარ თბილისში, სა-
დაც ვიშოვი რამე შესაფერ საქმეს (პოლიციაში სამსახური - კუ-
არაფრისთვის არ შემიძლია) და, რაც დღიურ ხარჯს გადამრ-
ჩება, ყველას შენ გამოგიგზავნი... თუ მივაღწიე საწადელს,
ხომ კარგი და, თუ არა, რა გაეწყობა? უბედურება ვის არ
მოსვლია და შენც ისე იფიქრე, რომ მოგიკვდა მაწიფული
შვილი. შენ ხომ გიყვარს საღმრთო წერილის კითხა? მოიგო-
ნე ხოლმე მრავალ ტანჯული იობი, და თავი იმით ინუგეშე,
რომ უარესიც შესაძლებელია!.. მაში, მშვიდობით... მამა-
სახლისს უთხარი, რომ მე თბილისში წავედი, სადაც ცხოვრე-
ბის ნება დართული მაქვს და საღაც მაზედ უკეთესად მადევ-
ნებენ თვალ-ყურს... შენი იმედების გამცრუებელი და გამა-
უბედურებელი, თვით უბედური, თანამედროვე ცხოვრებისა-
გან გარიყული სვიმონი!“

წაიკითხა წერილი სვიმონმა; დადგა თვალსაჩინო აღგილ-
ზე და დაიწყო ცდა, როდის მიწყნარღებოდა ფეხის ხმა, რომ
გაპარულიყო სახლიდან და ამაღამისავე მატარებელს გაჰყო-
ლოდა თბილისს. დიდხანსაც აღარ დასჭირვებია ცდა, რადგან
ხმაურობა მაღე სრულიად მიწყდა და მაშინვე, როგორც - კუ-
შეამჩნია, ახლა სწორედ ყველასა სძინავს და ვერავინ შეიტ-
ყობს ჩემს წასვლასო, დაიკავა ხელში თავისი პატარა ჩემოდანი
და გასწია რკინის გზის საღვეურისაკვნ...“

დუტუ მეგრელი.

ხ ე ნ ი ი ი *)

რუს-ოსმალოს (1877—1878 წ.) უქანასკნელ ოშის
დროის ისტორიული რომანი

რ ა ვ ვ ი ს პ

(თარგმანი სომხურიდან)

xxxx

ზულო რომ შინ შებრუნდა, სტუმრები იმავე მდგომარეობაში იყვნენ: ჯერაც ისევ სმას განაგრძობდნენ. ტერტერას რაღაც სიმღერა დაეწყო და ჩქარ-ჩქარა ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა, სიმონა დაკვანი ხრინწიანი ხმით ბანს ეუბნებოდა, ეფენდი-კი ცხვირში რაღაცას დუღუნებდა. მათს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ან რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ მხიარულათ? იმათ რა, რომ მეზობლის სახლში საშინელი ამბები ხდებოდა? ზულომ იფიქრა, მოდი ყველაფერს შევატყობინებ, იქნება უბედურთ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ; ამიტომ მღვდელს მიუახლოვდა და ყველაფერი ყურში უთხრა, რაც მეზობლის სახლში ენახა თუ მოესმინა. მხოლოთ ის-კი არ უთხრა, რომ სარა და სტეფანიკა თავიანთ საბძელში ჰყვანდა დამალული. რაღაც ფარულმა გრძნობამ თუ ძალაშიაგონა, რომ უკანასკნელი გარემოება არ განეცხადებინა.

სომხის დედაკაცის ჩვეულებისამებრ ზულო სტუმრებთან ხმას არ იღებდა, ამიტომაც ტერტერას ყველაფერი ისეთი ჩუმი ხმით გარდასცა, რომ დანარჩენებს არა გაუგიათ-რა. მხო-

*) იხ. „მოამბის“ 1-ლი №-ზი 1903 წ.

ლოთ როდესაც მღვდლის არეული სახე და აღელვება შენი-
შნეს, მოუთმენლათ შეეკითხნენ:

— რა ამბავია?

— ოჰ, ეგ მხეცები, მხეცები!.. შეჰყვირა მღვდელმა და ხე-
ლები მალლა აღაპყრო, — თორმეტი მოციქულისა და სამას სა-
მოცდა სამი მოწამის რისხვა იყოს თქვენზე, თქვე ჯოჯოხე-
თის კერძნო!..

— რა ამბავია? გაიმეორა ეფენდიშ.

ტერტერამ ყველაფერი უამბო, რაც ზულოსგან მოესმინა,
და სთხოვა, რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინა.

არიან ადამიანები, რომელნიც რაიმე შიშისა, უბედურე-
ბისა და სხვაზე მოსულ განსაკრელის დროს იმის ნაცვლათ,
რომ დახსნისა და შველის საშუალებაზე იფიქრონ, სწრაფი
დახმარება აღმოეჩინონ, — უბედურობის მიზეზის გამოჩხრეკას
შეუდგებიან და თავიანთ მოვალეობას შესრულებულათა სთვ-
ლიან, თუ-კი დანაშაულობის მცირე ჩაპერტყალსაც არის აღ-
მოაჩენენ. რასაკვირველია, ეს ადამიანის შეხედულობასა და
შეგნებულობაზეა დამოკიდებული. ეფენდი მომხდარ ამბავს
არა თუ უსამართლოთა და უპატიოსნოთა არ სთვლიდა, არამედ
კიდეც ამართლებდა, როგორც იმ გვარი მიზეზის შედეგს, რო-
მელიც კიცხვის ღირსათ მიაჩნდა. ამიტომაც იკითხა:

— ერთი ეს მითხარი, მამაო, განა. გიუი-კი იზამდა იმ სა-
ქმეს, რაც მოხუცმა ჩაიდინა? სახლში იმისთანა საეჭვო პირებს
აძლევდა ბინას, რომელნიც სხვა-და-სხვა სისულელების ქადა-
გებით გლეხებს გონებას აცლიდნენ!

— სისულელეა, დიდი სისულელეა! მიუგო მღვდელმა; —
მაგრამ საბრალო გლეხებმა რა დაშავეს, რომ ორიოდე ხენ-
თის (სულელის) მიზეზით ოსმალები ცეცხლითა და მახვილი-
თა სჯიან? ჩვენი მეზობელი ზაქო ისეთი საბრალო ვინმეა,
ისეთი მშიშარაა, რომ თავისი აჩრდილისაც-კი ეშინია, აბა
იმას რაღათ სტანჯავენ? ოჯახს რათ უწიოკებენ? ეს რა შეუ-
ბრალებლობაა, თქვენი ჭირიმეთ!..

— „ხმელ ფიჩთან ერთად ნედლსაც რომ წაუკიდო, ისიც დაიწვებაო“ ნათქვამია. ქვეყნის წესი ასეთია, მამაო! ნედლი და ხმელი ვის გაურჩევია?.. მიუგო თავისი ბრძნული სიტყვებით გაოცებულმა ეფენდიმ. — ღმერთი რომ ქვეყანას რაიმე სასჯელს უგზავნის, ცოდვილ მოხუცთან ერთათ უმანკო ბავშვიც ისჯება, კეთილი და ბოროტი ერთმანეთში ირევა... რომელიმე მთავრობის ჯავრის ამოყრის დროსაც სჭორეთ ასევე ხდება, როდესაც-კი რომელიმე საზოგადოების ანუ ხალხის დასჯას მოისურვებს ხოლმე... ამიტომ გეუბნები, მამაო, გლეხები დაზარალდებიან, ძალიან დაზარალდებიან... 

მღვდელი შეყოყმანდა, პასუხი ვერა მოახერხა-რა, რადგან შფენდის მიერ მოყვანილი შაგალითი ძლიერ მძლავრათ მიაჩნდა. ხოლებისა და უამის დროს რომ ხალხი ცოდვებისა გამოისჯება, განა მაშინ ცოდვილსა და უცოდველს რაიმე გარჩევა ეძლევა? — ნედლიც ხმელთან ერთათ იწვებაო... ჰყიქრობდა ტერტერა. მეზობელი ზაქო მთლათ გადავიწყდა, რადგან ეფენდის უკანასკმელმა სიტყვებმა ისეთი რამ გაახსენა, რაც უფრო მეტის ყურალდების ლირსათ მიაჩნდა ამიტომ ეფენდის მიმართა:

— ყოველი გლეხის სახლი რომ შართლა ისე დაარბიონ, როგორც მოხუცი ხაჩოს სახლს არბევდნენ, მაშინ ჩემი ნისიერ ბი ხომ სულ დაიკარგება?..

— მაგის დარდი ნუ გაქვთ, მამაო, — მიუგო ეფენდიმ, — ხვალვე მთელს შევაკრებინებ. თქვენ მხოლოთ ეს მითხარით, მამაო, ხაჩო რომ ასე ისჯება, განა თავის ბრალი არ არის?

ხაჩოს ოჯახის უბედურებამ მთელი სოფლის ყურალდება მიიქცია; თუმცა საქმის გარემოება დაწვრილებით არ იცოდა, მაგრამ მაინც სულ ხაჩოს ამტყუნებდა. „ვინ სომეხი და ვინ იარალიო?“ გაიძახოდა სოფელი, „ბავშვს რომ ხელში ცეცხლი მისცე, ჯერ თითონ დაიწვავს თითსაო“... ხალხის ამ გვარ შეხედულობის ფარგალს არც თუ მღვდლის აზრი სცილდებოდა. ეფენდის უპასუხა:

— ერთი ამბავი ვიცი, შვილო; როდესაც ურიები უფალი ჩვენი იესო ქრისტეს დასაჭერათ მივიღნენ, პეტრე მოციქულ-

შა ხმალი გაიძრო, მღვდელ-მთავრის შსახურს, მალქოსას, მოუკნია და ყური მოჰკვეთა, ეს რომ იქსო ქრისტემ იხილა, პეტრე მოციქული დატუქსა და უბრძანა, რომ ხმალი ჩაეგრძალდან ხმლ ს მხარებელს ხმალივე დაღუპავსო. ჩვენი მაცხოვრის დარიგება არ უნდა დავივიწყოთ, თუ არ გვინდა, რომ მისი სარწმუნოების მოღალატეთ ვიწოდებოდეთ.

— ყოჩალ, მამაო, სახარების სიტყვები ჩინებულათ შეგიგნიათ.—მიუგო ეფენდიმ და თან შეეკითხა:—დუდუქჩიანი რომ რვეულებს არიგებდა, წაგიკითხავთ?

— როგორ არა; ერთი ცალი სიმონა დიაკვანს ჩავარდნოდა ხელში, მოიტანა, ვიკითხეთ, ბევრი ვიკითხეთ, მაგრამ ვერა გავიგეთ-რა. ვამბობ: მამაცხონებულნო, თუ სწერთ, რაგიანი რამ დასწერეთ, რომ ჰამსულს არგოს, ჰამ ხორცს, თანაც მკითხველმა ცოდვები მოინანიოს; ამისთანა ფუქსავატ საგნებზე წერა ვის რა სარგებლობას მოუტანს მეთქი. — სიმონა დიაკვანო, შენც ხოს წაიკითხე, მართალს არ ვამბობ?

— კეშმარიტებაა, მეც სრულიათ არ მომეწონა; — მიუგო გახარებულმა პედაგოგმა, რომ თავისი სიბრძნის გამოჩენის შემთხვევა მიეცა; — სულ რაღაც ეშმაკური ამბებით იყო გავსებული. წმინდანთა ცხოვრებიდან ანუ დაბადებიდან რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, ხალხი წაიკითხავდა და გონჩე მოვიდოდა. — ძალიან მოხარული ვარ, რომ ვარდანი დაისაჯა, ერთი ამაყი ვინმე იყო. ერთხელ ჩემს სკოლაში შემოვიდა და მითხრა, ბავშვების წვრთნა და სწავლება რა თქვენი საქმეა! თქვენ მხოლოდ ბავშვებს აფუჭებთ, წადით მინდორში, ვირები აძლევთო. არა, ეს სათქმელი სიტყვაა? თითქო თითონ-კი ჩემზე მეტი იცოდეს!

— „ვირის წიხლი არ-კი მეტკინება, მეწყინებაო“ ნათქვა-მია — თქვა ეფენდიმ: — ვარდანმა მეც ბევრჯელ მაწყენინა.

ასე და ამ გვარათ მღვდელი, პედაგოგი დიაკვანი და მთავრობის მოხელე მომხდარ სამწუხარო ამბავს ყველა თავისებურათ ხსნიდა და არც ერთს მათგანს აზრათ არ მოსდიოდა, მეზობლისას რა ამბები ხდებოდა. არც ერთი მათგანის სიბრძა-

ლულს არ იწვევდა ის გარემოება, თუ მოხუცი ხაჩის ოჯახი იმ დამეს რა საშინელ მდგომარეობაში იყო! საბრალო ხაჩი! მისი სიკეთე მთელ სოფელს ყელში ამოსდიოდა, მაგრამ მან ინც ყველა ჰკიცხავდა, ლანძღავდა, რადგან მისი მოქმედება გლეხებს გასაკიცხად მიაჩნდათ. ყველა შიშის ზარს მოეცვა და ყოველ წუთს თავ-ზარ დამცემ ამბავს მოელოდდა. მარტო ერთი თომას-უფენდი იყო მხიარულადა და დამშვიდებით, ის თომას ეფუნდი, რომელიც ყველა ამ ბოროტ-მოქმედების ხელ-მძღვანელი ბრძანდებოდა, თანაც რაღაც განსაკუთრებულს სია-მოვნებასა და კმაყოფილებას გრძნობდა, როდესაც ხედავდა, რომ მის ნათესს სასურველი ნაყოფი გამოჰქონდა.

— ვიმეორებ, — სთქვა მან გამოცდილი კაცის კილოთი, — გლეხები ძალიან დაზარალდებიან. ცუდი დროა: ყველგან ომის სამზადისია, ამ არეულობის დროს მაგგვარ ლალატის ნიშნებს მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს და დამნაშავეთ სასტიკადა სჭის.

ომის გაგონებაზე ტერტერას თავზარი დაეცა, მაგრამ იმი-ტომ კი არა, რომ ომი გლეხებს სხვა-და-სხვა შევიწროებასა და უბედურებას უქადდა, არამედ — თავისი ნისიები გაახსენდა და იმან დაალონა.

— ომი რომ დაიწყოს, — სთქვა მან გულ-დაწყვეტით, — გლეხებს იმდენ ხარჯს მოსთხოვენ, რომ ჩემი ნისიების მოკრე-ბა შეუძლებელი-და იქნება,

— არხეინად იყავით, მამაო, — მიუგო ეფენდიმ, — იქამდის როდი გავუშვებ, რომ ომის დაწყებამდე ნისიები მოუკრებავი დარჩეს.

ამ დროს სიმონა დიაკვანი წამოდგა, მღვდელს მიუახ-ლოვდა და შეგირდებისაგან მისაღები ნისიები კვლავ ყურში ჩურჩულით გაახსენა; მღვდელმაც კვალადვე უბასუხა, რომ ჯერ მოიცადეო. ნათქვამია, ვისაც რა სტკივა, სულ ის აგონდებაო. ტერტერასაც და დიაკვანსაც სადარდებლად მარტო თავიანთი „ნისიები“ გახდომოდათ.

— „თითონ ვირი არაფერს წარმოადგენს, მაგრამ მისი ბაზლანი კი ხავერდსა სწმენდავსო“,* ნათქვამია.—სთქვა ეფენდიმ,—შამაო, ეს ანდაზა გაგონილი გექნებათ. გლეხიც ასეა: თუმცა თითონ დაბლერძილი და ფეხშიშველი დადის, მაგრამ „აღათა“ ხავერდის ქურქები კი მათი ოფლით არის ნაყიდი. მართალია, თითონ მშიერია, ხშირად მშრალი ლუკმაც კი ენატრება, მაგრამ „აღათა“ სუფრას კი ათასნაირი საჭმელებით აჭრელებენ. თქვენ კი, შამაო, როგორც გატყობთ, არ იცით გლეხთაგან როგორ უნდა ისარგებლოთ; რომ გცოდნოდათ, არც ამდენი ნისიები გექნებოდათ და ამაღამ არაც „მაზაც“ თან მოჰყვებოდა.

უკანასკნელმა სიტყვებში მღვდელს გული დასწყვეტა და რაღაც ნაღვლიანი კილოთი მიუჟო:

— რა ვქნა, ეფენდი! ჩვენ, ტერტერებს, ხელები გვაქვს შეკრული; თქვენსავით ჯოხი ხომ არ გვიჭირავს ხელში, რომ გლეხებსა ვცემოთ და დავაშინოთ? ჩვენი იარაღი ძალიან სუსტია!.. რა ვქნა?.. სწორე გითხრა, ბევრჯელ ველარ მოვითმენ ხოლმე და ვწყევლი.. მაგრამ რა გამოვიდა, ებლა გლეხები ისე გადარჯულებულან, რომ წყევლისაც კი აღარ ეშინიანთ!.. აბა სხვა რომელი-და იარაღი გვაქვს ხელში? მაგრამ სულ-ქვეშ რომ ვსთქვათ, არც თუ ისინი სტყუიან: ქურთებმა რაღა შეარჩინეს, რომ ჩვენც რამე გამოვართვათ? ოჳ, წყეულიმც იყვნენ ქურთები! ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ამდენი ნისიებიც არ მექნებოდა! ახლა თუ ომიც დაიწყო, მაშინ ხომ ქურთები მთლათ გააფთრდებიან...

— „ვირი ხომ ვირიაო, ჯორი უფრო ფლიდიაო“, ნათქვამია,—უპასუხა ეფენდიმ ჩვეულებისამებრ,—ქურთებიც ჯორივით ბოროტები არიან, რაღვან უკანონო შობილნი არიან.

ჯორისა და ქურთის შედარებით საზოგადოდ იქაურ სომხებს შემდევი დასკვნა გამოჰყავთ: ქურთი. მიტომ არის უსა-

*) ოსმალური ანდაზაა. რაღვან მაპმაღიანები ლორს შურტალ ცხაველათა სოვლიან, ამიტომ ტანისამოსის „ჩოთქს“ ვირის ბალნისგან აკეთებენ.

მართლო და ბოროტ-მომქმედი, რომ იგიც ჯორივით უკანონოთ შობილი და შერეული სისხლის მექონეაო. საზოგადოთ ჩვენი მდაბით ხალხი უკანონოთ შობილთა და შერეული სისხლის პატრონთ ყოველთვის ცუდის თვალით უცქერის. გარნა აქ მართალი მხოლოდ ის არის, რომ ქურთებმა სომხებთან შერევით თუმც ერთი მხრივ თავიანთი ბუნებრივი თავისებურობა დაჲჰარგეს, მაგრამ იმავე დროს სულ ახლი და შეურყვნელი სისხლის მექონე ტომი შეჲქმნეს. საუკუნოთა განმავლობაში სომხის ქალ-ვაჟთა შორის ულამაზესსა და ტანოვანს ირა ჩევდნენ (ქურთს ძლიერ უყვარს მაღალი ტანიანი ქალი) და ამგვარად თავიანთი ტომი გაალამაზეს. სომხები კი, პირიქით, რადგან რჩეული ნაწილი დაჲჰარგეს, თან-და-თან დაკინდნენ, დაშახინჯდნენ. ვისაც ოსმალეთის სომხეთის ქურთებისა და სომხების საერთო საქმისთვის თვალ-ყური უდევნებია, უეჭველია, მათ შორის დიდი მსგავსებას შენიშნავდა, რადგან ქურთები მხოლოდ და მხოლოდ სომხებისგან წარმომდგარი ახალი ტომია.

ლამე საქმაოდ მილეულიყრ. ზულო ავადმყოფ ბავშვს მისჯდომოდა და უხალისოდ უგდებდა ყურს სტუმრების საუზარს, რომელიც ძალზე თავს აბეზრებდა. მოუთმენლად ელოდდა სტუმრების აშლასა და დაძინებას, რომ სარასა და სტეფანიკას-თვის ჩეარი მიეხედნა და ენახა, რა მდგომარეობაში იყვნენ.

მაგრამ ეფენდის ძილი არც-კი აგონდებოდა; ჯერ მლვდელთან სალაპარაკო კიდევ ბევრი ჰქონდა, მაგრამ სიმონა დიაკვნის იქ ყოფნა ხელს უშლიდა. დიაკვანი რომ როგორმე თავიდან მოიშოროს, მთქნარებით წარმოსთქვა: ეხლა-კი ძილის დროა, ხვალ საჭირო საქმე მაქვს და აღრე უნდა ავდგეო. დიაკვანი ფეხზე წამოდგა, „ლამე-მშვიდობისათო“ წრემოსთქვა და ბარბარით გარეთ გამოვიდა. დიაკვნის გამოსვლის შემდეგ მლვდელმა სთქვა:

— საბრალომ, შვიდ არქიმან დრიტზე მეტი იცის! აფსუს, რომ ღვინის სმა უყვარს! ნახეთ წელან ჩემი ნისიების დავთარი როგორ ჩააბულბულა?..

— სიმონა დიაკვანზე ამბობ? — კითხა ეფენდიმ, — მართლაც რომ ჩინებულათ წაიკითხა.

მაგრამ იმ უამათ ეფენდის სიმონა დიაკვანი და მისი მალალი მეცნიერება არ იტაცებდა; მისი ფიქრი და გონება სულ სხვა საგნით იყო შეპყრობილი. სულ იმის ფიქრში იყო, რომ როგორმე ლაპარაკი იმ საგანზე ჩამოეგდო, რის მიზეზითაც იმ ღამეს ღვდელსა სწვევოდა.

ამასობაში მღვდელმა სიძველისაგან გაწყვილებული ანაფორის გახდა მოისურვა, რადგან ცალკე ბახუსისგან და ცალკე ოთახის ბულისგან ძალზე დასცხომოდა. არ ვიცი, იგივე ბაზუსი იყო ღამნაშავე თუ ანაფორის მეტის-მეტი სიძველე, გახდის ღროს სახელო მთლათ შემოიფხრიწა. ეს რომ ეფენდიში შენიშნა, უთხრა:

— მამაო, ანაფორა რომ მაგრე დაგმველებიათ, რატომ ახალს არა აკერინებთ?

— კურთხეულის შვილო, რითი შევაკერინო? ჩემი ნისიები ხომ ნახეთ? — ესეც სულით განათლებული კარაპეტ ეფენდის ნაქონია: როცა გადიცვალა, „კოლოპურტათ“^{*)} მომცეს. შვიდი წელიწადი იქნება, როცა ვატარებ. ჩემდა საუბედუროთ, მას შემდეგ მდიდარი ალარავინ გარდაცვლილა, რომ ანაფორა გამეახლებინა.

— მამაო, ერთი კარგი ანაფორა უნდა შეგიკერინოთ, უთხრა აფენდიმ, — კარგი მღვდელი ხართ, ჩაიცვით და მლოცეთ ხოლმე.

— სამას სამოცდა სამი მოწამის კურთხევა ნუ მოგიშალოს ღმერთმა, შვილო! — მიუგო გახარებულმა მღვდელმა და „პაპანიჩი“ (ლოცვაა) დაიწყო.

— ერთი სხვა სათხოვარიცა მქონდა, ეფენდი, — დაუმატა მან; — თქვენ რომ ხართ, ჩვენი სახელი და დიდება ხართ; ჩვენ გვიხარიან და დღე მუდამ ღმერთს მაღლობას ვწირავთ, რომ

^{*)} მიცვალებულის ტანი: ამოსს მღვდელს აძლევენ. ან მთელს ანუ ნაწილს, ამას კოლოპურტს უწოდებენ.

თქვენისთან „აღები“ სომხებშიაც შორიპოვება, იმისთან „აღები“, რომელნიც მუდირთან, გამიმაგამთანა და ფაშასთან თავისუფლათ სხდებიან და რაზედაც უნდათ, ლაპარაკობენ. ჩვენი ერისა და ჩვენი წმინდა სარწმუნოების სახელით, გევეღრები ეფენდი, მამა-სახლის ხაჩოსა და მის ოჯახს უსჯულოების ხელში ნუ ჩააგდებ! თქვენ რომ მოისურვოთ, აღვილათ დაიხსნით; ცოდნი არიან, სომებ-ქრისტიანებია, დაეხმარეთ! როგორიც უნდა იყოს მათი დანაშაული, მაინც ჩვენი მოვალეობაა დავფაროთ, იმიტომ რომ ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. მათი საქციელი არც თუ მე მომწონს, მაგრამ „რომელ არს უცოდველ“?..

მართალია, მღვდლის სიტყვებს ეფენდიზე საიმისო გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ იმის გამოთქმის მიზეზი-კი მისცა, რაც დიდიხანია უნდოდა მღვდლისთვის გაემულავნებინა:

ეფენდიმ მიუგო: მე შზათა ვარ და აღვილათაც შემიძლია, მამასახლისის ოჯახს უბედურება ავაცილო, არც არავის მივცემ ნებას, რომ თავიდან ერთი ბალანი. მოაკლოს ვინმემ, თუ-კი სამაგიეროთ მამასახლისიც ჩემ თხოვნას შეასრულებსო. ამა-სობაში მღვდელს გაახსენა ლალას ქალობის საიდუმლოს გა-მომულავნება და უთხრა: იმ დღიდან შემიყვარდა ის ქალი და გულით მინდა, რომ ცოლათ შევირთოვო. თუ შამასახლები ამ თხოვნას შემისრულებს, მაშინ შზათა ვარ განსაცდელი თავი-დან ავაცილო; წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები ნება მივცე, რომ მთავრობა კანონისა და სიმართლის მიხედვით შეეცყრას, რასაც, უეჭველია, მთელი ოჯახის მიწასთან გასწორება და ქონების სახაზინოთ გარდაცემა შოჰივებაო. ეფენდიმ მღვდელს გაახსენა თავისი მამობრივი მოვალეობა ხალხისადმი და სთხოვა, მოხუც ხაჩოსთან წასულიყო ამ საქმეზე მოსალა-ჟარაკებლათ, ვიღრე ჯერ კიდევ გვიან არ არის, ვიღრე საქმის გასწორება და მოსალოდნელი უბედურობის თავიდან აცილე-ბა კიდევ შეიძლებაო.

— ჩემი წირვის მაღლმა, ეფენდი,— მიუგო მღვდელმა რა-ლაც განსაკუთრებულის სიხარულით,— ხვალ დილითვე წავალ-მამასახლისთან და ყველაფერს თქვენი სურვილისამებრ მოვა-

გვარებ. ხაჩომ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, თანაც ობლებისთვის რამდენიმე სამლოც უნდა დაკლას, რომ თქვენის-თან კაცი სიძეთ უხდება.

ეფენდიმ ეშმაკურათ გაიღიმა და ხუმრობის კილოთო-უთხრა:

— როცა მაგას შეასრულებთ, მამაო, მაშინ თქვენი ძველი ანაფორაც განახლებული იქნება...

— ჩემი ნისიები?..

— მაგაზედაც არხეინათ იყავით...

ყოველ მხრივ საშინელი და საზარელი ღამე, როგორც იყო, დღის სინათლეზე დაინთქა. გარიურავდა; მზემ თავისი ოქროს ფერი სხივები იქაურობას ისე არხეინათ მოჰვინა, თი-თქო ნეტარების სამყაროს დასკერისო... .

მოხუცი ხაჩოს სახლი-კი იმ დილით ისე შავბნელათა და მგლოვიარეთ გამოიყურებოდა, თითქო რამდენიმე მიცვალებული ერთათ უნდა გამოასვენონ.

ჯერ ვარდანი გამოიყვანეს. მშვიდათ იყო, სახეზე აღმფოთების უბრალო ნიშან-წყალიც-კი არ ეტყობოდა, თითქო აქ არაფერიაო; მარტო თდენ ტუჩებზე რაღაც სიძულვილის ირონია უთამაშებდა, თითქო უნდა თქვას: „რას მრპირებენ ეს სულელებიო?“ ხეთი მხედარი იარაღში ჩამსხდარიყო და მზათ იყო ვარდანი ფაშა-ეფენდისთან წაეყვანა. როდესაც ვარდანი ცხენზე შესვეს და ფეხებს ცხენის მუცლის ქვეშ ბორკილებით უკრავდნენ, უბრალო წინააღმდეგობაც-კი არ გაუწევია, თუმცა ნამდვილი საშინელება იყო, ცხენზე უძრავათ ყოფილიყო. — „უბრალოთ ირჯებით, შენიშნა ვირდანმა,—თუ-კი გაქცევას დავაპირებ, თქვენი ბორკილები ვერას დამიშლისო“... მაგრამ ამ შენიშვნას ჯარის კაცებმა ყურადღებაც არ მიაქციეს და ფეხები დაუშარტეს. ამითაც არ დაკმაყოფილდნენ, მაჯები ზურგს უკან გაუკრეს, ხაზლის წვერები ხელში დაიჭირეს. და

წასაყვანათ გაემზადნენ. ორი ჯარის კაცის გარდა, სამი მცველიც მზათ იყო.

თუმცა ამ გვარ სანახავებისთვის მდაბიო ხალხი ყოველთვის ფეთღება ხოლმე, მაგრამ ამხელად არავინ გამოერდა, რომ ენახა, ვარდანს როგორ აძევებდნენ, იმ ვარდანს, რომელსაც მათდა საკეთილდღეოთ იმდენი შრომა და ღვაწლი მიუძღვდა: მოხუცის სახლს ისე ერიდებოდნენ, თითქმ შავი ჭირი მოსდებიაო.

მდედრობითი სქესთავან აღარავინ იყო,—აქეთ-იქით გახიზნულიყვნენ. ჰაირაპეტა და აპო ჯერაც ისევ ბელელ-ციხეში ისხდნენ; ვარდანის შემდეგ ჯერი ახლა იმათზე უნდა მიმდგარიყო. ხაჩოს დანარჩენი შვილები თუმცა შინ იყვნენ, მაგრამ ვარდანის გამოსაშვიდობებლათ არავინ გამოვიდა. მარტო ერთი მოხუცი იდგა მახლობლათ და ჯარის კაცთა მოძრაობას ნალვლიანათ შეჰქანებდა. უკანასკნელ უბედურ შემთხვევათა წყალობით საბრალო ძალზე ჩაფუფქულიყო; ტანჯვა-ვაებას, ძალმომრეობასა და მხეცურ შეუბრალებლობას მთლათ მიეუწებინა. მიუახლოვდა ვარდანს, გადაეხვია და საშინელ მღელვარებისგან ერთი სიტყვაც-კი ვერ უთხრა, რომ რითიმე ენუგეშებინა. სანაცვლოთ თვალთავან რამდენიმე ცრემლის კურცხალი ჩამოვარდა, და ამ გულ-წრფელმა ცრემლმა უფრო მეტი გამოსთქვა, ვიდრე ენას შეეძლო..

— გული მაგრა შენახე, მოხუცო მამავ,—მიუგოვარდანმა დაყვავებით,—ვინც წყალში შედის, დასველების შიში არ უნდა ჰქონდეს... მშეიღობით იყვით.

ჯარის კაჯებმა ვერაფერი გაიგეს, ვარდანის ცხენი წინ გაიგდეს და თითონაც ცხენებითვე უკან აედევნენ. მოხუცი დიდხანს იღგა ერთ აღგილს და მიმავალთ მწუხარებით გაჰყურებდა, ვიდრე თვალს არ მიეფარნენ.

მწარე ფიქრებით გარემოცული მოხუცი სახლში შებრუნდა. — მარტო ვარდანი რათ წაიყვანეს; ჰაირაპეტა და აპო რალათ დასტოვეს? ან მე რატომ აღარ მატუსალებენ? მართალია, მხედველობის ქვეშა ვარ, მაგრამ მაინც თავისუფლათ რათ მტოვებენ?

რომელი ფარული აზრი ამოქმედებთ? ჰუიქრობდა მოხუცი და ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. საბრალომ ეფენდის გეგმის მთავარ აზრისა ჯერ არა იცოდა-რა. ეფენდის საქმე ისე დაეხლართნა, რომ თუ ლალას მითხოვების წინადადებას მოხუცი უარპყოფდა, მხოლოთ მაშინ აღმოანთხევდა ჯავრის ამოყრისა და სამაგიეროს მიწყვის შხამ-ბალღამს. ბ. სალმანი დააბეჭდა, ვარდანიც გააძევებინა, რადგან თავის სათაყვანებელ მთავრობის საშიშ აღამიანებათ მიაჩნდა. მოხუცისა და მისი შვილების შესახებ-კი ამ გვარი ეჭვი არა ჰქონია, და თუ მაინც დანაშაულობის მახეში გააბა, ესეც მხოლოთ იმ აზრით, რომ საშინელ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, მფარველისა და მხსნელის კვერთხი ხელში დაეჭირნა და როდესაც ივინი თავიანთ თავს დავალებულათ დასახავდნენ, დახმარების ჯილდოს ნაცვლათ ლალას მოთხოვნის უფლება ჰქონდა. აი სწორეთ ამ გვარმა ვაჭრულმა აზრმა აიძულა ეფენდი ისეთი დიდი ბოროტმოქმედება ჩაედინა, რომლის სამწუხარო შედეგს მისი ეშმაკობითა და გაიძერაობით სავსე ჭკუაც-კი არ მოელოდდა.

ამ დილით-კი თომას-ეფენდი არსად სჩანდა. მოხუცს უნდოდა ენახა, უნდოდა მისი გარდაწყვეტილი აზრი გაეგო, თუ ყველა ეს ამბები რითი დაბოლოვდებოდა. მისი დაპირება ჯერაც სჯეროდა, ჯერაც არ დავიწყებოდა მისი იმედით სავსე სიტყვები: „მამასახლისო, ნებას არავის მივცემ, რომ ურიგოთ ხელი შეგახოსო“...

ეფენდის ნაცვლათ ტერ-მარუქა მოვიდა, როგორც შუაშავალი, რომ დაპირებისამებრ მოხუცთან ლალას გამოთ მოელაპარაკნა. უბედურობის ფამს მღვდლის ახლოს ყოფნა თუმცა ბევრს ნუგეშსა ჰგვრის ხოლმე, მაგრამ მოხუცზე მაინც რაღაც უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. საზოგადოთ მღვდლების შესახებ რაღაც განსაკუთრებული წინა-რწმენა (предразсудок) ჰქონდა შედგენილი და ყოველ მღვდლის დანახვა ცუდი აჩბის ნიშნად მიაჩნდა. მაგრამ ტერტერამ ისე წყნარად გაიხმო განზე და გამოუცხადა, შენთან საჭმე

მაქვსო, რომ მოხუცი ცოტა არა დამშვიდდა. წავიდნენ და ბალის ერთ მიტრუებულ კუნჭულში ხეგბის ქვეშ დასხდნენ.

სულიერმა მამამ შუამავლობის შესავალი სანუგეშო, გამამნევებელ სიტყვებითა და დარიგებით დაიწყო, თავისებური კილოთი მოუყვა ქადაგებას, რომლის დასამტკიცებელი მაგალითებიც სახარებიდან მოჰყავდა. გაიხსენა ნეტარი იობის წამებანი და სთქვა, რომ ღმერთი თავის მსახურთა სარწმუნოების გამოსაცდელად ხშირად სხვა-და-სხვა სასჯელს უგზავნისო, მაგრამ მოთმინება საჭირო, იმედი არ უნდა გადავიწყვიტოთ, რაღან ბოლოს თავის მორწმუნეთ ყველა ვნებისაგან გაჰკურნავს, საუკუნო დიდებას აღირსებსო და სხვა და-სხვა...

დარიგებას რომ მორჩა, ახლა თვით იმ საგანს შეეხო, რისთვისაც მოსულიყო. თხოვნა-გათხოვების შუამავალთა ჩვეულებრივი კილო არც თუ სულიერმა მამამ დაივიწყა და თავისი წინადადება შემდევის არაკით დაიწყო:

— „ერთხელ ერთი ხელმწიფის შვილი სანალიროდ წავიდა; ნაღირთა უკან დევნაში ძალიან დაუღამდა და, რაღან შინ დაბრუნება ველარ შეიძლო, ტყეში ერთი მწყემსის ქოხში გაათია ღამე. მწყემსის სტუმართ-მოყვარეობამ აღტაცებაში მოიყვანა; მისი ქალის სილამაზემ ხომ მთლად მოაჯადოვა. მეორე დღეს რომ სასახლეში დაბრუნდა, მამას გამოუტადა — ცოლად ამა და ამ მწყემსის ქალი უნდა შევირთოვო. ხელმწიფებ შვილი სულელად დასახა და საშინლად დატუქსა. შვილი მაინც არა ცხრებოდა. ვამამ რომ შვილს ვერაფრით გადაათქმევინა, მწყემსთან საშუამავლოდ ერთი თავის ვეზირთაგანი გაგზავნა. ვეზირი ჩქარა უკან დაბრუნდა და ხელმწიფებს მოახსენა, რომ მწყემსი უარზეა, ხელმწიფის შვილს ქალს არ მივათხოვებო. ხელმწიფებს გაუკვირდა და ახლა პირველზე უფრო მაღალხარისხოვანი ვეზირი გაგზავნა. მეორემაც იგივე პასუხი მოიტანა. გაჯავრებულმა, ხელმწიფებ ახლა თავისი პირველზი ვეზირი გაგზავნა, მაგრამ იმანაც პასუხად უარი მიიღო. მეტი ღონე არ იყო, თითონ ხელმწიფე უნდა წასულიყო, მართლაც წავიდა, მაგრამ იგიც ხელცარიელი დაბრუნდა. ხელმწიფე გაოცებული

იყო, არ იცოდა ეს ამბავი რითი აეხსნა; ბოლოს თავის დი-
დებულთ მოუწოდა და თათბირი გამართა. ერთმა, უფრო ჭკვიან-
მა და გამოცდილმა, ხელმწიფეს რჩევა მისცა, რომ მწყემსთან
ერთი იმისთანავე მწყემსი გაეგზავნა, რადგან მწყემსის ენას
მწყემსი უფრო კარგად გაიგებს და მის დათანხმებასაც აღვი-
ლად მოახერხებსო. ეს რჩევა ყველას ჭკუაში დაუჯდა; მაშინვე
რომელიც უფრო გამოცდილი მწყემსი იყო, გამოარჩიეს და
გაგზავნეს. მწყემსმა არც სამზადისს მიხედა, არც ბრწყინვალე
მორთვა-მოკაზმვას, აიღო თავის განუყრელო კომბალი და ქვე-
ითად გზას გაუდგა. ქალის მამამ დიდი პატივით მიიღო, და-
სხდნენ სადილად, სჭამეს, სვეს და იმხიარულებს; ბოლოს მი-
სული მწყემსი გამოუტყდა, ხელმწიფის სათხოვარი გადასცა
და თან დასძინა: — „რატომ არ გინდა, რომ შენი ქალი ხელმ-
წიფის შვილს მიათხოვო?“ ო — ქალის მამამ მიუგო: — „მამაცხო-
ნებულო, მეც კაცი ვარ, მეც ქუდი მხურავს: ხელმწიფემ შე-
ნისთანა პატიოსანი კაცი როდის მომიგზავნა, რომ ჩემი ქალი
იმის შვილისთვის მიმეთხოვებინაო?“

არაკი რომ დაამთავრა, მღვდელმა დაუმატა:

— მამასახლისო, მეც მწყემსი ვარ, შენცა, რადგან ორი-
ვენი ცხვრის ნაცვლად, ხალხსა ვმწყისავთ. მე სოფლის მღვდე-
ლი ვარ, შენ — სოფლის მამასახლისი, მოვსულვარ შენთან იმავე
თხოვნით, როგორც მწყემსი მწყემსთან შივიდა.

— რა თხოვნით? — ჭკითხა მოხუცმა უსიამოვნოდ, რადგან
ისედაც ნაღვლიან გულს მღვდლის უადგილო სიტყვები უფრო
ნაღვლით უვსებდა.

სულიერმა მამამ უპასუხა, რომ ამ გაჭირვების დროს ღმერთი
ნუგეშს გიგზავნის და ხსნის კარებს გიღებსო. თომას-ეფენდი
გთხოვს ლალა მიათხოვო და პირობას გაძლევს, რომ კარზე
მომდგარ უბედურებას აგაშორებო. — ღმერთს მაღლობა უნდა
შესწირო, რომ ეფენდისთანა კაცი მეგობრობისა. და დახმარე-
ბის ხელს გიწვდისო.

შიუხედავად მოხერხებულ და სიტყვა წყლიანის მჟევრ-
მეტყველებისა, მღვდელმა სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღ-

წია. იქნება სხვა დროსა და სხვა გარემოებაში მის სიტყვებს თანაგრძნობაც გამოეწვია, რადგან თვით მოხუცს დიდი ხანია აზრათა ჰქონდა ლალა ეფენდისთვის მიეთხოვებინა. მაგრამ ეხლა დროება შეცვლილიყო. ეხლა, როდესაც მისი ორი შვილი ციხეში დაემწყვდიათ, თითონ მცველთა მხედველობის ქვეშ იყო ჩავარდნილი და მისი ოჯახის ქალ-რძალნი ღვთის სინაბარას იყვნენ დატოვებულნი სხვათა სახლებში; როდესაც მისი ორი შეგლბარი, ვარდანი და ბ. სალმანი, მთავრობას დაბეჭდებით ჩაეგდო ხელში, თავისი სახლის ავლა-დიდებას თვალ-წინ უოხრებდნენ, აწიოკებდნენ, — ეხლა იმ ბოროტ-მოქმედის თხოვნას უწხადებდნენ, რომლის წყალობითაც იყო მოვლენილი მთელი უბედურობა! ამ დრომდე დახუჭული თვალები თითქმ ეხლა აეხილაო. თვალ-წინ ედგა ის საშინელი უფსკრული, რომელიც ეფენდის ვერაგ ხელით იყო გათხრილი. თან ვარდანის სიტყვები გაახსენდა, რომ ეფენდის მრავალი ქალი გაუბრიყვებია, მოტყუებით ცოლად შეურთავს და შემდეგ თავი გაუნებებიაო. ნუ თუ ლალას ხელში ჩასაგდებადაც ამავე ხრიკებს არა ხმარობს?— გაივლო მოხუცმა გუნებაში. გაახსენდა ეფენდის ყოფა-ქცევა, რომელსაც იმ დღიდან ამ დღემდე სულ რაღაც ეშმაკური ხრიკებით გავსილი მოქმედებით შეზავებული აზრი სდევდა და რომელიც მხოლოდ იმ მიზნისკენ იყო მიმართული, რომ ლალა როგორმე ხელში მოეგდო. გაახსენდა აგრეთვე, რომ ბ. სალმანის დატუსალება პირველად ეფენდისგან შეიტყო. სიღდან იცოდა, როდესაც ლამე ისე ჩუმად დაეტუსალებინათ, რომ მთელ მაზრაში არც ერთმა გლოხმა არა იცოდა-რა? ეფენდიმვე შეატყობინა, რომ სახლი უნდა გაგიჩხიკონო, თითონ ვერაგობით მეგობრათა და მფარველად შეუჩნდა, ბ. სალმანის ქალალდები ხელში ჩაიგდო, მოხუცის სახლის საიდუმლო საკუჭნაოში დამალა და გასაღები თითონ ჩაიჯიბა. რათა, რა აზრით? ნუ თუ არ შეეძლო ქალალდები თან წაელო, ან იქვე გაეუქმებინა? მაგრამ მოხუცის სახლში იმიტომ დასტოვა, რომ საჭირო დროს საკუჭნაო გააღოს და იქ შენახული ქალალდები პოლიციელებს ამ სიტყვე-

ბით გარდასცეს: „აი, აშ კაცთა შეთქმულობის დამაშტკიცებელი საბუთიო“ მოხუცს მთელი წარსული დაწვრილებით თვალ წინ წარმოუდგა და დარწმუნდა, რომ მოტყუებული იყო. ამიტომ მღვდელს სიმწარით უპასუხა:

— მამაო, ნაკისრ შუამავლობისთვის თქვენი არაკი სრულიად უადგილოა. თომას-ეფენდი ნამდვილი ხელმწიფეც რომ იყოს, მაინც იმ ძალს ქალს არ მივცემდი. რაც მოსასვლელია, დევ მოვიდეს. უმჯობესია მთელი ოჯახი დამეღლუპოს, ვიდრე ხსნას იმ ბოროტ-მომქმედის ხელისგან ველოდდე, რომელმაც ყველა ეს უბედურობა მოგვივლინა. მესმის... ყველა-ფერი მესმის... მომატყუა!.. ამის შემდეგ კი იცოდეს, რომ ველარ მომატყუებს...“

არც მისი გაჯავრებისა, არც მისი ბუნდი სიტყებისა. მღვდელს არაფერი ესმოდა, რადგან საქმის ნამდვილი გარემოება არ იცოდა. მამასახლისმა კი საჭიროდ არ დაინახა დაწვრილებით აეხსნა, მით უფრო, რომ იფიქრა—სტეფანიკას მომნათლავი ეს იყო და მისი ქალობა ამის მეტმა არავინ იცოდა, მაშასადამე ეს საიდუმლო ეფენდისთვის ვის უნდა ეთქვა, თუ არ თითონ მღვდელსაო?

სულიერი მამა მოხუცის სახლიდან თითქმის უკმაყოფილო მიღიღდა და თან გონებაში ამბობდა: „ლმერთი აღამიანს ჯერ ჰკუას წაართმევს, მერე სიმღიღრესაო“...

ეფენდი ტერტერას სახლში იყო და პასუხს მოუთმენლათ ელოდდა. მისვლისათანავე მღვდელს შეეკითხა:

— რა ამბავი მოიტანე?

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვსთქვა,—მიუგო დაბნევით:— ეგ კაცი სწორეთ ჰკუაზე შეშლილა!

— უარი შემოთვალა?

— დიალ.

— წინათვე ვგრძნობდი, რომ უარს იტყოდა...

თითქო კა ჩამოინგრა და ეფენდი ქვეშ მოიტანაო, თვალთ დაუბნელდა, კანკალი დაწყებინა და იატაკზე გაიშხლართა. კარგა ხანს უძრავათ იყო, შემდეგ-კი ხამუშ-ხამუშ ხელს შეუბლ-

ზე მიიღებდა, თავში იცემდა, თმას იგლეჯდა და თან გაიძანოდა: „აზლა რაღა ვქნა?... ოჭ. რაღა ვქნა?! ოუ...“

იქნება მთელს სამყაროში ისეთი არაფერი მოიპოვებოდეს, რომ ადამიანი ისე მოათვინიეროს, ისე მოაკეთილშობილოს, როგორც სიყვარულსა სჩვევია. კაცობრიობის თვითუსაშინელესი მტარვალნიც კი, რომელიც შეუბრალებლათ ქვეყნებს ანადგურებენ, მთასა და ბარს სისხლითა ლებავენ და რომელთა წინაშე სხვა - და - სხვა ერები შიშით კანკალ-ცახცახებენ, — საყვარელი არსების წინ მშვიდდებიან, მუხლს იღრეკენ; მხოლოდ მაშინ შეატყობთ, რომ იგინი ადამიანები არიან, თავიანთი განუშორებელი ადამიანური სუსტი მხარეებით.

თომას-ეფენდის ლალა იმ უამათ ნამდვილი, ჰეშმარიტი სიყვარულით უყვარდა და მთელი მისი მხეცური შეუბრალებლობა თუ გულქვაობა ამ სიყვარულის სხივების სიახლოეს დნებოდა, ილეოდა.. სიყვარული თვით გაბოროტებულ ქაჯ-საც-კი ანგელოსათ გარდა ჰქმის ხოლმე. ეფენდის გულშიაც სიყვარულს სინანულის გრძნობა, სინანულის ნაპერწკალი ჩა-შუქებინა.

ეფენდის ნამდვილი სიყვარული არასოდეს არ გამოეცადნა; სწორეთ იმით აისნებოდა მისი ბუნების ის შავ-ბნელი მხარე-ები, რომელთა მიზეზითაც ცხოვრებაში წმინდათ არაფერი მიაჩნდა. რამდენათაც ხორციელ საქმეში გაეშმაკებული, გა-მოცდილი და შორს გამჭვრეტი მოანგარიშე იყო; რამდენათაც რაიმე საზიზღარი მიზნის მისაღწევათ დახელოვნებულ ხრიკებს ხმარობდა, — იმდენათვე სულიერი მხარე უგრძნობი, განუვითა-რებელი ჰქონდა. ეხლა-კი ჩამქრალი გული ლალას სიყვარულს აენთო და შიგ იმ ცეცხლის ნაპერწკალი ჩაეწვეთებინა, რო-მელიც დაბნელებულსა და დაბრმავებულ გონებას სინათლეს მოჰვენს ხოლმე. გაახსენდა ყველაფერი, თავის ნამოქმედარ საქმეებს თვალი გადაავლო და თითონვე. — „ეს რა ვქენი? რო... ჰემინავდა ეფენდი და თან თმას იგლეჯდა.“

დაბნელებული გონების წყალობით თავის ბოროტ-მოქმე-დებათა საშინელებას იმ დრომდე ვერა გრძნობდა; ეგონა, რომ

შიზნის შისალწევათ ყოველი საშუალება შეიძლება იხმაროს ადამიანმა. ეხლა-კი გონებიდან სიბნელე გადაჟყროდა და კარ გათ გრძნობდა, რა საშინელი უბედურებაც დაეტრიალებინა. პირველში უნდოდა მოხუცი აეტლინკებინა, ბავშვივით ხელში ცეცხლის ნაპერწკალი დაიჭირა და საბრალო ხაჩის მითი აშინებდა, რომ რაც ეთხოვნა, უარი არ ეთქვა. მაგრამ იმ პატარა ნაპერწკალისგან უცებ ისეთი ცეცხლი გაძლიერდა, რომ ჩაქრობას თითონაც ვეღარ შეიძლებდა.— „ოჲ, ეს რა ვქენი?“ ო... კვალათ ამოიგმინა ეფენდიმ.

მღვდელი ეფენდის ტანჯვა-გმინვას შიშის ზარით დაჰყურებდა და ეგონა, რომ სულს ებრძვისო; მართლაც, ეფენდი რაღაც ნაირათ მოშვებულიყო, გულ-აღმა იატაკზე ეგდო, სახის კანი როგორლაც უთამაშებდა და ტუჩებიც ძალზე უკანკალებდა. კარგა ხანს იყო ასეთს მდგომარეობაში, ბოლოს თვალები გაახილა და მღვდელს მიმართა:

— რაც მოხუცმა ხაჩიმ გადმოგცა, ყველაფერი მართალია, მამაო; — იმის ქალის ღირსი არა ვარ. აბა ჩემისთანა ბოროტ-მომქმედსა და იმისთანა ანგელოსს შორის საერთო რა უნდა იყოს? ჩამქოლე, დამწყევლე, მამაო, მე მარტო წყევლა-კრულვის ღირსი ვარ...

ეფენდის კვლავ გული წაუვიდა. მღვდელს-კი ეგონა, გა-თავდაო...

— ვაიმე, ჩემო ნისიებო!!!.. — წამოიბლავლა სულის მა-მამ, — ჩაიარა ჩემმა ნისიებმა!..

xxxx

ახლა-კი ჩვენი შოთხრობის დასაწყისს დავუბრუნდეთ.

უეპველია, მკითხვილმა უკვე იცის, ვინ იყო ის ახალ-გაზდა კაცი, რომელმაც ბაიზეთის საშინელ ალყის. შემორტყმის დროს მეციხოვნე შტოკვიჩს წერილი ჩამოართვა, მასხა-რული ტანისამოსი ჩაიცვა, შემდეგ გარშემორტყმულ ჭურთების ბანაკში შეერია, ათასი სისულელით მთელი დღე ხალხი

აცინა, ბოლოს, როგორც იყო, მტერს უკნებლათ დაშორდა და რამდენიმე დღის შემდეგ წერილი გენერალ ტერ-ლუკასოვს მიართვა. მკითხველს, უეჭველია, ისიც ეხსომება, რომ ყმაწვილმა კაცმა გენერლის ჩერვა—ჩემთან დარჩი და დიდებისა და ხარისხის მექონე შეიქმნებით—არ მიიღო, რუსის ბანაკი დასტოვა და ერთი არსების განსაკუდელისაგან გამოსახსნელათ გაეშურა.

ის ახალგაზდა კაცი ვარდანი იყო. ახლა ვნახოთ, სადწავიდა.

ლელეში მოკლული ქურთის ცხენი შეკაზმა, მოახტა ზედა და ზა პირდაპირ ალაშკერტის მაზრისკენ გაქუსლა, საითკენაც უძვირფასესი საგნები იზიდავდა. იქ იყო მოხუცი ხაჩოს ოჯახი, რომელშიაც მრავალი ტკბილი წუთები განეცანა; იქ ეგულებოდა მშვენიერი ლალა, რომლისთვისაც მთელი სული და გული ჰქონდა მიძღვნილი; იქვე იყვნენ მისი საყვარელი მეგობრები, რომლებთანაც ალთქმა ჰქონდა დადებული, რომ წმინდა, დიდი საქმისთვის შეეწირათ თავი... ერთი სიტყვით, რაც-კი მისთვის ამ ქვეყნად პატივსაცემი და სათაყვანებელი იყო, ყველაფერი იქ ეგულებოდა....

მაგრამ როცა ბორკილებ გაყრილი ვარდანი სამხედრო-საქმეთა მწარმოებელთან მიჰყანდათ, მაშინ რა მდგომარეობაში იყვნენ ხსენებული პირნი?—მოხუცი ხაჩო შვილებიანათ ციხეში ისხდნენ; მთელი მისი ოჯახი გაფანტულიყო და ყოველ მათგანს თავი სხვის სახლში შეეფარებინა; ლალას ბედ-ილბალი ორი მონადირის—თომას-ეფენდისა და ფათთავბეგის— მხეცურ შეჯიბრებაზე იყო დამოკიდებული. ბ. სალმანი დატუსაღებული იყო; მართალია, მელიქ-მანსური თავის ამხანაგებით უკან გამოეკიდა, მაგრამ არ იცოდა საქმე გამარჯვებით გათავებულიყო, თუ ყოველ შრომას ამაოთ ჩაევლო?

ყველა უბედურსა და სავალალო მდგომარეობაში დასტოვა. მას აქეთ მთელ თვე-ნახევარს გაევლო და ამ ხნის განმავლობაში არავითარი ამბავი არა ჰქონდა. ვინ უწყის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი ცვლილება, რამდენი ამბავი მომხდა-

რიყო! რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუტადა. გენერალ ტერ-ლუკასოვის ძლევა მოსილმა ჯარმა ბაიზეთისა და ალაშკერტის მაზრა ხელში ჩაიგდო და არზრუჟმს მიუახლოვდა. სულ - შეხუ-თულმა და განადგურებულმა სომხობამ რუსეთის მპყრობელო-ბის ხელში თავისუფლათ ამოისუნთქა. მაგრამ სომხობის სიხა-რულმა დიდხანს არ გასტანა: ომის ბედ-იღბალი უცემ შეიც-ვალა. გენერალი ტერ-ლუკასოვი იძულებული გახდა თავისი საყვარელი ქვეყანა დატოვებინა და რუსის საზღვარზე დაბრუ-ნებულიყო. ამ გვარათ 18 აპრილს დაპყრობილი ბაიზეთი თი-ბათვის 27 ისევ ასმალეთს ჩაუვარდა ხელში.

უკანასკნელათ მომხდარი ამბებისა ვარდანმა არაფერი იც-ოდა; არ იცოდა გენერალ ტერ-ლუკასოვის გამობრუნების შემდეგ რა ამბავი დატრიალებულიყო. არ იცოდა არც ალა-შკერტელების სამწუხარო გადმოსახლების ამბავი და არც ის ჭაშინელი მიზეზები, რამაც ეს გადმოსახლება გამოიწვია.

სულ რაღაც მოკლე დროის განმავლობაში საქმეთა მდგო-მარეობამ საოცარი ცვლილება მიიღო.

ორ თვე ნახევრის წინათ ბორკილებ გაყრილი და ჯარის კაცთაგან გარშემორტყმული ვარდანი მოხუცის სახლიდან სამ-ხედრო საქმეთა მწარმოებელთან იქმნა წაყვანილი. გზაში მისი ერგული მსახურნი საქო და ეღო წამოეწივნენ და ცხარე ბრძოლის შემდეგ ბატონი გაანთავისუფლეს. ამ ბრძოლის დროს ვარდანი დაიჭრა, დალონებულმა მსახურებმა თითქმის ხელში აყვანილი რუსეთის სამფლობელოს სურმალოს მაზრის ერთ სომხის სოფელში მიიყვანეს. მოუსვენარი ვარდანი ჯერ სწო-რეთ არც-კი მოკეთებულიყო, რომ სომხის თავისუფალ მილი-ციაში შევიდა. მისმა ორმა მსახურმაც ამავე მაგალითს მიჰმა-ბა, მაგრამ ბაიზეთის ალყის შემორტყმის დროს ორივე ბრძო-ლის ქარ-ცეცხლმა იმსხვერპლა. ის ამბავი ხომ კარგათ ვიცით, ბაიაზეთის ციხე-სიმაგრიდან ვარდანი როგორ გამოიპარა.

ამ ემათ ვარდანი ძალიან დანაღვლიანებული შედიოდა იმ ხეობაში, საღაც ჩვენი ნაცნობი სოფ. ო... მდებარეობდა. სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინათ ეს ხეობა რა მშვენიერ

სანახაობას წარმოადგენდა! რა სიცოცხლითა და სილამაზით იყო აღსავსე იქაური ველ-მინდვრები, ღელეები და მწვანით მოსილი მთები! პურეულობით შემოსილი მთელი ხეობის მინდვრები ლამაზათ ირხეოდა და ისე თვალ - წარმტაკათ ღელავდა, თითქო ოქროს ფერი ზღვის ტალღებიაო. საძოვრათ გაშვებული საქონელი მთის ბეჭურებს კალიასავით შეჰუებულდა. უდარდელი მწყემსის სალამურის ხმა იმ არე - მარეს ტკბილ მელოდიებით აყრუებდა და შორს სადღაც ცის სივრცეში იკარგებოდა... მდიდარ ბუნებასა და მშრომელ ადამიანს ხელი-ხელს გადაეჭდიათ და შეერთებულის ძალით საოცრებას ახდენდნენ. ახლა? — ახლა ყველა ეს შეცვლილიყო! მთელი ხეობა რაღაც ძაძით მოსილ უდიბნოს წარმოადგენდა. ზღვასავით მღელვარე ყანები ცეცხლს ერთიან შთაენთქა და ნიშნათ მარტო ოდენ წაბოლილი და განაცარმტვერებული მიწა-ლა, დარჩენილიყო. ეს მტარვალობა ვის მარჯვენას ჩაედინა? იმოდენა ოფლითა და შრომით მოყვანილი სარჩო ვის გაენარგურებინა? ამის გამოცნობა ვარდანს უძნელდებოდა. ღრო გამოშვებით თვალს ავლებდა ოდესმე ლამაზება და მრავალ რიცხვოვან სოფლებს, მაგრამ ის სოფლებიც მხოლოდ ნახშირსა და ნაცარს-ლა წარმოადგენდა: ყოვლათ უწყალო ცეცხლს თავისი გამანადგურებელი დაღი იქაც დაეჩნია. ყველგან სიცოცხლე შემწყდარიყო, შეჩერებულიყო; იღარ გაისმოდა მიწის მუშაკის ტკბილი ღილინი, იალალებზე საქონლის ნასახიცკი აღარ მოსჩანდა და მწყემსის სალამურის ტკბილი ხმაცა აღღაც გამქრალიყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი დაღუმებულიყო, ყველაფერი სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა, თითქო გამანადგურებელ ქაჯს იმ საბრალო ქვეყანაზე სულ ახლათ გაუვლია და რაც-კი აღამიანის გამრჯე მარჯვენას: შეუქნია, ყველაფერი მოუსრავსო. რა მომხდარიყო?..

ივლისის მზე საშინლათ აჭერდა. მაგრამ სამწუხარო სანახავებს ვარდანი ისე გაებრუებინა, რომ სიცხეს აღარც-კი გრძნობდა. შუადღე კარგათ იყო გადასული, როდესაც სოფო... ში შევიდა: მთელი სოფელი ისეთს სანახავს წარმოადგენდა,

თითქო რომელიმე ზღაპრულ ჯადოქარის წყევლის ერთბაშათ მიწასთან გაუსწორებიათ. ის სახლები, სადაც ერთო დროს სიკოცხლე დუღდა და გადმოდიოდა, აღამიანთა სამარეებათ გარდაქცეულიყო; ყველაფერი მწუხარე და გულის მომწყვლელ ნანგრევების ქვეშ დამარხულიყო. გონება დაფანტული ვარდანი ნაცნობ ქუჩებზე ისე დადიოდა, თითქო შეშლილიათ. ადგილ ადგილ აღამიანთა სხეულის ნაწილებს ხვდებოდა. უეჭველია, რამე თავზარ დამცემი უბედურობა, საზარელი ამბავი მომხდარიყო. ეკლესიის გვერდით ჩაიარა; არც თუ ღვთის სახლი გადარჩენოდა იმ ხვედრს, რომელიც დანარჩენ სახლებსა სწვევოდა.

ბოლოს მოხუც ხაჩოს ციხე-დარბაზს მიუახლოვდა. მარტო გარს შემორტყმული გალავანი-ლა გადარჩენილიყო, ისიც ადგილ-ადგილ ჩამონაქცევით. ეზოში რომ შევიდა, თვალწინ გულსაკლავი სურათი წარმოუდგა. ბალი აღარსად იყო, აღარ-სად სჩანდა ის ლამაზი და დაბურული ხეები, რომლების ქვეშაც ლალას გვერდით ყოფნის დროს იმდენი სიტკბოება გამოეცა! სად იყო ეზლა ლალა?... მისთვის მოსულიყო ვარდანი... იმ გულის მომწყვლელ ნანგრევებს შორის სწორეთ იმას დაეძებდა... იქნება ქურთის ბეგმა კიდეც გაიტაცა იგი?.. ან იქნება ოსმალოს ერთ-ერთ ჯარის კაცს ჩაუვარდა ხელში?.. ვარდანს თვალწინ უცებ საშინელი სინამდვილე წარმოუდგა და რა-ლაც შიშის ზარმა, რალაც კანკალმა აიტანა. თითქო თავზე მძიმე რამ დასცემიათ, ეს რკინასავით მაგარი კაცი ერთბაშათ მოიზ-ნიქა, მოიშალა, სისხლი თავში აუვარდა და თვალთ დაუბნელდა, ველარაფერს ხედავდა, ველარცა-რა გრძნობდა რამეს, უაზროს ქრთის კორდზე დაეშო და სახეზე ხელები მიიფარა. დიდხანს იყო ასე გაშტერებული. უცებ თვალწინ ნაზი სახე წარმოუდგა, და ეს ნაზი სახე ისეთივე ნაღვლიანი, ისეთივე იმედ-გარ-დაწყვეტილი და ისეთივე თვალ-ცრემლიანი იყო, როგორც იმ დაუვიწყარ ღამეს ენახა შეუდროებით სავსე ბალში, როდესაც საბრალო ქალი კისერზე გადაეხვია და მუდარებით ეუბნებოდა: „წამიყვანე... აქალრობას გამაშორე!.. ქურთებისგან მეში-

ნიანო... რატომ არ წაიყვანა?.. თავი რად გაანება?.. აზრები ვერ მოეკრიბნა. ასეა: გაშტერებულ კაცს გონება უჩლუნგდება და აზროვნება უჩერდება ხოლმე.

მაგრამ ეს მწუხარე ნანგრევები ვარდანს. რამდენ მწარე მოგონებას ულვიძებდა! სულ რამდენიმე ხნის წინათ ყველაფერი ხელ-უხლებლათ, მკვიდრათ იდგა თავის ადგილას. დიდი ხანი არ გასულიყო მას აქეთ, რაც იმ სახლებში მშვიდობიანი სიკუოცხლით სავსე უზარ-მაზარი ოჯახი ცხოვრებდა. რა იქნა, სად არის ეხლა ეს ეს ოჯახი? ვარდანმა თვალი გადაავლო „საქალებოს“, რომელსაც მარტო ოთხი კედელი-ლა შერჩენოდა, ჰერიც ჩამონგრეულიყო. რამდენიმე ხნის წინათ მოხუცის მრავალი ქალ-რძლები და შვილის-შვილები შიგ მთელს დღეს ხალისიანად მოძრაობდნენ, უიველებდნენ, მოქმედებდნენ, მუდამ უდარდელად და მხიარულათ შრომობდნენ, რადგან საცხოვრებელი არა აკლდათ-რა. ეხლა-კი ყველაფერი დადუმებულიყო, აღარ ისმოდა არც ბავშვების უივილ-ხივილი, არც დედების გამაფრთხილებელი ხმა. ვარდანმა თვალი ახლა მოხუცის ოდას გადაავლო, რომელიც მთლათ მიწასთან იყო გასწორებული. მოწმათ მარტო ერთი ობოლი სვეტი-ლა იდგა და ოდის ნანგრევებში ჩამარხულ აზრებს მწუხარეთ დასცემეროდა... ვარდანს გაახსენდა ის ნეტარი ხმაურობიანი ღამეები, როდესაც თითონ, ბ. სალმანი, მამასახლისი და მისი შვილები დიდის აღფრთვანებით მსჯელობდნენ და ათას „პლანებს“, აწყობდნენ, რომ ხალხი საცოდავ მდგომარეობიდან გამოეხსნათ და ნაცვლათ ბედნიერი ცხოვრება მიენიჭებინათ. ახლა-კი ყველაფერს, მოთათბირეთაც და თათბირის საგანსაც, განადგურებულს, მიწასთან გასწორებულს უცემდა...

აგერ ერთს მხარეს აღამიანებიც გამოჩნდნენ. მანამდე-კი მთელ მაზრაში არც ერთ აღამიანის ქმნილებას არ შეხვედროდა. ამ გარემოებამ ვარდანი, ცოტა არა, გაახარა. ახლოს მივიდა: რამდენიმე საცოდავი ქურთი წერაქვებითა და ბარებით ნანგრევებსა სთხოიდა. ვარდანმა მაშინვე იცნო: მოხუცის მწყემსები იყვნენ თავიანთი ცოლშვილით. მამაკაცები ნანგრევებსა

სტარილნენ, დედაკაცები-კი ნათხარსა ჰქექავდნენ, რომ ეპოვ-
ნათ რამე; ნანგრევებში დაუწველი ჯერ კიდევ ბევრი რამ დარ-
ჩენილიყო.

— გამარჯვება თქვენს მარჯვენას! — მიესალმა ვარდანი
იმავე კილოთი, როგორც მომუშავეთ მიესალმებიან ხოლმე.

— მშეიდობა თქვენი მობრძანება, მიუგეს.

— რას დაეძებთ?

თქვენი კეთილი თვალითაც ჰქედავთ, რასაც დავეძებთ, მი-
უგეს ქურთებმა და თავიანთი საქმე განაგრძეს.

ვარდანი ერთს მათგანს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მიცნობ, ხულო?

— როგორ არ გიცნობთ, აღავ! შენ ჩვენი ბატონის, მა-
მასახლის ხაჩის მეგობარი იყავი; ამ სახლში ხშირათ გასას-
ყიდი საქონელი მოგქონდათ და არც ერთხელაც არ დაგვი-
წყებიათ, ჩემი ბალლებისთვისაც საჩუქარი მოგეტანათ. — აგრე
ისიც შენი ნაჩუქარია, თქვა ესა და მიუთითა ცოლის კაბაზე,
რომელიც წითელ ზოლიან ჩითისგან იყო შეკერილი.

ვარდანმა გამოკითხვა დაუწყო, ამ სახლის თავს რა ამბა-
ვია, სოფელი ასე რამ გააოხრა და ან მცხოვრებნი სად გა-
ხვეტილანო.

მწყემ-მა წერაქვი ძირს დადო, შუბლიდან ოფლი მოი-
წმინდა და კოჭის ნამწვზე ჩამოჯდა, თითქო ამბავის თხრობას
დიდი მოსვენება ეჭირვებაო...

— ღმერთმა ჩვენს დუშმანსაც აშოროს ის უბედურება,
რაც ამ სახლს დაატყდა თავს — სთქვა მან ნაღვლიანათ: — სიმა-
რთლე უნდა ვთქვა, ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით, რაც მო-
ხდა: აქ არ ვიყავით, ცხვარი გვყვანდა შთაზე საძოვრათ. ცოტა
რომ ჩამობნელდა, ფარას სოფლისკენ ვერეკებოდით (ჩემ ცოლს
წინა ღამეს უუდი სიზმარი ენახა, სულ იმის ფიქრში ვიყავი,
რომ რაღაც უბედურება უნდა დატრიალებულიყო). ჯერ სო-
ფელში არც-კი შემოვსულიყავით, რომ უცებ ქურთების ერთი
გუნდი დაგვეცა და მთლად ფარა გაირეცა. მე და ჩემი ამხანა-
გები მაშინვე სოფელში გამოვიქცეცით შესატყობინებლად. ვნა-

ხეთ, რომ სოფელს ყოველ მხრივ ცეცხლი მოსდებოდა და იწვებოდა. ყველგან ქურთები დანავარდობდნენ. გამოვეჩერენით აქეთ, მაგრამ ესეც ცეცხლს მოეცვა და შიგნით შემოსვლა აღარ შეიძლებოდა.

— შიგ მყოფნი რა იქნენ?

— ჩვენი შვილების თავზე მოვიდეს, თუ იმათ რამე დამართოდეთ. მოხუცი და მისი ორი შვილი — ჰაირაპეტა და აპო — შინ არ იყვნენ. ჯერ ისევ რამდენიმე დღის წინად მოსამართლესთან წაეყვანათ. ამბობენ, ციხეში ჩასხესო, ქალებთაგანი სახლში არავინ იყო. შჩნ მარტო მოხუცის დანარჩენი შვილები იყვნენ, მაგრამ არ ვიცით, იმათ რაღა დაემართათ. როგორცა ვთქვი, ჩვენ რომ მოველით, სახლს ცეცხლი ჰქანდა მოდებული.

— ჩვენი ბატონი მოხუცი ხაჩო ძალიან კეთილი კაცი იყო, — განაგრძო მწყემსმა, — ისეთი ლვთის მოშიში იყო, რომ ჭიანჭველასაც კი ფეხს არიდებდა. რა მოხუცი? ყველა კეთილი და შემბრალებელი იყო, ბუზებსაც კი არ აწუხებდნენ. ჩვენც თავიანთ შვილებივით გვინახავდნენ. ოჟ, წყეულიშვილი იყვნენ ეშირათები! *) ყველაფერი მიწასთან გაასწორეს... ყველაფერი გაანადგურეს!..

— გლეხებს რაღა მოუვიდათ!

— ზოგი გაწყვიტეს, ზოგი ტყვედ წაასხეს, ზოგმა კი გაქცევით თავს უშველა.

„წყალში დამხრჩალი ხავსს ეკიდებოდა“ ო, სწორედ ვარდანზე იყო ზედ-გამოჭრილი. მართალია, მწყემსის ნამბობი მწუხარებითა და საშანელებით იყო სავსე, მაგრამ მაინც გულში იმედის მცირე სხვით ჩაეშუქა. — ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაკარგულაორ — გაიფაქრა გუნებაში. ვარდანმა იცოდა, რომ მოხუცი და მისი ორი შვილი ციხეში იყვნენ, მაშასაღამე ციხეს

*) „ეშირათს“ იმ ველურ, უპინადრო ქურთებს უხმობენ, რომელთაც ბინაური ქურთები ცუდი თვალით უყურებენ, რადგან იმათაც ისევე მტარვალურად ეპყრობათ, როგორც უცხოებს.

უნდა დაეფარნა იგინი ქურთების მტარვალობისაგან, რასაკვირველია, თუ თვით ციხეშივე არ მოუსპეს სიცოცხლე. იცოდა აგრეთვე, რომ როდესაც სახლს გამჩხვევავები დაეცნენ და პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფნა მიუჩინეს, მოხუცმა ქალრძალნი სახლს გააშორა, უეჭველად ნათესავებ-ნაცნობებში იქნებოდნენ დამალული და, რაღა თქმა უნდა, ლალაც იმათ შორის იქნებოდა, მაშასადამე მოხუცის სახლში მომხდარი უბედურება იმათ ვერ მისწვდებოდა.

მაგრამ მათი მდგომარეობა მაშინ როგორი-ლა უნდა ყოფილიყო, თუ უბედურება იმ სახლებსაც სწვეოდა, რომლებშიაც იგინი დამალულიყვნენ?..

მწყემსის ნაამბობში კიდევ ერთი რამ იყო სანუგეშო: „ზოგი გასწყვიტეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს, ზოგმა კი გაქცევით თავს უშველაო“. იქნება ხაჩოს ოჯახიც გაქცეულთა რიცხვში ურევია?-ო, ფიქრობდა ვარდანი; ვინ უწყის, იქნება ლალაც იმათში იყოს? მაგრამ სად წაიდნენ, საით გაიქცნენ?-ო—ეს კითხვები მოსვენებას არ აძლევდა. მწყემსის ნაამბობში ნათლად არაფერი სჩანდა. უბედურება ღამით მომხდარიყო და ისიც ისე მოულოდნელათა და სწრაფათ, რომ ყოველივე ბნელითა და ბურუსით იყო მოცული. ვარდანმა მხოლოდ ის იცოდა და თავის თვალითვე ხედავდა, რომ მთელი ალაშკერტის მაზრის სომხობა არსად სჩანდა. შეუძლებელია, რომ ყველა გაეწყვიტნოთ, ანუ ტყვედ წაესხათ; მაშასადამე საშინელი გადასახლება უნდა მომხდარიყო, მაგრამ საით, რომელ მარეს უნდა გადასახლებულიყვნენ?...

გულ-ჩაწყვეტილი და ჩაფუფქული სახლის ნანგრევებს გამოშორდა, ქუჩაში გამოვიდა და აღარ იცოდა, საით წასულიყო: მწყემსის ცნობები იმდენად ბნელი და გამოურკვეველი იყო, რომ არ იცოდა, რომელ გზას, რომელ გარდაწყვეტილებას დასდგომოდა.

სალაშო ხანი იყო; მზე ღამის სადგომისკენ მიეშურებოდა, თითქო ცოდვილი ქვეყნის ყურება მობეზრებიაო... ვარდანი უგზო-უკვლოდ დადიოდა; თვალ-წინ ერთი და იგივე სანახავები ეშლებოდა: — დანგრეული, დაცალიერებული სოჭლები, მუშაობას მოკლებული მინდვრები და სხვა ამგვარები. ნუ თუ ამოდენა მაზრაში ერთი სომეხი აღარ დარჩენილაო? ჰფიქრობდა ვარდანი. უცებ ამ სიცალიერით მოცულ უდაბნოში ადა-მიანს მოპკრა თვალი. მძიმე, უსწორ-მასწორო ნაბიჯით მთის ფერდობზე მიიმართებოდა, ხან გაერდებოდა, აქეთ-იქით მიი-ხედავდა, ხან კი ქვებს ეჭიდებოდა, რომ არ ჩამოგორებული-ყო. ამ ნაირად აბობლდა პიტალო კლდის მწვერვალზე, რო-მელიც საშინელ უფსკრულს გაღმოპყურებდა. ჩამავალი მზის მკრთალი სხივები ანათებდა მის პატარა ტანის მოყვანილობას, რომელიც რაღაც უძრავი ძეგლის მსგავსად ამართულიყო და კლდის მწვერვალიდან გადაჰყურებდა თვალ-გადუწვდენელ ხეობას, საღაც რამდენიმე დღის განმავლობაში აურიცხველი ბოროტ-მოქმედება და აკლება-დაწიოკება მომხდარიყო. უცნო-ბი კარგა ხნის იღვა მწვერვალზე და გარემოს ისე გადმოჰყუ-რებდა, თითქო რისამე გარდაწყვეტა უნდა, მაგრამ ძალიან უძნელდებაო. შეუძლებელია ამ უკანასკნელი გარემოებისთვის ვარდანს ყურადღება არ მიექცია; მართლაც ვარდანშა გუნება-ში გაივლო, რომ აქ რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი უნდა მოხდესო. ამიტომაც იყო, რომ ცხენი შეაყენა და შორიდან ყურება დაუწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ვარდანშა შენიშნა, რომ მწვერვალზე ამართული სხეული რამდენჯერმე ამოძრავდა, კვალად თვალ-გადუწვდენელ ხეობის ნანგრევებს გადახედა, შემდეგ თვალებ-ზე ხელები შიიფარა და ძირს გადმოეშო. მომცრო ტანი ტყვია-სავით მოგორავდა, ხან-და-ხან ქვებს დაეჯახებოდა, ცოტა ხნის თითქო შესდგებოდა, მაგრამ ჩქარა. ისევ დაგორძებოდა და კოტრიალით მოდიოდა ძირს. ვარდანშა მაშინვე ცხენი გააჭინა და ერთს წუთს კლდის ძირში გაჩნდა, რომ უბედურისთვის რაიმე დახმარება აღმოეჩინა. გვამი ჯერაც ისევ მოგორავდა,

შაგრამ ძირამდის მაინც ვერ ჩამოალწია, რაღან ტინის ნახეთ— ქებში ამოსულ ჯაგებს წამოედო და გაჩერდა. ეს გარემოება ვარდანს გაეხარდა, რაღან იმედი მოეცა, რომ თავის-მკვლელს გადაარჩენდა. ახედ-დაჭხედა კლდეს და დარწმუნდა, რომ გვამი ორმოცდა ათი ნაბიჯის სიმაღლეზე იყო გაჩხირული ჯაგებში. ამ უამათ ყმაწვილი კაცის უპირველესი ფიქრი ის იყო—ძირს როგორ ჩამოეტანა?

ცხენიდან ჩამოხტა და კედელივით ამართულ კლდეს თვალიერება დაუწყო. უნდოდა მისადგომი გზა ეპოვნა, რომ როგორმე ჯაგებთან ასულიყო. არც ერთ მხრიდან გზა არა სჩანდა. გვამი-კი იქვე იყო გაჩხირული და სიცოცხლის არავითარი ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. საბრალო, ნეტა რამ აძიულა, რომ თავს იკლავდა? გარემოს მწეხარე მდგომარეობას ვარდანის თვალში ისეთი მნიშვნელობა მიეღო, რომ ყოველ წვრლმანში რაღაც საიდუმლოებას ეძებდა.

კარგათ ჰქედავდა, რომ თითონაც განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყო, თუ საბრალოს დახსნას მოისურვებდა, რომელიც ვინ იცის, ჯერ ცოცხალი იყო და წველა კიდევ შესაძლებელი იქნებოდა. სიბრალულის გრძნობამ თავისი თავი გადავიწყა და საშიშო საქმეს მოჰკიდა ხელი. ნახა, რომ თუ ჯაგები და კლდის წვეტები მის სიმძიმეს გაუძლებდა, აბობლება შეიძლებოდა. გაჭირვების ღროს ვარდანი გველივით გამჭრიახე და კატასავით მსწრაფლ მოძრავი იყო. ხელები მაღლა ააწოდა, წოწოლა ქვას მოჰკიდა ხელი და ხელების კაწრით მაღლა ბრძლვა დაიწყო. ჯერ სულ რამდენსამე ადლს არც-კი ასცდენდა, რომ ქვა მოუტყდა და ძირს ჩამოგორდა. „არა, აქედან არ ივარგებსო“, გაიფიქრა ვარდანმა და სრულიათ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხელები ჭალზე დაკაწროდა და სისხლი სდიოდა.

ვარდანი ისეთი ხასიათის კაცთაგანი იყო, რომ საქმის სინელე და დაბრკოლება ენერგიას უფრო უცხოველებდა და თითქო კიდეც სწყინდა — საქმე რათ მიძნელდებაო. ჩქარობდა. მზე ჩასვლაზე იყო; რამდგნიმე წუთის შემდეგ სიბნე-

ლე წამოასწრობდა და სასურველი მიზნის მიღწევას ხელს შეუშლიდა.

უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა. ცხენთან მივიღდა და უნაგირის უკან ჩაკრული გრძელი თოკი ჩამოხსნა. ეს თოკი მისი იარაღთაგანი იყო, წვერზე კვერცხის ოდენა ტყვია ჰქონდა მობმული. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტყვია მაღლა აისროლა და, იღბალზე, თოკი შემოეხვია ერთი ხის ტოტს, რომელიც დაგორებულ გვამის სიახლოვეს იყო. მაშინვე თოკის მეორე წვერს მოჰკიდა ხელი და ობობასავით მაღლა აბობლება დაიწყო. არ გასულა სულ რამდენიმე წუთი, რომ უძრავ გვამთან გაჩნდა. გვამს ხელი მოჰკევია და როგორი იყო მისი განცვითრება, როდესაც შენიშვნა, რომ ხელში თომას - ეფენდის გვამი ეჭირა! ერთხანად სიბრაზის, ზიზლის, მძულვარებისა და სამაგიეროს მიწყვის საშინელმა გრძნობამ აიტანა, უნდოდა ეს საძაგელი გვამი ხელ მეორეთ კლდეზე დაეგორებინა, რომ თუ კიდევ მთელი რამ შერჩენოდა, ისიც დამსხერეოდა და მხეცთა და ყვავე-ყორანთა საძიგვნავი გამხდარიყო. მაგრამ განა უგრძნობ გვამს ასე გულქვად მოეპყრობიან? — არა, ვარდანის სულგრძელობას ამგეარი გრძნობა არ მიეკარებოდა. ამიტომ გვამი თოკითვე ჩამოუშეა ძირს სიურთხილით და შემდევ თითონაც ჩამოვიდა.

უწინარეს ყოვლისა, ვარდანს უნდოდა შეეტყო კიდევ კოცხალი იყო, თუ უკვე გათავებულიყო? რამდენსამე აღგილის ძვლები ჩამტკრეოდა, თავი და პირისახე წვეტიანი ქვებისაგან ძალზე დაკაწროდა, დასჩეჩქვოდა და მთლათ სისხლში იყო მოსვრილი; სუნთქვა-კი მაინც შერჩენოდა და, როგორც ეტყობოდა, გულშელონებული იყო. ვარდანმა რომ მის საზარელ მდგომარეობას დაჰხედა, რაც ეფენდის მეოხებით მწუხარება გამოევლო, მთლათ გადაავიწყდა, დაავიწყდა აგრეთვე, რომ იგი იყო მიზეზი რამდენიმე ათასი სახლის გადაბუგვისა, მთელი მაზრის აოხრებისა, ეს ყველაფერი დავიწყებას მისუა და შეებრალა. ეფენდი რომ უკეთესს მდგომარეობაში ენახა, იქნება კოცხალი ილარ გაეშვა, მაგრამ ეხლა წინ ედო მხო-

ლოთ უგრძნობი გვამი, რომელსაც სიბრალული და დახმარება ეჭირვებოდა.

ვარდანი საჭირო მალამოსა და შესახვევ მასალას ყოველ-თვის თან ატარებდა, რაღაც თითონაც მრავალჯერ დაჭრილი-ყო და ბევრს სხვა დაჭრილთანაცა ჰქონდა საქმე. ჯერ ჯე-რობით თავისა და სახის ჭრილობათა შეხვევას. ტეუდგა და ცდილობდა, როგორმე სისხლი შეეწყვიტნა. ქვეყანას უკვე ღა-მის სიბნელე ჩამოსწოლოდა; ცას შავი ლრუბელი გადაჭრო-და, საშინელი ჭექა-ჭუხილი იყო და ქარიც მძლავრად უბე-რავდა. ეტყობოდა, რომ დიდი თავსხმა უნდა მოსულიყო. ამ გარემოებამ ვარდანი შეაფიქრიანა, უნდოდა რაიმე თავშე-საფარი ეშოვნა. ასწია გვამი და ცხენზე დაკრა, მაგრამ არ-კი იცოდა, საით წასულიყო. მახლობელი სომხის სოფლები მიწა-სთან იყო გასწორებული და იქ ერთი სომეხიც არ მოიპოვე-ბოდა.

ბოლოს გაახსენდა, რომ იქვე მახლობლათ ერთი ქურთის სოფელი უნდა ყოფილიყო, ცხენს ალვირში ხელი მოჰკიდა და იმ სოფლისკენ გასწია. მიღიოდა წინ და თან ეფენდიზე ჭიიქრობდა; ეხლა კი ესმოდა ეფენდის თავის-მკვლელობის მი-ზეზი; ეტყობოდა, სვინიდისის ქეჯნისთვის ველარ გაეძლო და მის დასაყუჩებლათ თავის მოკვლისთვის მიემართნა. ნუთუ სი-ბრალულის გრძნობა გაჭრიდებოდა და შეენანებინა, რომ იმოდენა სისხლის, ცრემლისა და აოხრების მიზეზი შექმნი-ლიყო?...

ვარდანს ხსოვნამ არ უმტყუნა, შორიდან სანთლების შუ-ჭი გამოჩნდა და ეტყობოდა, რომ სოფელი უნდა ყოფილიყო. მაინც კიდევ კარგა გზა ჰქონდა გასავლელი. ამიტომ ცხენს შეეხმაურა და ნაბიჯს მოუმატა. წვიმა თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა. პალტო გაიხადა და ეფენდის დაჭხურა, რომ არ დასველებულიყო. შუაღამე მოტანებული იყო, როდესაც სო-ფელს მიადგა. როგორც საზოგადოთ ქურთებს სჩვევიათ, სა-ხლები მიწურები იყო. პირველსავე სახლს მიუახლოვდა და გზის კარებს მიაწვა; კარები ლია დახვდა.—აი ბეღნიერი. ხა-

ლხი! არც ქურდებისა ეშინიანთ და არც ყაჩალებისა, არხეინათა სძინავთ და კარეპს არც-კი ჰკეტავენო, გაიფიქრა ვარდანმა.

ქოხში სინათლე არა სჩანდა; ეტყობოდა, შიგ მყოფთ ეძინათ, კარგბთან მივიდა და დააკაკუნა. რამდენიმე წუთის შემდეგ სახლიდან ქალის ხმა მოისმა:

— ვინა ხარ?

— ღვთის სტუმარი, მიუგო ვარდანმა.

სტუმრის გაგონებაც კმაროდა, რომ სახლში შეეშვათ. მართლაც, დედაკაცმა მაშინვე ჭრაქი აანთო და შიგნით შეიწვია. ეტყობოდა, რომ ქალს სძინებოდა, რადგან ტანზე მარტო ერთი წითელი პერანგი ეცვა, რომელიც შიშველ ფეხებამდინ სწვდებოდა. იმავე დედაკაცის დახმარებით ვარდანმა ეფენდი სახლში შეიტანა და საწოლზე მიასვენა.

— ავათ არის?

— არა, დაჭრილია.

ახალგაზდა დედაკაცმა მაშინვე ერთი პატარა ყუთი მოარბენინა, რომელშიც სხვა და სხვა გვარი მალამო და ტლანქათ მომზადებული შესახვევი მასალა ელაგა.

— ჩერენი ოჯახის ექიმი მე ვარ, სთქვა მან და თან ყუთი გააღო: — ჩემი ქმარი რომ ბრძოლაში ჭრილობას მიიღებს ხოლმე, მე ვწამლობ. დედამთილისგან ვისწავლე; წინათისა სწამლობდა ხოლმე. მაგრამ ძალიან მოხუცდა და ამიტომ თავისი თანამდებობა მე გაღმომცა.

მართალია, ვარდანს ქურთების ჯარა ექიმობის ხელოვნებაში ეჭვიც-კი არ შეჰქარვია, მაგრამ მაინც მაღლობა გადაუხადა და უთხრა, რომ მეც ცოტა რამ ვიცი მკურნალობისა და საჭირო ზომეზე კიდევც მივიღეო.

ახალგაზდა დედაკაცს ვარდანის სიტყვებში ცოტა არა გულზე უკბინა, რადგან უნდოდა თავისი ცოდნა გამოეჩინა, მაგრამ მაინც დამშვიდდა, როდესაც დარწმუნდა, რომ ავაღმყოფს ჭრილობები რიგიანათა ჰქონდა შეხვეული.

— ეხლა-კი თქვენს ცხენსაც უნდა მიხედვა, საბრალო, ცის
ჭვეშ არის, უთხრა ქალმა.

— ნუ შესწუხედებით, მიუგო ვარდანმა,—თქვენ მხოლოდ
დასაბმელი აღგილი მიჩვენეთ.

ახალგაზდა დედაკაცმა ჭრაქი ხელში აიღო, სტუმარს წინ
გაუძლვა და ცხენის დასაბმელი აღგილი უჩვენა. ვარდანმა გა-
რემოს თვალი მოავლო და შენიშნა, რომ ეზოს დაბალი ლობე-
ჰქონდა შემოვლებული.

— აქ შიში ხომ არ არის? ჰკითხა მან.

— რის შიში უნდა იყოს? მიუგო ქალმა ღიმილით,—
ჭურდი ქურდის სახლიდან არაფერს წაიღებს.

„ნეტარება თქვენ!“—სთქვა ვარდანმა გუნებაში.

სახლში რომ შებრუნდნენ, ვარდანმა იქაურობას თვალი
გადაავლო და ნახა, რომ იმ ქალისა და იატაკზე მწოლარე
რამდენიმე ბავშვის მეტი არავინ სჩანდა. ქალის დედამთილი-
კი ვერ შენიშნა, რადგან კუთხეში მიწოლილიყო და ეძინა.
ფეხის ხმაურობაზე ბებერს გამოეღვიძა, თავი მაღლა აიღო და
იკითხა:

— სარო, შენა ხარ?—მოხველ, შვილო?

— არა, სარო არ არის, მიუგო ქალმა და მიუახლოვდა
სტუმართ.

მოხუცმა რომ გაიგო—შვილი არ არისო, თავი ისევ მიდო
და მაშინვე მიეძინა.

— თვალთ არ უჭრის, უთხრა ქალმა ვარდანს, — ეგონა
შვილი—ჩემი ქმარი—დაბრუნებულაო.

— სად არის თქვენი ქმარი? — ჰკითხა ვარდანმა ცნობის
მოყვარეობით.

— ბაიაზეთშია წასული საპრძოლველით; ჩვენ სოფელში-
ერთს მამაკაცსაც ველარ ნახავთ, ყველა იქ არის წასული. მეც
ეს ორი დღეა, რაც დავბრუნდი, დავლაზე ვიყავი წასული.

— ბევრი მოიტანეთ?

— უმაღური არა ვარ: ცოტაა თუ ბევრი, ღმერთს მაღ-
ლობა უნდა შევსწიროთ.

„თავისუფალი ხალხის თავისუფალო ასულო! სთქვა გუნებაში ვარდანმა,—რამოდენა სიცოცხლე, რამოდენა სიმარტივეა შენში მოთავსებული! შენ რითი ხარ დამნაშავე, რომ ნადავლს ისე, უყურებ, როგორც ალალი ოფლით მონაგარს? შენი ამ გვარი შეხედულობა შენივე წრის ბრალია. შენ რომ ცხოვრების სხვა გარემოებაში, სხვა ვითარებაში აღზრდილიყავ, მაგ ძვირფასი მარჯვენით კაცობრიობას განცვითრებაში მოყვანდი.“

ვარდანი ეფენდისთან მივიდა, ტანზე ხელი დაადო და ნახა, რომ თბილი იყო; სუნთქვა ეხლა უფრო წესიერი ჰქონდა, თუმცა დრო გამოშვებით ისე ხრიალებდა, თითქო ამოოხვრა უნდა, მაგრამ ვერ მოუხერხებიაო. ქალმა კვალად სთხოვა ვარდანს, დაჭრილის გაშინჯვის ნება მომეციო. ვარდანი აღარ აუხირდა, დარწმუნებული იყო, რომ ჭრილობათა მკურნალობის ცოდნა ანუ დოსტაქრობა მათში კარგა დაწინაურებული იყო, რადგან ჭრილობა და სისხლი ჩვეულებრივ მოვლენას გარდაქცეოდათ და დოსტაქრობა მათი ცხოვრების უსაჭიროეს მოთხოვნილებათაგანს წარმოადგენდა.

— ფიქრი არ არის,—სთქვა ქალმა, როდესაც დაჭრილი გასინჯა,—ჭრილობები საიმისო მძიმე არ არის, მხოლოდ რამდენიმე ძვლი აქვს ჩამტვრეული; ეტყობა, საიდანმე ჩამოგორებულა.

ვარდანმა არაფერი უპასუხა.

— ახლა-კი თქვენთვისაც საჭმელი რამ უნდა მოვამზადო, თორემ მშიერი იქნებით.

ყმაწვილ კაცს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მთელ დღეს არა ეჭამნა-რა და ძალზე შიოდა. მაგრამ არის იმისთანა მდგომარეობა, როდესაც აღამიანი სიმშილსა გრძნობს, მაგრამ მაღა-კი სრულიად არა აქვს ხოლმე. ვარდანიც სწორეთ ასეთს მდგომარეობაში იყო, აღბათ, დარდითა და მწუხარებით იყო გამაძლარი...

— არაფრის მომზადებაც არ არის საჭირო, —მიუგო ვარდანმა,— მარტო ერთი ნატეხი პური მომეციო და ცოტა ყველო-

გარდანის. ამგვარმა მცირე მოთხოვნილებამ მანდილოსნის სტუმარმოყვარეობის გრძნობა, ცოტა არა, შელახა. უნდოდა სტუმრისთვის რითომე პატივი ეცა.

— ნუ გვზოგავთ, — მიუგო ღიმილათ, — ახლა ისეთი ღარის ბები აღარა ვართ...

— აბა რა, ბიზეთი გაგამდიდრებდათ...

— ბაიაზეთის გარდა, აქაც კარგი სამკალი გვქონდა... წარსულ წელს თუმცა ჭირმა საჭირელი სულ გაგვიწყვიტა და ულუკმა პუროთ დავრჩით, მაგრამ სამაგიეროთ წელს ღმერთმა გადმოგვხედა და უფრო მეტი მოგვცა. აქაური სომხობა მთლატ აიყარა, სხვაგან გადასახლდა და თითქმის მოელი ავლა-ღილება ქურთებს დაუტოვა.

— სად გადასახლდა?

— ეგ-კი არ ვიცი; მხოლოთ გადასახლება ისე მოულოდნელათ და სწრაფათ მოხდა, რომ თან ვერაფრის წალება ვერ მოასწრეს და მარტო იმის ცდაში-ლა იყვნენ — ჩეარა გაქცეულიყვნენ, რათა ოსმალოთა მსხვერპლი არ შექმნილიყვნენ.

— მერე და გადარჩენ?

— ვინც-კი აქ დარჩა, თითქმის ყველა გაიულიტა.

საშინელი სინამდვილე თანდა თან უფრო ცხადი ხდებოდა. ეჭვს გარეშე იყო, რომ იმ მაზრის მთელი სომხობა სადმე უნდა გადასახლებულიყო, მაგრამ სად ან რა მიზეზით? — ქურთის მანდილოსანმა არა იცოდა-რა. გარდანი მწარე ფიქრს მიეცა. სიმშილი მთლატ გადაავიწყლა და ისიც-კი ველარ შენიშნა, რომ ლამაზმა ქურთის ქალმა მაშინვე ცეცხლი გააჩინა და ერბო-კვერცხის მომზადებას შეუდგა.

ცოტა უფრო მხიარულ გუნებაზე ყოფნის დროს ვერც ერთი ყმაწვილი კაცი ვერ შეიძლებდა აღტაცებით არ ეცქირნა მშვენიერ ქურთის ყმაწვილ ქალისთვის, რომელიც სადა, უბრალო პერანგშიაც-კი საუცხოვო სანახავი იყო. თავზე არაფერ რი ეხვია, მხოლოთ ქერა მსხვილი, წალალები ლამაზ შუბლზე ჰქონდა შემოკრული. ამ გვარი ძერტფასი თმიანი თავი, მშვენიერათ მოელვარე თვალებიანი პირისახე მხოლოთ მთის ნახევ-

რათ. შიშველს ალს თუ შეიძლება ჰქონდეს, იმ ალს, რომელიც თავისი სილამაზისა და სიკეკლუპის დასანახად ან კარაწყალში იცქირება ხოლმე.

xxxxi

შუალამე გადასული იყო. ქურთის პატარა ქოხში კრაჭი ჯერაც არ ჩამერალიყო. სადა, მამა-მთავრულ ოჯახს ტკბილი ძილით ეძინა ერთსა და იმავე ოთხ ცედელ შუა. ერთ მხარეს მოხუცი დედამთილი ხვრინავდა, მის გვერდით იწვნენ ბავშვები, რომელნიც დღის ცელქობისგან არეულ სიზმრებში იყვნენ გართულნი, შეუწყვეტლივ რაღაცას ტიკტიკებდნენ და თან ტკბილათ ილიმებოდნენ. დედაც შვილებს მოსწოლოდა. გვერდით. მთის თავისუფალსა და სადა ასულს სრულიად ბუნებრივათ მიაჩნდა, ლოგინში უცნობ სტუმრის თვალშინ ჩაწოლილიყო. სიცხისა გამო საბანი ცოტა გადახდოდა და ნახევრათ გადალელილი მშვენიერი მკერდი უჩანდა. ისე ტკბილათ და მშვიდათ ეძინა, თითქო უდარდელი, უმანკო ირემიათ.

„ახლა-კი მესმის, კაცობრიობის პირველი წყვილი შიშველი რათ დადიოდა, ფიქრობდა ვარდანი; —მხოლოთ მაშინ დაიწყეს ტანის-დაფარვა, როდესაც შეიგნეს, რაც არის ცოდვა. ამ ხალხმა ჯერ არ იცის, რა არის ცოდვა, ამიტომაც ის შეხედულება, რომელსაც ჩვენებურათ ნამუსს, სირცხვილსა და შოკრძალებას ეძახიან, მისთვის სრულიად უცნობი ხილია. თა პირვანდელი სიმარტივითა და სისაღით აღსავსე ჩინებული ხალხი, რომლისგან საუცხოვო რამის შექმნა შეიძლება. გარეულ ხეზე რომ შინაურს, უფრო განვითარებულ ხის ნერგს ამყნობენ, მშვენიერი ნაყოფი გამოაქვს ხოლმე. ვინ იცის, რა შედეგი მოჰყოლოდა, ეს საღი და სიცოცხლით სავსე ტოში რომ სომხობას შერეოდა?..“

ქოხში ყველა ღრმა ძილს მისცემოდა; მარტო ვარდანს არ ეძინა. დიდხანს იჯდა ისე უძრავათ და გულს ათასი მწა-

რე და მძიმე ფიქრი უშფოთებდა. ხან-და-ხან აბობოქრებულ წარმოდგენით თვალ წინ უდგებოდა ალაშკერტელების საშინელი გადასახლება და გუნებაში ამბობდა: „მგორავი ქვა ხავს ვერ მოიკიდებს“-ო, ნათქვამია. ჩვენი ერთ სულ ამ უაზრო გადასახლების ტანტალში დაილია, გასწყდა და განადგურდა, მაგრამ გონზე მაინც ვერ მოვიდა.—აი კიდევ ერთი ახალი გადასახლება. მაგრამ არც ეს უნდა გვაკვირვებდეს, რადგან ხეს თუ ფესვები ღრმათ არა აქვს გადგმული, ბუნების სისასტიკეს ვერ გაუძლებს: დაჭქროლავს ქარი, მრისხანე ქარიშხალი ფესვიანათ ამოაგდებს და დაღუპვის უფსკრულში გადაუძახებსო... ხან-კი ბ. სალმანის ენერგიული სახე უდგებოდა წინ, თითქო მისი მშვენიერი ლაპარაკი ეხლაც მოესმისო. მართალია, ხშირათ დროის შეუფერებელ აზრებსაც წარმოსთვამდა, მაგრამ ყოველი აზრი შეუდრეკელი რწმენისა და მართალი გულის ნაყოფი იყო ხოლმე... აგონდებოდა კოპიტი, დაუზარებელი და შემთხვევების მოყვარე მელიქ მანსური, რომელიც მხოლოდ მაშინ იყო კმაყოფილი, როდესაც ცხოვრების განსაცდელსა და მღელვარე ტალღებში იყო ჩაბმული. ხან მოხუცი ხაჩო წარმოუდგებოდა, სათნოებითა და სიკეთით აღსავსე მამა-მთავარი, რომელსაც მთავრობის მიერ ჩაპარებული ხალხი ისე უყვარდა, რომ მზათ იყო ყველაფერი მტლათ დაედო, ოღონდ ერთი უბედურის-თვისაც არის ცრემლი მოეწმინდა. აგონდებოდა აგრეთვე მისი შვილებიც, რომელთაგანაც ზოგისთვის მონობის მწარე უღლის ქვეშ ყოფნას პიროვნების თავისიუფლებისა და გაუმჯობესებული ცხოვრებისადმი მისწრაფების გრძნობა მთლათ. ჩაექრონ ზოგს კი არსებული მტარვალობა, უსამართლობა და ცარცუარება ნათლათ შეეგნო და წინაღმდეგობას უკადებდა. ამ გვარ ფიქრთა სრბოლაში მისი აზრი დაფარფატებდა, აქეთ-იქით ტრიალებდა და როდესაც ამ ფიქრთა უსაზღვრო წყვდიადს გასცილდებოდა, მაშინ-კი ერთ წერტილზე გაჩერდებოდა; ეს წერტილი ლალა იყო.

მისი ყურადღება ახლა ეფენდიმ მიიპყრო, რომელსაც სუნთქვა თან-და-თან უფრო უძნელდებოდა, ხელები ძალზე უცახ-

ცახებდა და მოკუმულ ბაგეთაგან ყრუ ხრიალთან ერთათ რა-
ლაც გამოურკვეველი სიტყვები გამოისმოდა. ეტყობოდა, რომ
სიცხეში ბოლავდა. ვარდანი ახლოს მივიდა და ყურის გდება
დაუწყო, მაგრამ ვერაფერი გამოარკვია. როგორც სჩანდა, ეფენ-
დის საშინელი სულიერი ტანჯვა აწუხებდა. ამ გვარმა მდგო-
მარეობამ რამდენსამე წამს გასტანა, შემდეგ თანდა-თანი სიმ-
შვიდე დაეტყო; ცოტა ხნის უკან-კი თავი მაღლა აიღო, ლო-
გინში წამოჯდა და იქაურობას უსიამოვნოთ თვალი მოავლო.
მაგრამ თითქო ოთახი არ მოეწონაო, მიწვა და კვლავ თვალე-
ბი დახუჭა.

— ოჟ, აქ რომ ერთი სომეხი იყოს ვინმე! გაისმა მისი
ძალზე მიხრწნილი ხმა.

— არის, მიუგო ვარდანმა და მიუახლოვდა.

— მაშ ხელი მომეცი.

ვარდანმა ზიზლით უკან დაიხია.

— სადა ვარ ახლა?.. აქ ვინ მომიყვანა?.. ჯოჯოხეთიდან
ასე ჩეარა რათ გამომიყვანეს? იქა სჯობდა, იქ ძალიან კა-
რგათ ვიყავი... ცეცხლის ალში ისე ვქანაობდი, თითქო ოკეა-
ნეს ტალღებიაო... ათას თავიან გველაშაპთა ვყვანდი გაყინულ-
გათოშილ გულში ჩაკრული და მარჩობდნენ... ეხლაც-კი თვალ
წინ მიდგა... აგერ უზარმაზარ ცეცხლის ალში იგრიხებიან,
იხლაკნებიან და ერთმანეთს მთის გრეხილსავით ეხვევინ... ოჟ,
რა ტკბილია, რომ მტარვალი იმ საშინელ მხეცთა კლანჭებში
იტანჯებოდეს, ისრისებოდეს, თან წინააღმდეგობის გამოცხა-
დების ნებაც აღარა ჰქონდეს და მაინც თავს უფრო მომეტქ-
ბულ ტანჯვის ღირსათა სთვლიდეს!..

ამღვრეული თვალები კვლავ გაახილა და ვარდანს დააცქერ-
და, მაგრამ ვერ იცნო. ბოლოს შემდეგი სიტყვებით შიმართა:

— მეგობარო, მართლ-მსაჯულის გენიაში (ჯოჯოხეთი)
უსაშინლესი ადგილი მქონდა წილათ ნარგები და თავიც მომ-
ჭინდა... ამ ქვეყნათ ამაღლება ვერ შევიძელ, იქ-კი არ გამ-
ჭირებია... წინ ვერავინ გადამიდგა, ყველას ვაჯობე. იქ იყვ-

ნენ ვასაკი, მეტრუუანი, ვესტისარგისი, *) კაენი და სხვა მათი მაგვარნი ბოროტ-მომქმედნი. იმათაც კი შურდათ ჩემი პირველობა. და ჩემი დიდება... ოჟ, რა სასიამოვნოა, როდესაც აპ-რიალებულ ცეცხლის ტალღებში დაცურავ, მის თავ-ზარ დამ-ცემ სიმხურვალეს გრძნობ, იწვები, იხრაკები, მაგრამ ნახშირათ კი მაინც ვერ იქცევი!.. უფრო კარგი-კი ის არის, რომ ყველა ამას დასასრული არა აქვს; — რასაც ბოლო, რასაც დასასრული არა აქვს, ყველაფერი კარგია...

ვარდანი კარგათ ხედავდა, ეს ბოდვა რის ნაყოფიც იყო. დიალ, ამ სიტყვებში, ამ ბოდვაში შენანებული გულა-წრფელი აღსარება იხატებრდა ამიტომ ყოველი ზიზღი და ჯავრი მთლად დაავიწყდა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— დამშვიდდით, ეფენდი, ჩქარა კარგად შეიქმნებით; თქვენი ჭრილობანი იმდენათ საშიში არ არის.

— რომელიღაც წაცნობი ხმა მესმის.

— ვარდანის ხმაა.

ეფენდი მთლად კან კალმა აიტანა, ვარდანის ხელი მოი-შორა და წამოიძახა:

— გამაშორეთ ეს ხელი, თორემ წაიპილწება!.. თქვენც შორს იყავით, ჩემს სიახლოვეს მოიწამლებით!.. კარგათ გიცნობთ, ვარდან. მართალია კეთილი კაცი ხართ, მაგრამ იმავე ღროს შეუწყალებელი გულიცა გაქვთ. მაშ გევედრებით: მთელი თქვენი შეუბრალებლობა მოიხმარეთ და ამ წუთშივე სიცოცხლე მომისპეთ. იცოდეთ, ამით დიდ სიკეთეს დამდებთ... ჩემი გვამი ალაშკერტის ტრიალ მინდორში დააგდეთ, იმ ტრიალ მინდორში, რომელიც მე გავაოხრე და უდაბნოთ. გარდავაქციე; დე შეუბრალებელმა მხეცებმა გამგლიჯონ, შემთქვლი-ფონ. ან თუ იმდენათ გულ-კეთილი იქნებით, ერთს ღრმა ორ-მოში ჩამაგდეთ და მიწა მომაყარეთ; იქიდან როგორც იქნება გზას გავიგნებ და ჯოჯოხეთის უფსკრულისკენ, გაუნე-

*) სომხის ისტორიის ცნობილ ბოროტ-მომქმედთა სახელებია მთარ.

ლებელ ცეცხლისა და ტანჯვათა საუკუნო სადგურისაკენ გავემართები.—მაგრამ არა და არა! სომხეთის მიწის ლირისი არა გარ! ჩემი საზიზღარი ლეში მის სიწმინდეს შებღილავს...:

— დამშვიდდით, ეფენდი, — გაუმეორა ვარდანმა, — თქვენ სასიკვდილო არა გიჭირთ-რა, ყოველ ლონის ძიებას ვიზმარ და თქვენ კი მოვარჩენთ.

— შე კი ასე მეგონა, უფრო აღვილად მოვკვდებოდი და სამუდამოდ თვალებს დავხუჭავდი, რომ ჩემი ჩადენილი ბორო-ტება აღარ გამხსენებოდა და მისი შედეგი თვალით არ მენახა. მაგრამ არა! ზეციერი შურის მაძიებელი, ანუ ჯავრის ამომყრელი ბევრათ უფრო მძლავრი ყოფილა, ვიდრე სუსტი აღამიანი. ჯერ კიდევ არ მომკლა, რა არის უფრო დიდხანს ვუცქირო იმ საბრალო ქვეყანას, რომლის აოხრება-გადაბუგასაც მე ვწინამშენერობდი, რომ დიდხანს ვუცქირო საცოდავ გლეხთა ქოხებს, რომლებიც მე დავუალიერე... — ყველა ამის ცეკვა, და სვინიდისის მწარე ქენჯნის გრძნობა ტანჯვათა შორის უსა-შინელესი ტანჯვაა... მთელი მაზრების ამომჟლეტ იარაღად გარდავიქეცი, მაგრამ ჩემი საძაგელი თავის მოკვლა კი ვერ შევიძელ.

უკანასკნელი სიტყვები ისეთის მწარე ზოტლით წარმოსთქვა და ამ ზიზღშიაც ისეთი ზნეობრივი ტანჯვა იხატებოდა, რომ უნებურად შეგებრალებოდათ; ეტყობოდა, სიცოცხლე მობეზ-რებოდა და ცდილობდა სულის სიმშვიდე სამარის ყველაფრის დამვიწყებელ მყუდროებაში მოეპოვებინა.

ამ დროს ქურთის ქალს გამოელვიმა.

— ავადმყოფს მოუსვენრობა ეტყობა, — სთჭვა მან, — სა-ჭირო ხომ არაფერია?

— არაფერი არ არის საჭირო, სიცხის ბოდვაშია, იმედია, ჩქარა გაუვლის...

ქალი ავადმყოფს მიუახლოვდა, ცნობის-მოყვარეობით დააცემერდა და შემდეგ ვარდანსა პკითხა:

— როგორდაც მეცნობა, თომას-ეფენდი არ არის?

— სწორედ.

— საბრალო! რამდენიმე დღის წინადა ვნახე: ფეხშიშველა, თავლია და მთლად დაბლერძილი დაღიოდა. თუ ვინმე მიუჟლოვდებოდა, რალაცნაირად შეჲკივლებდა, საშინელს ლრიალს მორთავდა და გარბოდა. ამბობდნენ, რომ შეშლილიათ.

ვარდანს გაახსენდა, რომ მართლაც ეფენდი სწორედ იშმდგომარეობაში ნახა, როგორც ქალი უამბობდა. ჯერ ისევ მაშინ, როდესაც კლდიდან არ დაგორებულიყო, შეშლილობის ნიშნები ეტყობოდა. მაგრამ რამ შეშალა? ნუ თუ ეფენდისთანა ზნეობით დაცემულ აღამიანს სულიერი ტანჯვა აქამდინ მიიყვანდა?

— გაიძახოდნენ, რომ ეფენდის ერთი ქალი ჰყვარებია და ის ქალი ალაშკერტელების გადასახლების დროს საღლაც ჩაყლაპულაო; იმასაც ამბობდნენ, ვითომ ვიღაც უცნობთ გაუტაცნიათო.

— ვინ უცნობთ?.. ვინ ქალი?.. — წამოიძახა მწუხარებით ვარდანშა და სახე საზარლად დაემანჭა.

— ეგ არ ვიცი, მხოლოდ ასე კი ლაპარაკობდნენ.

ვარდანის კითხვა სულ მეტი იყო; ეს მხოლოდ უნებურ ცნობის მოყვარეობისგან მოუვიდა, როგორც საზოგადოთ იმედგარდაწყვეტილთა სჩვევიათ ხოლმე, თორემ ვარდანშა ძლიერ კარგად იცოდა, ეფენდის ბოლვის ხაგანი ვინც იყო. ეხლა კი იგი დაკარგულიყო... ვიღაცებს მოეტაცნათ!.. — ეს გარემოება ვარდანს იმედის მცირე ნიშან-წყალსაც კი უქარწყლებდა და ჩამქრალ გულში მოგონებათა მარტო ჩანავლებულს ფერფულს-და სტოვებდა.

ღამე შეუმჩნევლად გაპარულიყო და ოდნავ რიგრაფდებოდა; მომცრო სარქმელიდან დილის შუქი. შეჭრილიყო და ჩაბნელებულ მიწურს ოდნავ ანათებდა: გარედან ფრინველთა მხიარული და უდარდელი ჭიკვიკ-გალობა მოისმოდა. ქარიშ-ხლიანსა და წვამიან ღამეს წითლად მოელვარე ზაფხულის გრილი დილა მოჰყოლოდა.

უცემ ქოხში ერთმა გახარებულმა ქალიშვილმა შეირჩინა; შტკობოდა, შორი გზიდან იყო მოსული, რადგან თავით-ფეხამდინ გაჟიებულიყო და გრძელი კაბის კალთებიც მთლად ტალახში ამოსეროდა.

— ჯავო?.. — წამოიძახა მანდილოსანმა და ახლად მოსულს გადაეხვია.

— დაოჯან?.. — წარმოსთქვა ახლად მოსულმა და გაწით-ლებული ლოუები საკოცნელად მიუშვირა.

ვარდანს ერთხანს თავისი ნაღველი გადაავიწყდა და დების გულ-წრფელ ხვევნა-კოცნას შეჰქონიებდა. ახლად მოსული ტან-წვრილი და საქმაოდ ლამაზი სახის ქალიშვილი იყო. დის თვალებსავით შავ ელვარე თვალებს სიხარულისგან უფრო მეტი სიცოცხლე მისცემოდა და ძალზე უბრწყინავდა. ვარდანს მისი სახე, აგრეთვე სახელიც როგორლაც ეცნობოდა, მაგრამ არკი ახსოვდა — სად ან როდის ენახა!

— იცი, რა გითხრა, დაოჯან? — უთხრა ლამაზმა ქალმა, — ამის შემდეგ ჯავო შენთან დარჩება, შენთან დიღხანს იქნება: ქალბატონმა დაითხოვა ჯავო.

მართალია, დის სიტყვები უფროსი დისთვის დიდათ სასიხარულო იყო, შეტადრე იმიტომ, რომ დიღხანს აღარ დაშორდებოდა, მაგრამ მაინც ძალზე აღშფოთდა, როდესაც გაიგო, ქალბატონმა დაითხოვაო. რა მიზეზით უნდა დაეთხოვნა, როდესაც მაშინაც-კი ძნელად იშორებდა, როცა ჯავო დის სანახავად უნდა წამოსულიყო ხოლმე?

— რა ამბავია? — ჰკითხა შეშინებულმა უფროსმა დამ.

— ნუ გეშინია, ცუდი არაფერი მომხდარა, — მიუგო ჯავომა და მოუყვა: — ქალბატონმა ჯავო მხოლოდ დროებით დაითხოვა, რომ შენთან იცხოვროს, ვიღრე ისევ დაიბარებს. ქალბატონმა ჯავოს ფულიც მისცა, ტანისამოსიც აჩუქა, ძალიან კარგი რამეებიც უთავაზა და ეს ყველაფერი ჯავომ თან მოიტანა.

— ი, ყველაფერს გიჩვენებ.

ამ სიტყვებისათანავე ბოლჩას ხსნა დაუწყო, რომ დისთვის მოტანილი საჩუქრები ეჩვენებინა. მაგრამ უფროსი და ჯავოს პასუხით არ დაკმაყოფილდა და ამიტომ კვალად შეეკითხა:

— რა მოხდა, რად დაგითხოვა?

— ჯავო შემდეგ ჭიამბობს, ძალიან გრძელი ამბავია, ისე გრძელი, როგორც „ლეილისა და მაჯნუნის“ ზღაპარი. შემდეგ სთქვა, ძალიან დაღლილი ვარ, მთელი ღამე ვიარე, წყეულმა წვიმამ ხომ საშინლად დამტანჯა და სიმშილითაც კუჭი მეწვისო. დასა სთხოვა, დასალევად ცოტა რე მომიტანეო. უფროსმა დამ მაშინვე რძის საწველს დაავლო ხელი და გომისკენ გაეშურა, რომ ძროხა მოეწველა და დაღლილი დისთვის თბილ-თბილი რე მიეტანა.

ჯავომ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ სახლში სტუმარი იყო, და მისი მოელვარე ფვალები ვარდანის ცნობის მოყვარეობით სავსე თვალებს შეეხეხა.

— მშვენიერო ჯავო, შენ ხურშიდას მოახლე არა ხარ?

— მართალს ამბობ.

— ფათაჲ-ბეგის მეუღლისა, არა?

— სწორედ იმისი.

ვარდანმა ახლა კი ნასკვს წვერი უპოვნა და განგებ ჰკითხა:

— ბეგს მეორე ცოლიცა ჰყავს — სომხის ქალი — არა?

— ეყოლებოდა, თუ ის ქალი ჯავოს ქაჯურათ არ მოესხლიტნა?

— სომხის ქალი?

— სწორედ სომხის ქალი — ლალა თუ სტეფანიკა, ორი სახელი აქვს.

ვარდანს გულმა სიხარულისგან ფანცქალი დაუწყო.

— მერე ის მოპარული ქალი ჯავომ სად წაიყვანა?

— ჯავომ თავის ქალბატონთან მიიყვანა, ქალბატონმა-კი ჩუმათ რუსის საზღვარზე გაგზავნა.

მეტის სიამოვნებისაგან ვარდანს სახე გაუბრწყინდა, თავი ვეღარ შეიკავა. ჯავო გულში ჩაიკრა და არ იცოდა თავისი უსაზღვრო მაღლობა როგორ გამოეცხადებინა.

— Օկուպ չազուս, — չազոմ դառեսնա, պատերա յալմա.

— Չազո ի՞մո դօս, մուշգո զարդանմա դա ժմյուրուս և ուզա-
րուլութ ցաջայեցուա.

Ամ ճրուս պայմանուսու և Շեշուլու և տան այսայեծուլու հմտ
սացս վարժելու Մյուրանա. չազո մանոնց մուզարդա, համուարտա
և յրտս մուպուդը նախարարութամբուս դալուա. Եռայուրմա հմցի
դալուուլութա և Տոմինու դայուպուհա.

— Ած աելու-կո մումից, պատերա պայմանուսմա դամ.

Չազոմ տացուցեծուրու կոլուտու ումից, ու ի՞մո յալմաբուռո-
նուս յմարկս, ուատտաէ-ծեցս գուգունունու պայպարդա յրտու Տոմինու յա-
լու, հոմելու և Տոյուլ ո...ս մամասաելուսուս ասլու ուզուա (մա-
մասաելուս եահուս մաելունծը վարժեծ պայպարդա). յալ-
մաբարոնս առ ունդուդա, հոմ Տոմինու յալու ծեցու պալու շամե-
դարուպու, հաջգան մալունի լամանու համ ուց և ալցուլուտ Շյյ-
մլու ծեցու զայլու մտլաւ դայմունացեծունա. Վարժուա և ուշու-
նութու ալցնեծուլու յալմաբուռոնու արացուտար Տաշուալցընս առ
ուշուրեծու, հոմ մեռու պալուս մուզանա հողուրմե իսպալա.
Մացրամ ծեցու Տաշուալմուցունու ուշուրելա. ծեցու հոմ ծասա-
նցուուս ծրմուլութան դաձրունդա, Տաշունց Տոմինու յալուս մուզա-
նուս Տամինուսս Շյյուլցա. Ամ ճրուս յալմաբուռոնմա չազո և որու
յրտցուլու մսաելու Տոյուլ ո...մո ցացնազնա, հոմ ծեցու մու-
սլուամց լալու (ասց յրէյա Տաելուատ) մուրտացնաւ և Տեզա
յացունամու Քայուզանաւ. Չազոմ լալու և մուս մուս պալու, Տարա,
ոմ Տոյուլուս մլուլուս Տաելու ուշուա դամալուրու. Տարամ ծեց-
ուս անհու ալրուց ուրուդա, ամուրու համամետ եւրմուդուս ցանձրանցա
մուսմունա, Տոեարուլութ դայտանես. մարտլու լալու և Տարա
հուսուս Տաձմանցուլու ցայցանց և հայենո ծեցու Տուրմու իսլու ցա-
մուցուլութ և ալուրուց. ծեցու ուշունու ուրմուդա և նշանս մու-
տյամումդա, մացրամ ած հալուս ուշուրմուդա? յալմաբուռոնու կո իսպատ
ուրունուդա և ութարուդա, հոմ մշաբնուրու լալու ծեցու եւլութան
շամուշցուցա. համունումց դլուս ուշան մսաելունու մշաբնուդութ դաձ-
րունդնեն և ամիցաց մուուրտանց, հոմ Տամշուուլունու ցայցան-

ნეთო. ამის შემდეგ ქალბატონმა უთხრა ჯავოს, წადი, შინ იყავი, ვიღრე ბეგი „დაწყნარდებაო“.

ჯავოს ლაპარაკს ისე გაეტაცნა ქურთის მანდილოსანი და უფრო-კი ვარდანი, რომ სრულიად გადავიწყდათ ავადმყოფი, რომელიც ჯავოს ლაპარაკს ისევე ყურადღებით ისმენდა. ჯავომ რომ ლაპარაკი დააბოლოვა, ეფენდის ხმა გაისმა:

— ახლა-კი დამშვიდებით მოვკვდები: ლალა საშშვიდო-ბოში ყოფილა...

ვარდანი მიუახლოვდა, დაჭხედა და ნახა, რომ ჭირის ოფლს ასხამდა.

— „მშიერმა ვირმა ქერის სუნი იგრძნო, მაგრამ ვიღრე მიუტანდნენ, ფეხები გაფშიკაო“.—

ეს იყო ეფენდის უკანასკნელი სიტყვები. დებიც ახლოს მივიდნენ.

— მიიცვალა, უთხრა ვარდანმა.

— საბრალო! წარმოსთქვეს დებმა გულმტკივნეულათ.

xxxvii.

ივლისის მზე საშინლათ აჭერდა; თითქო ჰაერი გავარვა-რებულ ნემსებით მოფენილაო, ცეცხლის ნაპერწკლებისგან გავსებულ მტვერსავით ლაპლაპებდა, თვალს იტაცებდა და წყნარ ტალღებსავით აქეთ-იქით იფანტებოდა. სულის შემხუთავი ბული იდგა. დასიცხულ-დაქანცული ფრინველები შეპფარებოდნენ ხეებს, რომელთა ტოტებს დაღუმებული ნიავი სრულიათ აღარ არხევდა. მზრტო თდენ ბუზები, კოლოები და უჩინარი მწერები უსირცხვილოთ გამოსულიყვნენ სამოქმედო ასპარეზზე, მილიონობით შეგროვილიყვნენ, ბზუოდნენ, უივეუვებდნენ, აღამიას სუნთქვის დროს ცხვირ-პირსა და ყურებში უძვრებოდნენ და თავიანთის შხამიანი ნესტრებით შიშველ აღგილებს უფრო მეტათ უსუსხავდნენ, უწვავდნენ, ვიღრე მზის გახურებული სხივ კუბი.

მხცოვანი ვაღარშაპატი იმ უამათ არა ჩვეულებრივ სანაზადეს წარმოადგენდა. საითაც უნდა გაგეხედნათ, ყველგან ხალხის საზარელ გროვას წააწყდებოდით. მანდილოსანი თუ ქალიშვილი, მოხუცი თუ ბავშვი, შიშველ-ტიტველი, მშიერ მწყურვალი იქ დაფენილიყო და ყველა თავის ბედისა სწყევლიდა. ქუჩები ხომ მთლათ მათხოვრებით იყო გავსილი. ეჩმიაწინის გაღავნის გარეთ თუ შიგნით, ნერსეს კათალიკოზის ტბის გარშემო ხეების ჩრდილში, გაყოლებული ვიდრე გაიანეს მონასტრისა და იმავე კათალიკოზის მიერ გაშენებულ ტყის ბოლომდე, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც-კი აღამიანს შეეძლო მზის მწვავ სხივებს შეჰვიარებოდა — ყველგან იმავე საკოდავსა და საბრალო ხალხის გროვას შეხვდებოდით. — ეს საბრალონი გადმოხვეწილი ალაშკერტელები იყვნენ.

სამი ათას ოჯახს მიეტოვებინა სამშობლო, მიეტოვებინა სახლი; კარიუ მამულ-დედული და სარჩო-საბადებელი და, ქურთ-ოსმალოს ცეკველსა და მახვილს რომ როგორმე დახწეოდნენ, აქეთკენ გამოქატეულიყვნენ. ჩაღარშაპატში ვერც ერთ სახლს ვერ ნახავდით, რომ გადმოხვეწილთა 10—20 ოჯახი აზ ყოფილიყო ერთმანეთზე დაწყობილი. ყოველ გომური, თავლა თუ ფარეხი სულ ამ საბრალო ხალხით იყო გავსებული. მარტო ის არა ქმაროდა, რომ იმოდენა ხალხი გამოეკვებნათ, საჭირო იყო ექიმობის მხრივაც დახმარებოდნენ. ალაშკერტის გრილ მთის ველებს ჩვეული ხალხი უცებ მოულოდნელათ, ამ ჯოჯოხეთურ სიცხიან მხარეს გადმოვარდნილიყო და ამის გამო ათასი ავადმყოფია დარეოდა.

შუადღე იყო, სწორეთ ის დრო, როდესაც გლეხი მუშაობაზე ხელს იღებს და დასასვენებლათ საგრილობლისკენ მიეშურება, უფრო ბედნიერ ქმნილებათ-კი მაძლარი სადილი გაუთავებიათ და ფართო ოთახში. მოსასვენებლათ. წამოგორებას ეპირებიან ხოლმე. სწორეთ იმ დროს ალაშკერტელი ლტოლვილნი ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ სამათხოვროთ. იმათში ყველაზე მეტ ყურადღებას ერთი ყმაწვილი ქალი იპყრობდა, რომელიც 16 წელს არ უნდა ყოფილიყო გადაცილებული. მის სახეს ბუ-

ნებრივი ფერი დაჲკარგოდა, გამხდარიყო, გახუნებულიყო და თან რაღაც მომწვანო სიყვითლე შექპარვოდა; მაყურებელზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც დაზუქნარი ვარდი, რომლის აღსასრულის წამიც მოახლოვებულია. მის შავ თვალებში მწარე უიმედობის სევდა გამოიხატებოდა. გაცრეცილ ტუჩებზე ემცნეოდა, რომ წყეულ ავადმყოფობას ჯერაც სწორეთ არ დაჲჭრეოდა. მისი ნაღვლიანი სახე, რომელიც ერთს დროს თვალ წარმტაცი სილამაზის უნდა ჟოფილიყო, მიმზიდველობასა და მარილიანობას ეხლაც-კი ჭრა ჰკარგავდა, თუმცა ძალზე გაყვითლებულიყო. და ჩამოშეძარიყო.

თითქო ამ ნაზ არსებას უბედურობის დემონი დასცინისო კონკ-მანებში გაეხვია და ცდილობდა მისი მშვენიერება და სათნოება ერთბაშათ დაემახინჯებინა, მიწასთან გაესწორებინა; მაგრამ ამით უფრო მიმზიდველი, უფრო მეტი თანაგრძნობის ლირსათ გარდაექმნა. გაცყვეთილ-დაბლერძოლ ტანისამოსი ში-შველ ტანს ძლივს უფარავდა; ეტყობოდა, იმ ტანისამოსის ყოველი ნაკერი სხვა და სხვა კეთილის მყოფელთაგან უნდა ჰქონდა ნაჩუქები, რადგან ფერითა თუ მოყვანილობით ერთმანეთისგან ძალიან განირჩეოდა. გარდა ამისა ერთი ძალიან განიერი იყო, მეორე წრეს გადასული ვიწრო, ერთი მოკლე და მეორე-კი გრძელი.

წყნარის, მისუსტებულის ნაბაჯით სოფლის ქუჩაზე მიდიოდა. ტიტველ ფეხებს ძლივს ადგამდა მზის სხივებისაგან გახურებულ მიწაზე, რომელიც გახურებულ თონესავით ვარვარებდა. თანვე დაჲყავდა ორი პატარა ბავშვი, რომელიც მხარ ქვეშ ანგელოსებივით შემოსხდომოდნენ. დიდ ხანს დადიოდა ასე თავიალუნული; ხანდახან კი რომელიმე სახლის კარებთან გაჩერდებოდა და მთელი საათობით იდგა დადუმებულ-დამუნჯებული, ვიდრე ყურადღებას ვინმე მიაქცევდა და ერთ ნატეხ პურს გამოაწვდიდა. ეტყობოდა, რომ მისი ამაყი ბაგე მოწყვალების თხოვნას არ იყო ჩვეული და უფრო ბედნიერ გარემოებაში დაბა-დებულიყო და აღზრდილიყო; ეხლა-კი შეუბრალებელ ცხოვრების მწარე ვითარებას ამ გვარ მდგომარეობაში ჩაეგდო. შებ-

ლალული თავმოყვარეობა, საკუთარი ლირსების დამცირება, წარსული დიდების დაკარგვა და ზნეობრივი ტანჯვა ერთათ შეერთებულიყო და მისი გული აუწერელ სევდა - ნაღველით გაევსო. ეს უკანასკნელი გარემოება უფრო მეტ ტანჯვა-ვაებას აყენებდა, ვიდრე ის ავადმყოფობა, რომელიც მის ტანში დაბუ-დებულიყო და თანდა თან წუთი სოფელს ასალმებდა.

ერთი სახლის კარებიდან მეორესთან გადადიოდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ბოლოს, ჭროვორც იყო, მორც-ხვაბა დასძლია, სახლის კარები შეალო და დიასახლისს მიხრწ-ნილის კილოთი მიჰმართა:

— ერთი ნატეხი პური...

ამ ხმაში ყველაფერი იხატებოდა, რასაც-კი მისი გულის მწარე და ნაღვლიანი გრძნობები შეიცავდა.

— ი, გასწყდით, აჟა! რომელ ერთს მოგცეთ?..

ქალმა აქეთ - იქით მიიხედა, მართლაც იქაურობა მისი მსგავსებით იყო სავსე. ის იყო უკან უნდა გამობრუნებულიყო, მაგრამ ერთმა აზრმა შეაყენა. თუმცა მთელ დღეს არა ეჭამნა-რა და ძალზე მშიერი იყო, მაგრამ საკუთარი სიმშილი გადა-ვიწყებოდა და მხოლოდ მშიერ ბავშვებზე ფიქრობდა, ჰეთი ქ-რობდა აგრეთვე მათ ავადმყოფ დედაზე, რომელიც ლოგინს ვერა შორდებოდა.

ცრემლი მოიწმინდა, თავს ძალა დაატანა და ის იყო თხოვნა უნდა გაემეორებინა, რომ სახლიდან პატარა ძალი გამოვარდა და საბრალო ქალის კაბის კალთას ბასრი კბილები გაუყარა. თავ-ზარ დაცემული ქალი გარეთ გამოვარდა და კა-ბის ერთი ნაწილი ძალს დაუტოვა პირში. ბავშვებმა საშინე-ლი ლრიალი ასტეხეს, შიშისგან კინაღამ გული არ შეულონ-დათ.

ქალმა რომ ცოტა გული დაიმშვიდა, კაბის წვერები ხელ-ში მოიკრიბა და მონასტრისკენ გასწია. გზაში ბავშვებმა საზამ-თროს ქერქი იპოვნეს და სიხარულისაგან ტირილიც გადაავიწ-ყდათ და შიშიც. ერთი მათგანი გაექანა, ქერქს ხელი დაავლო, კალთით მტვერი გადასწმინდა და ხრამა-ხრუმი დაუწყო. მეორე-

კი მივარდა, ცდილობდა ხელიდან გამოეგლიჯა და თან ეუბნებოდა:—მეც მომე, მეცა მშიანო. ამასობაში წაძიძეილავდნენ, მაგრამ ქალმა გააშველა და ქერქი შეუზე გაუყო.

ამ დროს ქუჩაზე ჩქარი ნაბიჯით ერთი ყმაწვილი კაცი მოდიოდა. ქალი და ბავშვები რომ დაინახა, იცნო და მიუახლოვდა.

— ჯერ სწორეთ არ შორჩენილხარ,—უთხრა ქალს,—მე ხომ გითხარი, გარეთ არ გამოხვიდე მეტქი და შენ მაინც დადიხარ?

ქალი დაიბნა, არ იცოდა რა ეპასუხხნა. მართლაც ჯერ ისევ ავათზიყო და ისე სუსტათ გრძნობდა თავს, რომ ფეხზე ძლივსლა დგებოდა. ყმაწვილმა კაცმა ბავშვებს შეხედა და ნახა, რომ საზამთროს ქერქს ახრამუნებდნენ. მაშინვე ხელიდან გამოსტაცა, შორს გადისროლა და უთხრა:

— ამის ჭამა როგორ იქნება?

ბავშვები უფრო ჭამბედავი გამოდგნენ და ცრემლ-მორეულებმა უპასუხეს:

— თუ-კი გვშიან?

— ნუ თუ მონასტერში საჭმელს არ გაძლევენ? მიუბრუნდა ისევ ყმაწვილ ქალს.

ქალმა პასუხი არ მისცა, თავი ძირს დახარა და ძლივს წარმოსთქვა:

— თუ შეიძლება, სხვა ადგილი გვიშოვნეთ, რომ მონასტრიდან გადავიდეთ.

— იქნება ის საბაგელი ბერი ცუდათ გეპყრობათ?

ქალმა არა უპასუხა-რა, ისევ თავ ჩაღუნული იდგა, თბით-ქო ცნობის მოყვარე ახალგაზდას თავის მრავალ მეტყველ სახეს უმალავდა იმ აზრით, რომ არ გამოემულავნებინა ის საიდუმლო, რომელსაც ძალა-უნებურათ გულში იმარხავდა...

— მესმის...—სთქვა გაბრაზებულმა ახალგაზდამ. — ეხლა წადით, ამ სიცხეში სიარული კარგი არ არის: ჯერ ისევ ავათახარ, უფრო მეტათ დასუსტდები; ერთი საათის შემდეგ მოვალ და განკარგულებას მოვახდენ, რომ რიგიანათ მოვიარონ.— ძალუა შენი როგორლაა?

— ისევ იგრეა, წუხელ უფრო მოუსვენრათ იყო, — მიუგო ნაღვლიანათ ქალმა. ეხლა-კი თავი მაღლა ჭილო, ახალგაზდა კაცს შეხედა და ჰკითხა:

— მონასტერში აღარ დაგვტოვებთ, არა?

— ძალიან კარგი, თქვენთვის სხვა სადგომს ვიშოვნი, მიუგო ყმაწვილმა კაცმა, საჩქაროთ გაშორდა და თან გუნებაში ჰფიქრობდა: „საბრალო არსებავ! რა ჩქარა მოგბეზრდა მონასტერი!“ ღ...

ახალ გაზდა კაცი ვალარშაპატის ერთი მდიდარი მემამულეს შვილი იყო, ექიმი. ჰეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა ახლათ დაემთავრებინა და, როგორც ახლათ ხელ დასხმული რაინდი, ცხოვრებაში გამოსულიყო სამოქმედოთ, რომ ხელობის შესაფერი გმირობა გამოეჩინა. ალაშკერტელ გადმოხვეწილთა ავადმყოფობამ მოქმედების ფართო ასპარეზი გადუშალა წინ. ამ საბრალოთა დახმარების საქმე კეთილი სურვილებით აღსავსე ყმაწვილ კაცს დიდ კმაყოფილებასა ჰჯვრიდა და ენერგიას უფრო უცხოველებდა. მის გულკეთილობასა და ხელობას ხელი-ხელთ გადაეჭდიათ და საზოგადო სარგებლობისაკენ მიისწრაფებოდნენ. არა თუ მკურნალობაში და წამლებში სასყიდეებს. არ იღებდა, გაჭირვებულთა ბინისა და საზრდოსთვისაკეთი ზრუნავდა. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ყმაწვილი ქალი ისე შეევედრა, სხვა სადგური გვიშოვნეო.

ექიმის დაშორების შემდეგ, ქალი ისევ მონასტრისკენ გაემართა. ისე იყო დასუსტებული, რომ ძლივს და მიაბიჯებდა. რამდენსამე ადგილს გაჩერდა, რამდენჯერმე ჩამოჯდა, რომ სული მოებრუნებინა. მონასტრის მახლობელ სამიკიტნოებს რომ აუარა, შეგნიდან გამოსძახეს: „შინ შემოდი, ფულებს გაჩუქებთო!... ესენი უფრო უარესები არიან, ვიდრე ქურთებიო!... — სთქვა ქალშა გუნებაში და სიარული განაგრძო.

ბალი გაიარა, მონასტრის უმთავრესი კარები განვლო და დასავლეთის გალავნის იმ კარებთან მიეიდა, რომლიდანაც გზატბისა და ტყისაკენ მიიმართებოდა. ეს კარებიც გაიარა და ყაზარაპატში შევიდა. მონასტრის ეს ნაწილი დღესასწაულების

დროს ურიცხვ მლოცველთა სასტუმროს წარმოადგენს ხოლმე, ეხლა-კი ალაშკერტელ ავადმყოფებით გავსილიყო. ძირითა სარ-თულის ერთს სენაკში შევიდა. იმ ნოტიო და ჰაერსა და სი-ნათლეს მოკლებულ ხვრელის მსგავს ოთახში ერთი მანდილო-სანი იწვა წითელ აგურით ნაგებ ფილაქანზე. არსად კრაოტი, არც ლოგინი; ქვეშ დაწნული ჩალის ჭილოფი ეშალა და ზე-ვიდან-კი გახუნებული ფალასის ნახევი წაეხურნა. შესვლისა-თანავე ბავშვები მისცვივდნენ, ავადმყოფ დედას გულში ჩა-ეკრნენ და მის ძვალ-ტყავად გარდაქცეულ ხელებს კოცნა დაუწყეს. მაგრამ საყვარელი შვილების ალერსისთვის დედას ყურადღება არ მიუქცევია, რადგან იმ დროს ეძინა, ანუ უფრო უკეთ რომ ვსთქვათ — რაღაც უგრძნობლობით იყო შეპყრო-ბილი.

ყმაწვილმა ქალმა ბავშვებს შენიშნა, დედას ნუ აწუხებთ, გარედ გადით და ეზოში ითამაშეთო. ბავშვები მაშინვე გარედ გამოვიდნენ და სენაკის კარებთან ნაფოტებითა, კენჭებითა და მიწით ხუხულების შენებას შეუდგნენ. ხუხულების შენებას ისე გაეტაცნა უმანკო ბავშვები, რომ ალარც სიმშილი აგონდებო-დათ და ალარც ის გარემოება, რომ იქვე მახლობლად საყვა-რელი დედა მძიმე ავადმყოფობით იყო შეპყრობილი. თითონ ყმაწვილი ქალი კი ცარილ ფილაქანზე წამოწვა, ლამაზი თავი მუთაქის ნაცვლად იღაყვზე დააბჯინა, ცრემლ-მორეული თვა-ლები ავადმყოფს მიაპყრო და გაშტერებული უცქეროდა. საბ-რალო ისე მოქანცულ-მოწყვეტილიყო, იმდენი სულიერი ტანჯვა გაძოევლო, რომ სუნთქვის ჰარაქათიც კი ალარ ჰქონ-და და უნდოდა ცოტა ხანს მიეძინა, ცოტა დაესვენა. მაგრამ უნებური ცრემლები არჩობდა, მოწყლული თვალები ვერ მოე-ხუჭნა. იმ თვალებს სიამოვნებით დახუჭავდა სამუდამოდ, რომ მისთვის უკვე დაბნელებულ ნათელ ქვეყნისთვის ალარ ეცქირ-ნა. რა უბედურობას იტყვით, რომ იმას არ გამოევლო? რა ტანჯვა-ვაებას დაასახელებთ, რომ იმას არ გამოეცადნოს?... დაჲკარგა მამა, ქმები, მდიდარი ოჯახი, ნათესავები,— ერთი სიტყვით უველაფერი დაჲკარგა, რაც კი მისთვის ძვირფასი იყო

ამ ქვეყნად და რაც სულითა და გულით უყვარდა!.. ეხლა კი ამ უცხო ქვეყნაში უპატრონოდა, უმწეოდ მწარე და შეუბრალებელ ბედის ანაბარა დარჩენილიყო და სამათხოებროთ კარ და კარ დადიოდა. მისი ერთათ-ერთი ნუგეში, ერთათ-ერთი მფარველი ანგელოზი, რომლის იმედით-ლა სუნთქვადა, ლოგინათ იყო ჩავარღნილი და, ვინ უწყის, დღეს არა ხვალ წუთი-სოფელსაც გამოესალმებოდა! მაშინ რაღა ეშველებოდა? საცოდავის დედის უბედურ ბავშვებს ვიღა უპატრონებდა? თითონ რომ მაინც კარგად ყოფილწყო და მუშაობა შესძლებოდა, მაშინ ყველაფერს იკისრებდა, ყოველგვარ მძიმე საქმეს აიტანდა და ობლებს კი პატრონობას არ მოაკლებდა. მაგრამ თითონაც ჯან-ლონე გამოლეოდა, ავადმყოფობისგან მისუსტებულიყო, დღითი-დღე უფრო ღნებოდა, ილეოდა და უკანასკნელ წამს-ლა ელოდდა, იმ უკანასკნელ წამს, რომელიც რაღაც მიზეზით იგვიანებდა. — ამ გვარ მწუხარე ფიქრში იყო გართული საბრალო ქალი და გაყვითლებულ ღაწვებზედაც მსხვილ-მსხვილი ცრემლები ჩამოსდიოდა. უცებ გარეთ რაღაც ხმაურობა ასტყდა, ვიღაცის ტლანქი ხმა შემოესმა და იმან უფრო გული მოუკლა.

ბავშვები სენაკის კარებთან ხუხულებს აშენებდნენ და მითი ირთობდნენ თავს. ამ დროს მახლობლად ერთმა ლიპიანმა ბერმა გაიარა, რომელსაც თავზე შავი კაპიშონი ეხურა, შავ ფილონში იყო გახვეული და სახითაც ძალზე შავი იყო, ასე რომ ამ აღამიანს თეთრი არაფერი გააჩნდა. ბავშვები რომ დაინახა, გაცეცხლებით დაჭკვივლა:

— შიგნით შეეთრიენით თქვე ძ...ის ლეკვებო! რას ჩიჩქნით მანდაურობას?

ბავშვები ცოტა გვიან დაიძრნენ და ამიტომ ცოტას გასწყდა, ბევრმა ხელი არა სტაცა; თუ დროით არ წამოცვივ-ნულიყვნენ და შიგნით არ შევარღნილიყვნენ, უეპველია გააჭ-თრებული ბერი ფეხქვეშ წაიგდებდა. ბავშვების წივილ-კივილ-ზე უგრძნობათ მყოფი დედა გონზე მოვიდა, ორივ გულში ჩაიკრა და დამშვიდება დაუწყო, თუმცა მათი ტირილის მიზე-

ზი არ იკოდა. ამ ღროს სენაკის კარებში ბერის საზიზლარი სახე გამოჩნდა.

— ახლავე აქედან გაეთრიენით! დაიღრიალა გაჯავრებულმა სულის მამამ, — რამდენი ხანია გეუბნებით, აღგილო მონახეთ და აქედან დაიკარგეთ მეთქი, მაგრამ ვერა გაგაონეთ-რა?

ვის ეუბნებოდა ამ სიტყვებს? ავადმყოფ დედას არაფერი ესმოდა, ბავშვებს მოხვეოდა და გულში ისე იკრავდა, თითქო მგლის კლანჭებიდან დაუხსნიაო. საბრალო ორი დღე გულ-წა-სულივით იყო და ეხლა ბავშვების ტირილმა გამოაფხიზლა. მაშ ვიღას ელაპარაკებოდა ბერი? იმ სენაკში მის ლაპარაკს ყურს არავინ უგდებდა, და ვერც თუ რასმე შეისმენდა ვინმე. ყმაწვილს ქალს მის ხმის გაგონების უმალვე თავზარი დაეცა, დაიბნა და მთლათ გონება დაეკარგა. ბავშვები-კი უბედურ-დე-დის უბეს შეპფარებოდნენ და შიშისაგან ძალზე ცახცახებდნენ.

ბერის სიბრაზე ერთმა სხვა ხმამ შესწყვიტა.

— მამაო, რაზე გაცეცხლებულხარ?

— ოჟ, გამარჯობა ოქვენი, ბატონო ექიმო, როგორა ბრძანდებით? ქეიფზე ხომ კარგათა ხართ? — უთხრა ლიმილით ბერმა და დამშვიდებული სახე მიიღო.

— ჩემი ქეიფი თუ ჯან-მრთელობა ჯერ იქით გადავდოთ, — მიუვო ექიმმა და ბერს პირდაპირ თვალებში შეაჩერდა. — შენ ის მითხარი, მამაო, ეგ რა ფანდებს ხმარობ? ამ საწყლება რაზე აწუხებ?

— შენმა მზემ, აქ არავითარი ფანდი არ არის, მე მარტო იმას ვეუბნებოდი, აღგილი მონახეთ და აქედან წადით-მეთქი. შენც ხომ კარგად იცი, რომ ნაბრძანები გვაქვს, ორ დღეზე მეტი მონასტერში არავინ შევინახოთ. ყოველ დღე ახალ-ახლები მოდიან, ამიტომ ძველი მოსულები უნდა დავითხოვოთ, რომ მათი აღგილი ახლებმა დაიკირონ.

— სად წავიდნენ? ვერ ხედავ, რომ იხოცებიან?

— მე რა ვქნა, როდესაც ასე მაქვს ნაბრძანები?

მონასტრის სტუმართ უხუცესობა ამ ყბედსა და მასხარა ბერსა ჰქონდა ჩაბარებული. ამ ბერს ყველა თავისუფლად ემას-

ხარავებოდა. თვით ბატონი ექიმიც დიდ სიამოვნებასა გრძნობდა, როდესაც კი რაიმე სიტყვიერ შეურაცხებას მიაყენებდა ხოლმე.

— მაგ ლათაიებით ვერ მომატყუებ,—უთხრა ექიმმა,— სწორეთ მითხარი, მამაო, რომელი მუცლის ტკივილი ვაქვს? ქალს ცოტა თვალის ჩინი კიდევ შერჩენია, არა?..

— ეჭ, თავი გამანებე ერთი, მამაცხოვნებულო! რაებს ამ-ბობ?

— აი გასწყდით, აპა, გასწყდით!.. უთხრა ექიმმა ჩიზლით და სენაკში შევიდა.

ექიმის შესვლამ საბრალოებს ნუგეში მოჰვინა, მეტადრე მაშინ, როდესაც წამლებისა და საჭირო დარიგების მიცემის შემ-დეგ გამოუცხადა—განკარგულება მოვახდინე და ჩქარა სხვა ბინაზე გადაგიყვანენ; ახალ ბინაზე ყოველ მხრივ ხელ შეწყო-ბილი იქნებითო.

— მხოლოდ ჩქარა, რაც შეიძლება, ჩქარა გადაგვიყვა-ნონ! შეევედრა ავადმყოფი მანდილოსანი მაღლობით აღსავსე ხმით.

— არხეინათ იყავით; რამდენიმე წუთის შემდეგ სხვაგან დაგაბინავებენ, მიუგო ექიმმა და გარეთ გამოვიდა, რომ მონა-სტრის შეზოში მყოფ სხვა ავადმყოფთათვისაც მიეხედნა.

— ლალ! ნახე, შვილო! მიუბრუნდა ავადმყოფი ყმაწვილ ქალს, რომელსაც თვალებზე ხელები მიეფარებინა და გულ-სა-კლავათ ქვითინებდა:—ლმერთი უბედურობის თვით უკანასკნელ წუთშიაც-კი არ ივიწყებს უბედურთ და მანუგეშებელ ანგე-ლოსს გამოუგზავნის ხოლმე. ნუ სტირი, შვილო! ბნელსა და ქარიშხლიან ლამეს ბრწყინვალე დილა მოჰყვება ხოლმე. მოვა ღრო, რომ შენ დაკარგულ სიხარულს კვალათ ჰპოულობდე...

— ეჭ, საყვარელო სარა, ყველა ამის შემდეგ რილას მო-ლოდინი უნდა მქონდეს? ამის შემდეგ სიკვდილის მეტი ალა-რა დამრჩენია-რა...;

ამ ღროს სენაკში ორი კაცი შევიდა და სარამა და ლა-ლამ ლაპარაკი შესწყვიტეს. მოსულნი ბატონ ექიმის შსახურნი.

იყვნენ; პური და საჭმელები მოეტანათ, თანვე მოეტანათ აგრე-
თვე ერთი ბოხჩა ტანისამოსი ქალებისთვისა და ბავშვებისთვის.
სარა და ლალა საჭმელებს ახლოც არ მიჰკარებიან, მაღა სრუ-
ლიად არა ჰქონდათ; ბავშვები კი მაშინვე დაეცნენ და გამგე-
ლებული ჭამა დაუწყეს. ვიდრე სადილს გაათავებდნენ, მსახურ-
ნი გარეთ იდგნენ..

ლალამ ტანისამოსი გამოიცვალა, აგრეთვე გამოუცვალა
სარასაც და ნახევრად შიშველ ბავშვებსაც. ამ გვარათ ტანი-
სამოს-გამოცვლილი ოჯახი მონასტრის დახშულსა და წამხ-
დარ ჰაერს მოშორდა და ექიმის მიერ მიჩენილ სადგურისკენ
გაემართა.

ბ. ეგანგულოვი.

(დასასრული იქნება)



„ს ა მ ნ ი“

მ. გორგაძეს.

თარგმნილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ

რამდენიმე დღის შემდეგ იღიამ გაიგო, რომ პოლუეკ
ტოვის მოკვლა ვიღაც მაღალი ტანის კაცს ჰბრალდებოდა,
რომელსაც პოლიცია გაფაციცებით დაეძებდა უკვე. ოქმის
შედგენის დროს დუქანში ორი ნაქურდალი ხატის სამკაულო
ეპოვნათ. პატარა ბიქს, რომელიც მოხუცს ემსახურებოდა
დუქანში, ეჩვენებინა ეს სამკაულები მკვლელობის სამი დღის
წინად მოხუცმა ვიღაც მაღალ-მაღალი კაცისაგან იყიდა, რო-
მელსაც შავი ქურქი ესხა და ანდრიას ეძახდნენ; ამ კაცს
ერთხელ და ორჯერ არ მოუტანია ოქრო და ვერცხლი. და
პოლუეკტოვი ფულსაც კი ასესხებდა ხოლმეო. მერმე აღმოჩნ-
და, რომ მკვლელობის წინა ღამეს და მეორე დღეს ქალაქის
საროსკიპოში ვიღაც მაღალი ტანის კაცი ჰქეითობდა, რომე-
ლიც ძალიან წააგავდა ბავშვისაგან აწერილ კაცსა.

ყოველ დღე სულ ახალ-ახალი ამბავი ესმოდა ლუნევს ამ
მკვლელობის შესახებ: მთელი ქალაქი დაინტერესებული იყო:
თავებდური მკვლელობით—სალაპარაკო საგნად ყველგან ეს
გამხდარიყო,—მასზედ ლაპარაკობდნენ დუქნებშიც და ქუჩებ-
შიაც. ლუნევს კი სრულიად აღარ აინტერესებდა ეს ლაპა-
რაკი: მას ისე მოშორდა შიში გულიდან, როგორც ქერქი მო-

*.) იხ. „მოამბე“, 1-ლი №-რი.

შორდეს იარას, მხოლოდ ეს იყო, რომ ეხლა ცოტა მარჯვეთ ვერა ჰერძნობდა თავსა. ისმენდა უველა ამ ლაპარაკს და თან კი ჰერძნობდა: როგორ უნდა ვიცხოვრო ეხლა და შემდეგში რა მომელისო? იმაში კი, რომ ვერ იპოვნიდნენ მკვლელსა, ილია თან-და-თან უფრო ჩრდილებოდა.

ილია ისე ჰერძნობდა ეხლა თავსა, როგორც სალდათად გასა- უვანი კენჭის ამოლების წინ ან და, შორს, უცნობ გზას გამგზავ- რებული ადამიანი უნდა ჰერძნობდეს ხოლმე. იმას ეხლა უფრო სწყუროდა მარტოდ ცხოვრება, რომ თავის თავზედ ეფაქრნა, მაგრამ ცხოვრება კი ისე სდულდა მის გარშემო, როგორც წყალი ქვაბში, და ძნელად თუ გაივლიდა ისეთი დღე, რომ რამეს არ გაეტაცნა და ხელი არ შეეშალა მის ფიქრებისთვის. ილიამ ფერი დაჲკარგა, ჩამოხმა... უკანასკნელ დროს იაკობიც აღარ ეშვებოდა. გაბარჯვენილი და უგულოთ ჩაცმული, ის ამდღე უაზროთ დექხეტებოდა დუქანში თუ ეზოში, რაღაც- ნაირად გამოყრუებული გამოიყურებოდა და ისეთი გამომეტ- ყველება ჰქონდა, თითქოს რაღასაც ისაზრებს და ვერ მოუსაზ- რებიაო. შეხვდებოდა ილიას და აჩქარებულის ჩურჩულით, იდუ- მალის კილოთი დაეკითხებოდა:

— სალაპარაკოთ არა გცალიან?

— დაიცა, სადა მცალიან...

— აფსუს!.. ძალიან კი საჭირო საქმე მქონდა..

— რა არის, რა საქმე გაქვს? — დაეკითხა ილია.

— წიგნი მეტქი! ისეთ რამეებს ამბობს, რომ უჸ! — სთქვა

შემკრთალმა იაკობმა.

— ეჸ, დაიკარგე შენი წიგნებით! შენ გირჩევნია ეს მი- თხრა — რა ამბავია, რომ მამაშენი მხეცსავით მჩურებს?

მაგრამ ის, რაც ნამდვილ ცხოვრებაში ჰქონდებოდა, იაკობს არ აინტერესებდა და მისთვის შეუნიშნავი რჩებოდა: პასუხად იმან გაკვირვებით გადმოიკარკლა თვალები და თითონ დაეკითხა:

— რა იყო? მე არაფერი ვიცი. ე. ი.... ერთხელ გავიგო- ნე... ბიძაშენს ეუბნებოდა... მითომ შენ ყალბ ფულებით ვა- კრობდე... მაგრამ ისე სთქვა, რაღა...

— მერე შენ რა იცი, თუ ისე სთქვა? — ღიმილით დაეკითხა ილია:

— ეჭ რას მიჰქარავ? რის ფულებით? სისულელეა სულა!.. აქ ხელი გაიწია იაკობმა და დაპიტიქდა.

— მაშ არა გუალიან სალაპარაკოთ, ჰა? — დაეკითხა კვლავ ამხანაგი. და დაფანტული თვალებით გადახედა.

— წიგნის შესახებ?

— ჰოო... იქ ისეთი აღგილი ვიპოვნე, ჩემო ძმაო, რომ აჲ, აჲ, აჲ!..

შესძახა ფილოსოფოსმა და ისე დაილრიჯა, თითქოს რილაკით პირი გამოუთანთლიაო. ლუნევი ისე უყურებდა ამხანაგს, როგორც, თუ სრულებით სულელს არა, ცოტათი მაინც დარეტიანებულს. ხანდახან ბრმათ მიაჩნდა და ყოველთვის კი — უბედურად და ცხოვრებისათვის გამოუსადეგრად. სახლში ლაპარაკობდნენ, — და ქუჩაშიც ყველამ იცოდა უკვე, — რომ პეტრუხა ფილიმონოვი თავისს საყვარელზედ ჯვრის დაწერას აპირებდა, რომელსაც ქალაქში დიდი საროსკიპო ჰქონდა გახსნილი, მაგრამ იაკობი ამ ამბავს ისე გულგრილად ეკიდებოდა, თითქოს მას სრულიად არც კი შეეხება ეს საკითხავით და როცა ლუნევი დაეკითხა. — მალე იქნება ქორწილიო? იაკობს გაუკვირდა და თითონვე მიჰმართა მას კითხვით:

— ვისი?

— მამიშენისა?

— ჰო!.. რა ვიცი... უსირცხვილო... რა ცოლი იშვინა და — ფუ!

— შენ იცი, რომიმ ქალს მოზღიული შვილი ჰყავს, რომელიც გიმნაზიაში სწავლობს უკვე?

— არა, არ ვიცოდი... რა იყო მერე?

— არავერი... მემკვიდრე იქნება მამიშენისა...

— ჰოო! — წამოიძახა გულ-გრილად იაკობმა. მერე კი უცბად გამოცოცხლდა.

— შვილი ჰყავსო, — ამბობ?

— ჰო, ჰყავს...

— შვილი... ეგ ჩემთვის კარგიც იქნება და! რომ აიღოს
მამაჩემმა და დახლში ის დააყენოს, ჰა? მე კი გამიშვას, საცა
მინდა... რა კარგი იქნებოდა!..

და თითქოს იგემა კიდეც თავისუფლებაო, ტუჩები გააც-
მაცუნა. ლუნევმა შეხედა შებრალებით და დაცინვით უთხრა:

— ტყუილი კი არ უთქვამთ—სულელს სტაფილოც ეყო-
ფაო, და თუ პურს გაუწოდებ, არც კი გამოგართმევსო... შე
საბრალო, შენა! ვერ მომიტიქრნია, როგორ უნდა იცხოვრო
დედამიწის ზურგზედ.

იაკობმა თვალები დააფაციცა და აჩქარებულის ჩურჩუ-
ლით აუწყა:

— მეც ვიფიქრე მაგაზე, ვიცი კიდეცა ეხლა. ჯერ სული
უნდა დაიმშვიდო, რიგზე მოიყვანო... უნდა გაიგო, რას ითხოვს
შენგან ლმერთი? ეხლა მე მხოლოდ ერთსა ვხედავ: ადამიანნი
ძალას დახლართულან, ერთიერთმანეთში დაკვანძულან და
სხვა-და-სხვა მხარეს მიიწევენ—ის კი, თუ ვინ საითკენ უნდა გაი-
წიოს, ვის მიემხროს და რას მოებდლაუჭოს—ეს არავინ იცის. იბა-
დება კაცი, არავინ იცის რისთვის, რადა სცხოვრობს არ იციან,
ეწვევა სიკვდილი—და სუყველაფერს დაარღვევს... მაშასადამე,
ჯერ ის უნდა გაეიგო, რა დანიშნულება მაქვს... ესე!...

— ეჭ, გადაჭიდებიხარ შენც მაგ ფილოსოფიას,—ძალ-
დატანებით უთხრა ლუნევმა.—მერე რა აზრია მაგ ვერანაში?

ილია ცხადათ ჰერძნობდა, რომ იაკობის ბუნდოვანი აზრე-
ბი ეხლა უფრო ძრიელ აღელვებდნენ მას, სინამ უწინ და
რაღაც ფიქრებს უღვიძებდნენ; იმას ეგონა ის ვიღაც შავი,
რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგება ხოლმე ჩემს ნათელ და
მარტივ აზრებს სუფთა ცხოვრების შესახებ, ეხლა გაუმაძლრად
უგდებს ყურს იაკობის ლაპარაკს და ისე ჰბორგავს ჩემს სულსა.
და გულში, როგორც დედის მკერდში ბავშვიო. ეს სასიამოვ-
ნოდ არ მიაჩნდა ილიას, აწუხებდა, მეტად მიაჩნდა და სცდი-
ლობდა როგორმე თავი მოერიდებინა იაკობისთვის და მისი
სჯაბასი არ გაეგონა. მაგრამ ამხანაგის მოშორება აღვილი
არ იყო.

— რა აზრია? სულ უბრალო! უამისოდ — როგორც უცე-
ცხლოდ ცხოვრება არ შეიძლება. სად მიღიხარ? აჰა! ყოველ-
თვის კი უნდა იცოდე, სად მიღიხარ, რადა და სწორე გზით
მიღიხარ, თუ არა...

— შენ ბებერისავითა ხარ ეხლა, იაკობ... შენთან არ
შეიძლება არ მოსწყინდეს ადამიანს. ჩემის აზრით — ღორიც
კი ეძებს ბედსა და ადამიანი ხომ მით უმეტეს. კარგი, მშვი-
დობით.

ამისთანა ლაპარაკის შემდეგ, ილია ისე ჰერძნობდა თავსა,
თითქოს რაღაცა მღაშე უჭამიაო: რაღაც მძიმე და ძლიერი
წყურვილი არჩობდა და რაღაც უნდოდა, მაგრამ თითონ ვერ
გამოეკვლია სახელდობრ-რა. იმ სასჯელის შესახებ ფიქრინი,
რომელსაც ლვთისაგან მოელოდა, ცეცხლად ეღგზნებოდნენ
და გულსა და სულს უთუთქავდნენ. ამისთანა დროს ის მარტოო-
ბას ეძებდა, მაგრამ ვერ ეპოვნა. ამისთანა მძიმე წუთებში
ოლიმპიადასთან მიღიოდა და ქალის ხვევნაში ემალებოდა თავის
შავ ფიქრებს.

ათასში ერთხელ ვერასაც ინახულებდა ხოლმე. მხიარული,
ანგარიშ მიუცემელი ცხოვრება თან-და-თან უფრო ღრმათ
ითრევდა ამ გოგოს თვის ღრმა და მყრალ ბინძურებაში. ის გა-
ტაცებით უამბობდა ხოლმე ილიას მტიდარ ვაჭრებთან, მოხე-
ლეებთან და ოფიციებთან ქეიფე ებს, სასტუმროების და ეტ-
ლით სეირნობის ამბებს. უჩვენებდა თვის მოტრფიალეთა საჩუ-
ქრებს: ახალ კაბებს, ზედა ტანებსა და სხ. სამკაულებს. ჯანსალი,
მოყვანილი და კოხტა ის ამაყად იკვეხიდა და თავი მოსწონდა,
რომ მის მოტრფიალეთ მის გულისთვის ჩხუბი მოსდიოდათ
ერთმანეთში; ლუნევი სტკბებოდა მისი სილამაზით, სიმხიარუ-
ლით, მაგრამ არა ერთხელ და ორჯერ უთქვაშს:

— თავბრუს დაგასხამთ, ვერა, ეგ თამაშობა...

— მერე რა? ურია წყალს მიპქონდა და გზაც ის იყოო...
იმას მაინც ვიტყვი, შახად ვიცხოვრე მეთქი. მივიღე, რაც შე-
მეძლო, და გავათავე-მეთქი.

— მერე, პავლე...

სიყვარულის ხსენებაზედ ვერას წარბები შეუთამაშებდნენ
და სიმხიარულე ეკარგებოდა.

— დაენებებინა თავი... — იტყოდა ხოლმე. — იტანჯება ჩე-
მი გულისთვის... და კმაყოფილდეს იმას, რაც არის... არა, იმას
სულ უნდა... მე ეხლა ველარ გავჩერდები... ჩაითრია პუზი ბა-
დაგმა...

— აღარ გიყვართ? — დაეკითხა ილია..

— იმის არ სიყვარული არ შეიძლება, — უხუმრად უპასუ-
ხა ვერამ. — საკვირველი. რამ არის...

— მა რალა გინდათ? გეცხოვრნათ ერთათ...

— იმასთან? რომ კისერზედ დავაჯდე? ის თავისთვისაც
ძლივსა შოულობს ლუკმა პურსა და მე საიდან შემინახავს? არა,
მე საქმაოდ მეცოდება, საწყალი, რომ....

— ფრთხილად კი, ვერა, ცუდი არაფერი მოხდეს... პავლე
მკაცრი ხასიათისაა! — გააფრთხილა ერთხელ ლუნევმა, მაგრამ
ქალმა გაიცინა.

— ვინა? პავლე? სულ ჩვილი ხასიათისაა... მე როგორც
მინდა, ისე მოვხრი...

— უფრო რომ დაამტვრევთ...

— ოჲ, ღმერთო! — შესძახა მწარედ ვერამ. — მაშ რა ვქნა?
ნუ თუ ერთი ადამიანისთვის ვარ დაბადებული? ყველას უნდა
მხიარულად ცხოვრება... და ყველა თავისთვისა სცხოვრობს...
ისე როგორც თითონ უნდა და როგორც თითონ მოსწონს...
თითონ ისიც ეგრეა თქვენცა და მეც...

— არა, თქვენ ცოტასა სცდებით! — მიუგო ჩაფიქრებით
ილიამ. — ვსცხოვრობთ კი ყველა... მაგრამ ჩვენთვის კი არა...

— მაშ ვისთვისა ვსცხოვრობთ?

— აი, თქვენ, მაგალითად, ვაჭრებისთვის... და სხვა-და-
შხვა მოქეიფებისთვის...

— მე თითონ მოქეიფე ვარ, — მიუგო ვერამ და მხიარუ-
ლად გადიხარხარა.

ლუნევი ყოველთვის ნაღვლიანი წავიდოდა ხოლმე ქალი-
სგან. პავლე მთელ ამ დროს განმავლობაში ორჯერ თუ სამჯერ

ნახა, შეონი, და ისიც თვალის მოკვრით. უერასთან როცა შეხვდე ბოდა ამხანაგს, პავლე იღუშებოდა და ბრაზობდა, ლუნევთან ხმა ჩაკერძილი და კრიჭა მოკერილი იჯდა და გამხდარ ლოკებზე წითელი ლაქები გამოაჩნდებოდნენ ხოლმე. ილიას ესმოდა, რომ ამხანაგი იჭვნეულობდა და ეს მეტად სასიამოვნოდ მიაჩნდა, თუმცა იმავე დროს ჰედავდა, რომ გრაჩევი მახე-შია მოყოლილი და ძნელად თუ გამოჰყოფს მისგან უდანაშაულოდ თავსაო. პავლეს და უფრო ვერას სიბრალულმა აიძულეს ილია, რომ ქალთან სიარული შეეწყვიტნა. ოლიმპიადა-სთან ისევ ახლად ჯვარდაწერილსავით სცხოვრობდა, თუმცა აქაც გამოუტყვრებოდა ხოლმე ილიას პატარა სუსხი, რომელიც გულს უსუსხსავდა და უგმირავდა. ხანდახან, ლაპარაკის დროს, უცბად დაღონდებოდა და დაჰფიქრდებოდა ხოლმე. ამისთანა შემთხვევებში ოლიმპიადა ეუბნებოდა ალერსით:

— ჩემო კარგო! ნუ ჰელიქრობ.. . ცოტაა ქვეყანაზე ისეთი კაცი, რომელსაც ხელები სუთთა ჰქონდეს...

— იცი, — ეტყოდა ბოლმე უკეთად ლუნევი, — ნუ ჩამო-მიგდებ ხოლმე მაგაზე ლაპარაკსა. მე ხელებზედ კი არა, სულ-ზედა ვფიქრობ... შენ თუმცა ქვეიანი აღამიანი ხარ, მაგრამ ჩემ ფიქრებს მაინც ვერ მიხვედრილხარ... შენ, აი, თუ ვინდა, ეს მითხარი: რა უნდა ჰქნას აღამიანმა, როგორ მოიქცეს, რომ პატიოსნად და სუფთად იცხოვროს, მშვიდად და ხალხის უწყინ-რად გაატაროს თავისი დღენი? დიალ... ბებერზედ კი ნურას იტყვი...

მაგრამ ქალს ვერ მოეხერხებინა მოხუცზედ სიჩუმე და სულ-იშას ჩასჩიჩინებდა — დაივიწყე და ნუ ნაღვლობო. ლუნევი გა-ჯავრდებოდა და შინ წავიდოდა ხოლმე. როცა დაბრუნდებოდა, ქალი გაცოფებული უყვიროდა: სიყვარული კი არა, სიბრა-ლული და შიში გაერთებს ჩემთანაო; მაგისთანა ცხოვრება არ მინდა თავს დაგანებებ და სხვა ქალაქში წავალო. ამასთან სტი-როდა, სჩემეტავდა ილიას, ჰკბენდა, ფეხებს უკოცნიდა და გა-შმაგებული გატიტვლდებოდა, დადგებოდა მის წინ დედიშობი-ლა და ეუბნებოდა:

— იქნება ლამაზი არა ვარ? ან სხეული არ მივარგა? ყოველი ძარღვით მიყვარხარ, მთელის ჩემი სისხლით, მთელის არსებით... ამკაფე, თუ გინდა—მე სიცილათაც არ მეყოფა...

მტრედის ფერი თვალები ელულებოდნენ, ტუჩები გაუმაძლრად უცახცახებდნენ და მკერდი ისე ეწეოდა. მაღლა, თითქოს მიეჩარება, რომ ილიას მიეგებოსო. ილია ეხვეოდა, ჰეოცნიდა, სანამ ძალა შესწევდა, და შინ როცა მიღიოდა, ჰეიქ-რობდა: ამისთანა ცოცხალი და ფიცხი ადამიანი როგორ იტანდა მოხუცის საზიზლარ ხვევნა-კოცნასა? ამისთანა დროს ოლიმპიადა სიზიზლრად და სასაცილოდ მიაჩნდა და ზიზლით იფუროხებოდა, როცა მის კოცნას მოიგონებდა ერთხელ, ქალის გაშმაგების შემდეგ, ალერსით გამაძლარმა ილიამ უთხრა:

— მას შემდეგ, რაც ის ძველი მაიმუნი დავახრჩე, შენ უფრო შემიყვარე, აი...

— მართალია... მერე რა?

— არა-ფე-რი... სასაცილოა... არის ისეთი ხალხი... იმათ ლაყე კვერცხი ახალზედ უფრო გემრიელად ეჩვენებათ, და ზოგს დამპალი ვაშლის ჭამა უყვარს... საკვირველია...

ოლიმპიადამ გადახედა დაღვრემილის თვალებით და მისუსტებულის ხმით უთხრა:

— ყველას თავის ხასიათი და გემოვნება აქვს: ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო,—ხომ გაგიგონია?...

და ორთავენი დაუიქრდნენ.

ერთხელ, როცა ილია დაბრუნდა შინ ქალაქიდან და თავის ოთახში ტანთ-საცმელს იცვლიდა, ოთახში ჩემად ტერენტი შემოვიდა, მაგრად მიხურა კარი, რამდენიმე წუთს ისე იყო გაჩერებული, თითქოს რაღასაც ყურს უგდებსო, და მერმე კარები გადარაზა. ილიამ შენიშნა ყველა ესა და ლიმილით გადახედა ბიძას.

— ილო! — დაიწყო ნახევარის ხმით ტერენტიმ და სკამზე ჩამოჯდა.

— რა იყო?

— რაღაც ცუდი ხმები დადის შენზედ... ცუდათ ლაპა-
რაკობენ... — აქ ლრმათ ამოიოხრა კუზიანმა და თვალები ძირს
დაუწევა.

— მაგალითად, რაო? — დაეკითხა ილია და თან წულების
ხდა დაიწყო.

— რა ვიცი... ზოგი რას ამბობს, ზოგი რასა... ერთნი
ამბობენ, მითომც იმ საქმეში მონაწილეობა მიგელოს... აი მო-
ხუცი, რომ დაახრჩეს... მეორენი — ყალბი ფულითა ვაჭრობსო...

— რა, შურთ თუ როგორ არის იმათი საქმე? — დაეკითხა
ილია.

— ვიღაცები დაიარებოდნენ, მჯონი, ჯაშუშები იყვნენ...
და პეტრუხას ეკითხებოდნენ შენზედ...

— ჰო და რა გენალვლება, ილაპარაკონ რა... — გულ-გრი-
ლად უპასუხა ილიამ.

— რასაკვირველია! ჩვენ რა საქმე გვაქვს იმათთან, თუ
ცოდვა არ გვაწუხებს?

ილიამ გაიცინა და ლოგინზედ გადაგორდა.

— ეხლა კი თავი დაგვანებეს... აღარ მოდიან, მაგრამ ეხ-
ლა... თითონ პეტრუხამ დაიწყო.... — გაუბედავათ ამბობდა ტე-
რენტი. სულ სისინებს გველისავით... სადმე სხვა სახლში მაინც
გადასულიყავ... დაგექირავებინა პატარა ოთახი და გეცხოვრა
შენთვის, ჰო, ღმერთმანი! თორემ პეტრუხა ამ დღე გაიძახის...
მე ჩემს სახლში საეჭვო ხალხს ვერ შევინახავო, მე ხმოსანი კაცი
ვარო...

ილია გადმობრუნდა ბიძისკენ და ბრაზისაგან წამოწითლე-
ბული სახით უთხრა:

— იცი... თუ ცოტა ოდნათ მაინც აფასებს თავისს საძა-
გელ ცხვირ-პირს ის შენი პეტრუხა — ურჩევნია გაჩუმდეს. ეგ-
რე უთხარი... მოკრავ თუ არა ჩემზედ ცუდათ ნათქვამ სიტ-
ყვას ყურსა, თავს გავუჭეჭყავ! ვინც უნდა ვიყო და რაც გინდა
ვიყო, მაგ ქურდისა და ავაზაკის საქმე არ არის ჩემი განსამარ-
თლება და კიცხვა. აქედან კი წავალ... როცა მენდომება. ჯერ
კი არ წავალ. კიდევ მინდა მართალ და სპეტაკ ხალხთან ცხო-
ვრება.

კუზიანს შეეშინდა. რამდენიმე წუთი უნძრევლივ და ხმა ამოულებლივ იჯდა სკამზედ, კუზს იფხანდა და განივრად და ლებულ თვალებით, მოკრძალებით და რიღაცის მოლოდინით შეჰყურებდა ძმისწულს. ილიას მაგრა მოეჭირა კრიჭა, ტუჩები მოეკუმშა და თვალებ დაჭყეტილი ჭერს შესცეკროდა. ტერენტიმ აათვალიერა ჩათვალიერა ილია, ყურადღება მიაქცია იმის ხუჭუჭე თმას, ლამაზს, დაფიქრებულ ახლად ათქორებულ ულვაშებით დაშვეენებულ ხახეს, შეპხედა მის განიერ მხარბეჭს, წინ წამოვარდნილ მკერდს და ოხვრით, ნელის ხმით წაილაპარაკა:

— რა კარგი რამ განდი!.. სოფელში გოგოები გაგიუდებოდნენ ეხლა შენთვის... ეჭ, სოფელში მაინც იყო...

ილია ხმას არ იღებდა.

— ღმერთმანი... მშვენივრად იცხოვრებდი! მე ფულებს გიშოვნიდი და პატარა დუქანს გაგიხსნიდი, ერთი შეძლებული ქალიც რომ გეშოვნა!... ისე წავიდოდა შენი ცხოვრება, როგორც მთიდან დაცურებული მარხილი.

— მერე, რა იცი, იქნებ, მე მაღლა მინდა ასვლა? — მკაცრად დაეკითხა ილია.

— მაღლა მაშ! — უცბათ ჩამოართვა ტერენტიმ სიტყვა. — მე დაცურება სიტყვის მასალათ ვიხმარე — ისეთი მსუბუქი ცხოვრება გექნება მეთქი. ამისთანა ცხოვრება მაღლა წაგიყვანს, რასაკვირველია...

— იმ სიმაღლიდამ სადღა წამიყვანს? — დაეკითხა ილია.

კუზიანმა გადახედა ილიას და რაღაც უგემურად ჩაიცინა. მერე ისევ გააბა რაღაცაზედ ლაპარაკი, მაგრამ ილია ყურს აღარ უგდებდა. ის ეხლა სულ სხვა ფიქრებით იყო გართული. მოიგონა ყველაფერი, რაც გამოევლო ამ მოკლე ხანში, და ჰფიქრობდა რა მარჯვეთ უერთდება ცხოვრებაში ერთი. შემთხვევა მეორეს და როგორ ბადესავით იგრიხება და იხლართება ყველაფერით. შემოეხვევიან კაცს სხვა-და-სხვა შემთხვევანი და მიჰყავთ, საცა უნდათ, როგორც პოლიციას ავაზაკი. აი გინდა ეს შემთხვევა აელო, ილია თითონა ჰფიქრობდა, როგორ მოვ-

შორდე ამ სახლსა, როგორ გავეცალოვო და აგერ მშვენიერი შემთხვევა ეძლევა. ილიამ შიშით დააშტერა ბიძას თვალები, მა- გრამ ამ დროს კარები ვიღაცამ დაარაკუნა და ტერენტი შე- შინებული ფეხზედ წამოხტა და ხესავით გაჩერდა.

— ეჰ, კარგი, გააღე, — დაუყვირა გაჯავრებულმა ილიამ.

კოჭაკი რომ ამოაგდო კუზიანმა, კარებში იაკობი გამო- ჩნდა, რომელსაც ხელში დიდი წითელი წიგნი ეჭირა.

— ილია, შენ... ის... იცი... მოდი მაშოსთან წავი- დეთ, — უთხრა გამოცოცხლებულმა იაკობმა და ლოგინს მიუს- ლოვდა,

— რა დაემართა, რა იყო? — დაეკითხა აჩქარებულად ილია.

— მაშოსა? არ ვიცი... ის შინ არც კია...

— სად დაიწყო ე სალამ-სალამონპით ხეტიალი? — დაეკი- თხა ცუდი ხმით კუზიანი.

— მატიცას დასდევს, — მიუგო იაკობმა.

— მატიცა კარგს არაფერს შეკყრის, — ნელა წაიბუტბუტა ტერენტიმ.

— არა უშავს-რა... წამო, ილო!

იაკობმა მაჯაში წაავლო ხელი და ეჯიჯგილავებოდა.

— დამაცა! — უთხრა ლუნევმა. — რა, ჯაჭვიდან გამოქცე- ულხარ, თუ როგორ არის შენი საქმე?

— იცი — სწორედ შავი მაგია ყოფილა, ღმერთმანი! — ნახე- ვარის ხმით აუწყა იაკობმა.

— ვინა? — დაეკითხა ილია და თან თბილი წალების ჩაცმა დაიწყო.

— ვინა კი არა, ეს წიგნი... ღმერთმანი! აი შენ თითო- ნა ნახავ... წავიდეთ! საკვირველია, სწორედ! — განაგრძო ია- კობმა და თან ბნელს დერეფანში მიათრევდა ილიას. — ისეთ რამ არის, რომ გეშინიან კიდეც, როცა ჰკითხულობ, მერე ისე ითრევს კაცს შიგა, როგორც მორევი.

ილია ჰგრძნობდა ამხანაგის ღელვას, ესმოდა როგორ უთხ- თოდა მას ხმა და როცა მეჩექმის ოთახში შევიდნენ და სანათს მოუკიდეს ცეცხლი, დაინახა, რომ იაკობს სახე გადაჰფითრებო-

და, თვალები ამღვრეოდა და მთვრალსავით კმაყოფილად გამოიყურებოდა.

— შენ გადაგიკრავს, თუ როგორ არის შენი საქმე? — დაეკითხა ილია და იჭვის თვალით დააცემოდა მეგობარს..

— მე? არა, დღეს ერთი წვეთიც არ დამილევნია... მე ეხლა აღარა ვსვამ... ისე გულის გასამაგრებლად თუ, როცა მამა შინაა, ორ-სამ ჭიქას გადავცეცხლავ და მეტს კი აღარა!.. მამისა მეშინიან... მარტო იმისთანასა ვსვამ, რასაც არაყის სუნი არ უდის... ეჭ, დავანებოთ ამას თავი, — ყური მიგდე!

ის ხმაურობით დაჯდა სკამზედ, გადაშალა წიგნი, დაბლა დაიხარა თავი და დროთა ვითარებისაგან გაყვითლებულ სქელ ფურცლებზე თითის ტარებით, აცახცახებულის ხმით დაიწყო:

— „თავი მესამე: პირველ დაწყება აღამიანთა“ — ყური უგდე!

ამოიოხჩა, მარცხენა ხელი მაღლა აიშვირა, მარჯვენა ხელის თითი სტრიქონებს გააყოლა და ხმა-მაღლა დაიწყო კითხვა:

„მოგვითხრობენ რა აღამიანთა პირველ დაწყებას — როგორათაც გვემოწმების დილილორი — მამანი კეთილს-მყოფელნი“, — გესმის? კეთილსმყოფელნიო! — „რომელიმცა განსჯიდეს. ბუნებასა ყოვლის არსისა, განიყოფებიან თვის აზრთა დენით ორ-ჰირად. ზოგნი მამანი ჰქალაგებენ: ქვეყანა ესე გაჩენილ არ არს და არცა აქვნთ დასასრულ და ტომთა აღამიანთასა არა აქვნთ დასაწყის.“

იაკობმა თავი აიმაღლა და ხელის ქნევით, ჩურჩულით წარმოსთქვა:

— გესმის? არა აქვნთ დასაწყის!..

— წაიკითხე, წაიკითხე! — უთხრა ილიამ და ეჭვის თვალით გადახედა ტყავის ყდაში ჩასმულ წიგნსა. მაშინ კვლავ გაისმა იაკობის ნელი, მაგრამ აღტაცებული ხმა:

„ამასა, აზრსა ჰქალაგებდეს, როგორაც გვემოწმების ციცერონ — სამის პითაგორი არხიტ ტერენტინი, პლატონი ათონელი, კსენოკრატი, არისტოტელი სტაგირიტისა და ბევრნი სხვა პერიპატეტიკუნი ამბობდეს: ყოველსაც რაცა, არს ქვეყა-

ნასა ზედა და კვალამუა დაიბადების, დასაწყისი არა აქვნთ. —ჰედავ კიდევ იმეორებს, არა აქვთ დასაწყისიო! „ვინაიდგან დამბადებელნი და დაბადებულნი შეადგენენ ერთსა დაუსრულებელსა წრესა და ყოველიმუა დაბადებული მას შიგან ჰპოვებს დასაწყისაც და დასასრულსაც თვისისა“....

ილიამ გაწოდა ხელი, დაუხურა წიგნი და დაცინვით უთხრა:

— ეჭ, გადააგდე ერთი... ვიღაც ნემეცებს, მოცლილნი ყოფილან და რაღაც დაუჯღაბნიათ — ჰპოვებს, ჰპოვებს! — ვერაფერ გაიგებს ადამიანი...

— დაიცა! — შიშით მიიხედ-მოიხედა იაკობმა, თვალები ამხანაგს დააჭყიტა და ნელის ხმით დაეკითხა:

— შენ იცი შენი დასაწყისი?

— რა დასაწყისი? — შეუტია გაჯავრებულმა ილიამ.

— ნუ ჰყვირი... აი, მაგალითად, შენი სულის დასაწყისი. სულით იბადება ადამიანი, ხომ?

— მერე?

— მაშასადამე, უნდა იცოდეს — საიდამ გაჩნდა და როგორ? სული უკვდავიაო, ამბობენ... ყოველთვის არსებობდაო, ხომ? დამაცა, დაძაცა! იმის ცოდნა კი არ არის საჭირო, როგორ დაიბადე, ის უნდა იცოდე — როგორა სცხოვრობდი... როდის დაიწყე ცხოვრება? როდის გაიგე, როდის მიხვდი, რომ სცხოვრებ? დედის მუცელში? კარგი! მაშ რატომ არ გახსოვს ან დაბადებამდინ როგორა სცხოვრობდი, ან და მით უმეტეს დაბადების შემდეგაც ჰირველი თთხი თუ ხუთი წელიწადი, რატომ არ გახსოვს, ჰა? ჰომ! თუ სულია და როდის ჩაგიდება ხოლმე ჯანში? აბა?

იაკობს სიხარულით თვალები უბრწყინავდნ, სახეზედ სიამოვნების ღიმი უკრთოდა და ილიასთვის გაუგებარი აღტაცებით შესძახა:

— ეგეც შენი სული!

— რეგვენო! — სასტიკათგადახედა ილიამ და უთხრა. — მე-რე რა გახარებს?

— მე... კი არ მიხარიან... ისე...

— კიდეც ეგ არის, რომ ჩისე! მე შენ გეფტნები გადა-
ტდე მეთქი ეგ წიგნი. ხომ ხელავ, ლვოის წინააღმდეგ არის
დაწერილი. საქმე იმაში კი არ არის, მე რადა ვცხოვრობ, რა-
და ვარსებობ, საქმე იმაშია — როგორ ვიცხოვრო? როგორ
ვიცხოვრო, რომ სუყველაფერი სუფთა, სასიამოვნო მქონდეს, მე
არავინ მაწუხებდეს, არ მავიწროებდეს და მეც არავის ვერჩო-
დე? აი მიპოვნე ამისთანა წიგნი, სადაც ეს კითხვები იყვნენ
განმარტებულნი, იმას წავიკითხავ...

იაკობი თავზალუნული და დაფიქრებული იჯდა. მისი
აღტაცება ჩაჭქრა, რაკი თანაგრძნობა ვერ ჰპოვა ამხანაგში.
პატარა სიჩუმის შემდეგ უთხრა ამხანაგს:

— გიყურებ... და რალაც არ მომწონს შენში... მე შენი
აზრები არ მესმის... მაგრამ იმას კი გამჩნევ, რომ ამაყობა
დაიწყე და თავი მოგაქვს, თითქო... ისე ისახავ თავს, თითქოს
წმინდანი იყო...

ილიამ გაიცინა.

— რას იცინი? ღმერთმანი, ყველასა ჰკიცხავ... არავინ
არ გიყვარს, თითქო...

— მართალია, არ მიყვარს, — მიუგო მკაცრად ილიამ. —
ვინ უნდა მიყვარდეს? რა მაჩუქეს, რა მიწყალობეს, რომ შე-
ვიყვარო?.. ყველას სხვის კისერზედ ჯდომით უნდა ლუკმა პურ
რი მოიპოვოს და მაინც გაიძახიან: გიყვარდე და პატივსა მცემ-
დეო! იპოვნეს სულელი, როგორ არა! შენ მეცი პატივი და
მეც პატივსა გცემ. მე ჩემი წილი ჭომე... და იქნება შეგიყვა-
რო კიდეცა! სუყველას ერთნაირად გვინდა ჭამა, ცხოვრება...

— მე მგონი, მარტო ჭამას არ დაეძებს ადამიანი, — უკმა-
ყოფილოდ მიუგო დაკობმა.

— ვაციო! ყველა სცდილობს რამეს მოეფაროს, მაგრამ
ეს ხომ მარტო ნილაბია! აგერ ბიძა ჩემი ღმერთს ეკაცრება,
თითქოს ნოქარია და თავისს ბატონს ანგარიშს აძლევსო. მამა
შენმა „ხაჩვრები“ შესწირა ეკალესიას, მე აშაზედ ვატყობ, რომ
ან გაუყვლეფია უკვე ვიღაცა ან და აპირებს ამის ჩადენას...

სუყველანი ეგრე სჩადიან, საითაც გინდა, მიღხედე... მე მოგცემ გროშსა, თუ დამიბრუნებ ხუთსა—ყველა ასე ჰფიქრობს... წაიკითხე გაზეთებში, მიგუნოვმა სამასი მანათი შესწირა საავადმყოფოს და მერე ქალაქსა სთხოვდა — ნედოიმკები მაპატიეთო?.. ნედოიმკები კი ათასს უდრიდნენ. ყველანიც ცბიერობენ და ერთმანეთთან თავს იმართლებენ. ჩემი აზრით კი — შესცოდე ნებსით თუ უნებლიერ, გაიშვირე კისერი და სასჯელს ელოდე...

— ე მაგას მართალს ამბობ, — სთქვა დაფიქრებით იაკობმა, — მამაზუდაც მართალი სთქვი, კუზიანზედაც... ეჭ, ჩვენ ადგილას ვერა ვართ მე და შენ დაბადებულნი! შენ თუმცა ბრაზიანი ხარ, კიდევ იმაში პპოვებ მშვიდობას, რომ სუყველასა ჰკიცხავ... მე კი — ეგეც არ შემიძლიან... ეჭ, წავთრეულიყავ საღმე მაინც! — შესძახა ნალვლიანად იაკობმა.

— სად წახვალ? — დაეკითხა ილია, თითქოს დასცინისო.

— ეგ არის და!..

ორთავენი გაჩუმდნენ და დალვრემილნი უსხდნენ მაგიდას. მაგიდაზედეჭი დიღი, ტყავ გადაკრული, წიგნი იღო...

დერეფნიდან ხმაურობა მოისმა, მერე ვიღაცის ხელი კაიხანი ეხახუნებოდა კარებს, ეტყობოდა, გაღებას ჰლაშოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. ამხანაგნი დალუმებულნი უცდიდნენ. კარმაჭრაჭუნი დაიწყო, ნელ-ნელა გაიღო და სარდაფში პერფიშა შემოფარფატდა. წამოჭკრა ზლრუბლს ფეხი და წაიჩოქა. მაღლა აწეულ მარჯვენა ხელში თავისი განუშორებელი მეგობარი „ბუზიკა“ ეჭირა.

— ტკრუ! დაიყვირა და მთვრალის სიცილით გაიცინა. მეჩექმე პერფიშას მატიცა შემოჰყევა. ქალი შემოვიდა თუ არა დაიხარა, წავლო მეჩექმეს მხრებში ხელი, დაუწყო წევა და რან ლლოლნით ელაპარაკებოდა:

— ეჭე, როგორ გამო... ბლეჩილ... ხარ... ეე, შე ლოთითა-ჩო...

— მაჭანკალო! თავი დამანებე... მე თითონ... ავდგები...

პერფიშა ძლიერ ძლიერობისას წამოდგა, ტორტმანით შიუ-ახლოვდა ამხანაგებს და მარცხენა ხელი გაუშვირა:

— გამარ-ჯვე..ბათ! გენაცვა-ლეთ ყა-ყრან ტო-ში!..

მატიცამ უაზროთ ბოხი ხმით გადიხარხარა.

— საიდან მობრძანდით? — დაეკითხა ილია დაცინვის კოლოთი.

იაკობი კი ლიმილით შესკეროდა მთვრალებს და გაჩუ-მებული იჯდა.

— საიდამ? ზეციდამ... ხა, ხა! ბი-ჭე-ბო! ოჰ, თქვენი ჭირი-მე! — პერფიშა ფეხების ბარტყუნს მოჰყვა და შემოსძახა:

„შატათა ძვლებჲ, საბრალოებო,
სანამ წერილნი ხართ, ჩვენ არ გვინდიხართ;
რომ მთიზრდებით პატარას კიდევ,
გასასუიდათა ბაზარს გაგიუვანთ...“

— მაჭანკალო! გაგიხმეს თავი... მოდი ის სიმღერა ვსთ-ჭვათ... შენ რომ მასწავლე... აბა!..

მივიღა, მატიცას ამოეტუზა გვერდით, ზურგით ბუხარს მიეყუდა და იდაყვით მატიცის გვერდში ცემით „ბუზიკის“ დაკვრას ჰლამობდა.

— მაშიკ სადღაა? — მკაცრად დაეკითხა ილია.

— მართლა ეე! — შემცვირა იაკობმა და წამოხტა სკამი-დან — რა უყავით მაშიკო, სად არის?

მაგრამ მთვრალებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს იმათ ყვირილს!. მატიცამ გვერდზე გადიქინდრა. თავი და შემოსძახა:

„არაუისთანა კარგი რა არის,
ის უტკბესრა უველავურზედა“.

პერფიშამ გაიქნია ჰაერში თავისი „ბუზიკა“ და მაღალის ხმით ჩამოართვა სიმღერა:

„მაშ გადავხუსოთ ერთი კიდევა
და მიგაუზღუდოთ შეორეც ზედა“.

ილია წამოდგა, მოჰკიდა მხარში ხელი და ისე შეარყია, რომ პერფიშკამ თავი კედელს მიახალა.

— ქალი რა უყავი, მეთქი?

— ქალი წა-ვი-და და და-ი-კარ-გა შუა-ლა მი-სას, —უაზ-როდ წაილულლულა პერფიშკამ და ხელი მოისვა თავზე.

იაკობი მატიცას ჩასციებოდა, მაგრამ მთვრალი დედაკაცი ღრეჭით ეუბნებოდა:

— ვერ გი-თხა-რი! ვერ გით-ხარი. მე ვარ ტა არ გეტყვი!.

— იქნება გაჰკიდეს კიდეცა მაგ თხრებმა და! — მკაცრი ღიმილით მიუბრუნდა ილია ამხანაგს. იაკობმა შემკრთალის თვალებით გადახედა ილიას, მერე ისევ პერფიშკას მიუბრუნდა და საბრალო ხმით დაეკითხა:

— პორფირე, მითხარი, სად არის მაშიკო?...

— მა-ში-კო! — დაცინვით გააგრძელა მატიცამ. — აჲა! მოიფხანე თავი?!...

— ილია! რა უნდა ვქნათ ეხლი? — მთრთოლვარე ხმით დაეკითხა იაკობი მეგობარს.

— პოლიციას უნდა გამოვუცხადოთ, — მიუგო ილიამ და, დაღვრემილმა, მრისხანედ გადახედა მთვრალებს.

— მაჭანკალო! — შეჰკირა უცბად პერფიშკამ, თითქოს ეხლა გამოფხიზლდა მაგარის ძილისაგანო — გესმის? პოლიცია... უნდათ... ხა, ხა, ხა!..

— პოლი-ც-ი-ა-ო? — შეჰლრიალა მატიცამ, გადმოიბრუნა თავისი მსხვილი თვალები, იაკობს მიაჩერდა და განაგრძო:

— თქვენ თითონ არა გნებავთ ის პო-ლიცია? არა გნებავთ? და მე-კარ-გერით ამ საათ-ში ჩემი სახლიდან! ეს ჩემი სახლია ეხლა! ჩვენც დავიწერეთ ჯვარი...

— ხა, ხა, ხა! — წაიცლო მუცელზე ხელი და მოჰკვა ხარხარს პერფიშკა.

— წავიდეთ იაკობ, — მიუბრუნდა ილია ამხანაგს, — ეშმაკიც ვერაფერს გაარჩევს მაგათ ლაპარაკიდან... წამო!

— დაიცა! — ეუბნებოდა დაფანტული იაკობი. — ნუ თუ მართლა გაათხოვეს? მაშო გაათხოვეს? განა ეს საფიქრებელია? პერფიშკა... მითხარი, მართლა გაათხოვეთ მაშო, მითხარი?

— მატიცა! ჩემთვი მე-ულ-ლევ! გა მა-ცა ესენი... გარეკე... ხა, ხა! მაშო სად არის?

პერფიშკამ ტუჩები მოიკუშა, ეტყობოდა, დასტვენას აპირებდა, მაგრამ ვერ მოახერხა და ამის მაგიერ ენა გამოუყო იაკობს და ისევ გადიხარხარა. მატიცა ილიაზე იწევდა და გა-ცოფებული ჰყვიროდა:

— შენ ვინ-ლა ჰელი-ხარ? შენა გვო-ნი ა მე არ ვი-ცი?

ილიამ ხელი ჰქონა, მოიშორა თავიდან მთვრალი დედა-კაცი და სარდაფიდან გავიდა. დერეფანში იაკობი წამოეწია, მხარზე დაადო ხელი, შეაჩერა და სიბნელეში ლაპარაკი და-უწყო:

— განა შესაძლებელია ესაჩი ნუ თუ ამისთვის არ დაისჯე-ბიან? ილო, გოგო პატარა იყო და ნუ თუ გაათხოვეს?

— ნუ გააჭირვე საქმე! — მკაცრად შეაწყვეტინა ილიამ ლა-პარაკი, — ეხლა გვიან-ლაა. თუ ჭიუა გქონდა, წინათვე უნდა გედევნებინა თვალი... შენ დასაწყისს ეძებდი და აგერ მაგათ დაუსრულებიათ კიდეცა...

იაკობი ჩაჩუმდა, მაგრამ რამდენიმე წუთს შემდეგ, ეზოში რომ გავიღნენ, ისევ დაიწყო:

— მე დამნაშავე არა ვარ... მე ვიცოდი, რომ სათხოვრად დადიოდა... ვილაცის ოთახებს უვლიდა...

— რა ჩემი საქმეა, დამნაშავე ხარ თუ არა! — შესძახა მკაცრად ილიამ და შეჩერდა შუა ეზოში. — უნდა როგორმე გავშორდეთ ამსახლსა... ცეცხლი უნდა წავუკიდოთ სწორედ... ჰა, ღმერთმანი!..

— ოჳ, ღმერთო, ღმერთო! — შესძახა ნელის ხმით იაკო-ბმა ილიას ზურგს უკან. ილია მობრუნდა, — იაკობი ხელებ ჩამოშვებული, გალაჩრებული იდგა და ისე ჩამოექინდრა თავი, თითქო მოელის, ი ეხლა დამარტყამენ და აი ეხლაო.

— ჰმ... ეხლა იწრიპინე! — უთხრა დაცინვით ილიამ და წავიდა. იაკობი მარტო დარჩა სიბნელეში.

მეორე დღეს დილით ილიამ პერფიშკასაგან გაიგო, რომ მაშო მართლა ორმოცდა ათი წლის, ახლად დაქვრივებულის ხერენოვისათვის მიეთხოვებინათ.

თავის ქანდურით,—ეტყობოდა ნაბახუსევი თავი ცოტათ არა სტკიოდა,—პერფიშა ძლიეს იბრუნებდა პირში ენასა და დაფანტულად მოუთხრობდა ილიას:

— ის მეუბნება: მეო ორი შვილი მყავსო... მართლა ორი ბიჭი ჰყავს, ერთი ხუთი წლისა და მეორე სამისა. პო და ისაო... იმათ მომვლელი უნდათო... ძიძა, რაც გინდა იყოს, უცხო იქნებაო... ქურდობას დაიწყებს და სხვაო... აი, თუ გინდა დააჯერე შენი ქალიო... პო და მეც დავაჯერე... მატიცაც ბევრს ელაპარაკა... მაშიკ ჭიკვიანი გოგოა... ხელად მიხვდა სუსკველა ფერს... მაშ რა გზა ჰქონდა?.. ჩვენთან ეცხოვრა ცუდათ თუ წავიდოდა საქმე, თორემ ამაზედ უკეთესად—არასოდეს!.. სულ ერთიაო, წავუვებიო... ღიახ! პო და წაჲყვა კიდეცა. ორ დღეში საქმე გაეჩარხეთ... მე და მატიცას სამ-სამი მანეთი გვერ გო... მაგრამ გუშინვე შევჭიმეთ სულა!.. რა ზორბათა სვამი ეგ ოხერი მატიცა, კაცო... ცხენი ვერ დაჲლევს იმოდენას, ღმერთმანი!..

ილია ყურს უგდებდა გაჩუმებული და კარგად ესმოდა, რომ მაში ისე კარგათ მოწყობილიყო, რომ უკეთესის მოლოდინი არც კი შეიძლებოდა კაცს ჰქონებოდა. მაგრამ მაინც ებრალებოდა საწყალი გოგო. თუმცა უკანასკნელ დროს არც კი ჰქონდა ხოლმე და არცა ჰთიქრობდა მაზედ, მაგრამ ეხლა კი ასე ეფონა უიმისოდ მთელი სახლი დაცალიერდა, უფრო გაფუჭდა და გაბინძურდათ...

პერფიშას ჩაყვითლებული და დასიებული ცხვირ-პირი ილიას შესჩერებოდა და მისი დახრინწიანებული ხმა შემოდგომით ხეზედ ჩამოტეხილ ტოტსავით ჭრაჭუნებდა. ლუნევი შეპყურებდა პერფიშას და გულზედ რალაც აწვა მძიმე ლოდსავით და რალაც გრძნობა აწუხებდა.

— ხრენოვმა მიბრძანა—ჩემს ოჯახში ფეხის შემომდგრელიც კი არ იყოო! ჩემ დუქანში... ხანდახან შეგიძლიან მოხვიდე... ჩასაცეცხლებელს მოგცემ ხოლმეო... მაგრამ ჩემი სახლიასა... როგორც სამოთხისა—იმედიც კი ნუ გექნებაო!.. ილია იაკოვლევიჩ! ერთ შაურს ხომ ვერ მომცემთ, რომ გამომხმარი ყელი ჩავისველო? მომე, შენი ჭირიმე, უარს ნუ მეტყვი.

— დამაცა, მოგცემ! — უთხრა ლუნევმა. — ახლა, შენ რა-
ლას აპირებ?

მეჩექმემ გააფურთხა და მიუგო:

— ეხლა კი... თავს ჩავიხსხობ არაუში... სანამ მაშიკო-
მყავდა, ცოტა მაინცა მრცხვენოდა. ათასში ერთხელ მაინც ვი-
მუშავებდი ხოლმე... სვინდისსავით მაწუხებდა ხოლმე რალა-
ცა... ეხლა კი ვიცი, რომ მაშო მაძღარია, ჩაცულ-დახურუ-
ლი და სკივრში ჩაკეტილი!.. მაშასადამე, თავისუფლად შემი-
ძლიან ეხლა ლოთობას შევწირო თავი...

— არაყს ველარ დაანებებ თავსა, ჰა?

— ვერას გზით! — გაიქნია პერფიშკამ გაბარჯვენილი თავი
და მიუგო. — ან რა საჭიროა?

— მაშ ცხოვრებაში სხვა არაფერი გინდა, არაფერი გენა-
ტრება?

— ზაურს მომცემ? მეყოფა...

— არ მესმის, — სთქვა ილიამ და მხრები შეიშუშნა. —
ვერ გამიგია, როგორ შეიძლება, რომ სცხოვრობდეს. ადამია-
ნი და კი არაფერი უნდოდეს, არაფერი ენატრებოდეს, არაფერს
ელტვოდეს?

— ადამიანი და მე ძალიან განვსხვავდებით, — ფილოსოფ-
სავით მშეიღათ მიუგო პერფიშკამ. — რასაცა კაცი ეძიებდეს,
მას ბედი უმზადებდესო, — აი, ჩემო ძმაო! და თუ იმოდენათ
ფუჭია კაცი, რომ ვერ ჩაგონებ კარგსა და ავსა, ბედიც მა-
ლე მიანებებს თავსა! აი რას გეტყვი მე შენ: მე ერთი საჭმე
მინდოდა მომექერხებინა... იმ დროს ჯერ ცოცხალი იყო
ცხონებული ჩემი ცოლი... მინდოდა პაპა ერემენისთვის გამო-
მეგლიჯა რამე... ვფიქრობდი: სულ ერთია, მე თუ არა, სხვა
ხომ უძრევლად გასძარცვავს მეთქი... მაგრამ, მაღლობა ღმერ-
თსა, სხვებმა დამასწრეს... მე ეხლა აღარა ვნანობ... მაგრამ
მაშინ კი მივხვდი, რომ ნდომასაც კი ცოდნა სდომებია...

მეჩექმემ გაიცინა, და წამოდგა.

— აბა, მომე დანაპირები შაურიანი... გულ-მუცელი მე-
წვის სულ მთლადა...

— აჰა, გადაჭეარ ერთი, — უთხრა ილიამ, ღიმილით გადა-
ხედა პერფიშეას და დაეკითხა:

— იცი, რა გითხრა?

— რა?

— ხომ შარლატანიუა ხარ, ყოვლად უვარგისი და უბე-
დური ლოთი... ეს სულ მართალია...

— მართალია!.. — დაეთანხმა შეჩექმე.

— მაგრამ ხანდახან მგონია, — განაგრძო დაფიქრებით
ილიამ, — რომ შენზე უკეთესი კაცი მე მაინც არ მინახავს ჩემ.
სიცოცხლეში, — ღმერთმანი!

პერფიშეამ დაუჯერებლივ გაიღიმა, შეხედა ლუნევის და-
ფიქრებულ ალერსიან სახეს და დაეკითხა:

— ხუმრობ თუ დამკინი, ილია იაკოვლევიჩ?

— გინდა — დამიჯერე, გინდა — ნუ... მე შენ საქებრათ კი
არ გითხარი... ისე... ჩემთვის, ხალხის საყურადღებოდ და მათ
გასაკიცხად...

— ვერ გამიგია! არა, როგორც მეტყობა ეგ ჩემი შუბ-
ლის საჭმე არ არის... ვერ გამიგია! წავალ ჩავცეცხლავ, იქ-
ნება უფრო დავტკვიანდე...

— დაიცა! — წავლო სახელოში ხელი და შეაჩერა. ლუ-
ნევმა. — მინდა გყითხო: ღვთისა გეშინიან?

პერფიშეამ ფეხი გამოიცვალა მოუთმენლად და თითქმის
ნაწყენის ხმით მუსგო:

— ღვთისა რად უნდა მეშინოდეს... მე არავის ვაწყენი-
ნებ და არც მიწყენინებია...

— ლოცულობ ხოლმე? — დაეკითხა ისევ ილია. და ხმა
დაუდაბლა.

— მაშ... ვლოცულობ... მაგრამ იშვიათად...

ილია პხედავდა, რომ მეჩექმეს ლაპარაკი არ უნდოდა და
მთელის თავის არსებით სამიკიტნოსკენ მიიღიტვოდა.

— აჰა, პერფილ, უზალთუნსაც გაჩუქებ...

— აი, ეგ სხვა ლაპარაკია! — შეპყვირა მეჩექმემ და სიხა-
რულით სახე გაუბრწყინდა.

— მაგრამ კი უნდა მითხრა, როგორა ლოცულობ ხოლ-
მე? — დაუწყო ისევ გამოკითხვა ლუნევმა.

— მე? სულ უბრალოდ! ლოცვები მე არ ვიცი... „ღვთის-მშობელო ქალწულო“ ვიცოდი... მაგრამ კაი ხანია დამა-ვიწყდა... გლახების ლოცვა ვიცი, მეონი... „ღმერთო მაცხო-ვარო“... ბოლომდის. ეს იქნება სიბერის დროს გამომადგეს. ეხლა კი ისე ვლოცულობ... უფალო შემიწყალე-მეთქი...

პერფიშკამ ჭერს შეხედა, რწმენით გაიქნია თავი და დაუ-მატა:

— ის თითონ გაიგებს... შეიძლება წავიდე? ძალიან მინდა დალევა.

— წადი, წადი,—უთხრა ილიამ და თან დაფიქრებული ათვალიერებდა პერფიშკას. — მაგრამ მოვა დრო და მოჰკვდები... მაშინ მოგიბრუნდება ღმერთი და დაგეკითხება: აბა, აღა-მიანო, მითხარი როგორა სცხოვრობდიო?

— მეც ავდები და ვუპასუხებ: ღმერთო! დავიბადე—პატარა ვიყავ, მოვკვდი—მთვრალი ვიყავ და აღარაფერი მახ-სოვს-მეთქი! ის გაიცინებს და მაპატიებს...

მეჩექმემ ბელნიერად გაიცინა და წავიდა.

ლუნევი კი მარტო დარჩა სარდაფში... იმას აკვირვებდა ის აზრი, რომ ამ ვიწრო და მოსვრილ ჯურლმულში აღარა-სოდეს აღარ გაჩნდება მაშიკო და თითონ პერფიშკასაც მალე გააგდებენო.

სარკმელში აპრილის მზე შემოიყურებოდა და კაი ხნის დაუგველ იატაკს ანათებდა. სარდაფში სუყველაფერი მიყრილ-მურილი იყო, სუყველაფერი შავად, დაღვრემილად გამოი-ყურებოდა, როგორც მიცვალებულის შემდეგ.

ილია სკამზე იჯდა და ნაპირებ ჩამონგრეულ ბუხარს შე-ჰყურებდა, გულზე მძიმე ფიქრები დააწვნენ.

— წავიდე, გამოვტყდე?—უცბათ გაუელვა თავში აზრმა.

მაგრამ იმ წუთსვე თავი შეიკავა და გაბრაზებულმა ეს, მისის აზრით, სულელური აზრი ფიცხლავ მოიშორა თავიდან.

ილია იმ საღამოსვე იძულებული იყო პეტრუხა ფილი-მონოვის სახლისათვის დაენებებინა თავი. ეს ამბავი ასე მოხ-და: როცა დაბრუნდა ილია ქალაქიდან, ეზოში შეშინებულ-

შემკრთალი ბიძა დახვდა, მიიყვანა კუნჭულში, საცა დაჭრილი შეშა ელაგა ხოლმე, და უთხრა:

— ეხლა კი, იღო, უგვეველად, უნდა წახვიდე... ოჲ, რა ამბავი იყო ჩვენსა!.. ღმერთო, ღმერთო!..

შეშინებულმა კუზიანმა ოვალები დახუჭა, გაიქნია ხელები და ამოიხსრა:

— იაშვა დამთვრალიყო უგონოთ და მამას შიგ პირში კი მიაძახა — ქურდოო! კიდევ ბევრი რამე უთხრა საწყენი — უსინიდისო, ულმერთო, გარყვნილო ძაღლოვო... სულელივით ღრიალებდა!.. პეტრუხამ კი ერთი ისეთი ჩასცხო კბილებში, რომ იქვე დააგდო ძირსა! მერე თმაში წაავლო ხელი, ათრია და წიხლებით იმდენი სცემა, იმდენი სცემა, რომ დაუეცილ სისხლად გადაჭრია საწყალი! ეხლა ჰედია იაშვა და, ჰკვენესის, ღრიალებს!.. მერე მე მომვარდა პეტრუხა! დღესვე გააგდე — შენი ილოო... შენმა ილიამ გადაშირია შვილიო... და ვინ იცის, რას არა ღრიალებდა!..

ილიამ ჩამოისხნა კისრიდან ყუთი, გაუწოდა ბიძას, და უთხრა:

— დამიჭი!..

— დაიკა! სად მიხვალ? იცი რას გიზამს?..

ილიას იაკობის სიბრალულით და თან ბრაზით ხელები უცახცახებდნენ.

— დაიჭი-მეთქი, — დაუყვირა კრიჭა მოჭერილმა და სამი კიტნოსკენ გასწია. ილიას ისე მაგრა ჰქონდა კრიჭა მოჭერილი, რომ კბილებმა კრაჭუნი დაუწყეს და თავი სულ მთლათ აერია. მას ესმოდა, რომ ბიძა რაღაცას უყვიროდა პოლიციას და სატუ-სალოს შესახებ, რიღაცის. თუ ვიღაცის დაღუპვაზედ ელაპარა-კებოდა, მაგრამ ილიას ეგონა — მე არ შემეხება ყველა ეს, ბიძა სხვა ვიღაცისთვის ამბობს ამ სიტყვებსათ და გაქანებული დუქ-ნისკენ მიდიოდა.

დუქანში პეტრუხა დახლს უდგა და ვიღაც დაგლეჯილ-დაფლეთილ კაცს ლიმრლით ელაპარაკებოდა. ლამპის სინათლე მის მოტყველეპილ თავსა ჰხვდებოდა და ისეთ შთაბეჭდილებას.

ახდენდა, თითქოს მისი მბზინავი ქალაც კი ბედნიერად იღი-
მებაო.

— ჰაა, ბ. ვაჭარო! — დაცინვით დაიყვირა პეტრუხამ, მოპ-
კრა თუ არა ილიას თვალი, და სიბრაზისაგან წარბები შეენ-
ძრნენ, — მე სწორედ შენ მინდოდი...

პეტრუხა თავის ოთახში მიმავალ კარებთან იდგა და ამ
გვარად გზა შეღობილი ჰქონდა.

ილია გამხეცებული მივიდა და ხმა მაღლა, მკაცრად შე-
ულრიალა:

— მომშორდი გზიდან!

— რაოთ? — გაიკვირვა პეტრუხამ.

— გამატარე მეთქი... იაკობთან...

— მე შენ გაჩვენებ იაკობსა..

მაგრამ აქ კი ილიამ თავისთვისაც კი მოულოდნელად
გაიქნია ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სილა გაარტყა
პეტრუხას. მედუქნემ დაიკვნესა და მხვარსავით გაიშხლართა
ძირსა. მთელი სამიკიტნო შეხმაურდა, ყველა დაიძრა ადგილი-
დან და ყოველი მხრიუან საშინელის ლრიანცელით და სიჩქა-
რით ილიასაკენ მოსამსახურენი გამოქანდნენ; ვილამაც დაი-
ყვირა:

— დაიჭი, დაიჭიო!..

მეორე ჰყვიროდა — დაჭკა მაგას, არ გაუშვა!..

ხალხი ისე შეჩოჩქოლდა და აირია, თითქოს ადულებული
წყალი გადასხეს ყველას და გაჭფუფქესო, მაგრამ ილია ფიცხ-
ლავ გადააფრინდა პეტრუხას, შევარდა ოთახში და კარები
მოჭკეტა.

პაწაწა ოთახში, რომელიც სავსე იყო ღვინის ბოთლებით
და რაღაც სკივრებით, შუშა გამურული თუნუქის სანათი ძლივ-
სა ბჟუტავდა. ამ სივიწროესა და ნახევარ სიბნელეში ლუნევმა
ჯერ ვერ გაარჩია მეგობარი. იაკობი იატაკზედ იყო გაშხლარ-
თული, თავი ჩრდილში ჰქონდა და ამიტომ სახე შავად და სა-
ზარლად გამოსხანდა. ილიამ სანათს წაავლო ხელი, ჩაცუცქდა
ამხანაგის გვერდით და სახეში ჩაცკერდა. — ცვირ-პირი და-
სიებული და ჩალურჯებული ჰქონდა, სიმსივნეში თვალები

ძლივს-და მოუჩანდნენ. ავაღმყოფი იწვა უნძრევლივ, მძიმეთა სუნთქვდა და ყელში ხრიალებდა, ალბათ, არაფერსა ჰხედავდა, რომ ნელის, მიკავებულის ხმით და კვნესით იკითხა:

— ვინ არის აქა?

— მე ვარ... — მიუგო ნელის ხმით ლუნევშა და ფეხზედ წამოდგა.

— ილიაშ უკან მოიხედა. კარებს აწვებოდნენ. ვიღაცა განკარგულებას იძლეოდა:

— უკანა მხრიდან მოუარეთ!...

— პოლიცია, პოლიცია მოიყვანეთ .. გასწი, ბიჭო, დაუ- ძახე...

ამ ალიაქოთსა და ყვირილში პეტრუხას წვრილი მომტი- რალე ხმა მკაფიოდ მაინც მოისმოდა:

— ხომ უველამ დაინახეთ .. მე ხელიც არ მიხლია... ააა!

ილიამ სიამოვნებით ჩაიცინა. იმას ძალიან მოსწონდა, რომ პეტრუხა ტკივილსა და დამცირებას ჰგრძნობდა. მივიღა კარე- ბთან და დამშვიდებულის ხმით გააბა მტრებთან მოლაპარაკება:

— ეი! ნუ კი ჰლრიალებთ... თუ მე ერთი გავარტყი, ჩე- მი სილისაგან არ მოკვდება და მე კი გამასამართლებენ. მაშა- სადამე, თქვენ ტყუილად ერევით სხვის საქმეში... ნულარ აწვე- ბით კარებს, მე თითონ გაგიღებთ...

ილიამ მართლა გააღო კარები და მუშტებ მოკუმშული შიგ შუაში გახერდა. ხალხმა უკან დაიხია, — ეტყობოდა, შთაბეჭდი- ლება მოახდინეს როგორც ილიას ჩასხმულმა მხარ ბეჭმა, აგრეთვე იმის სახის გამომეტყველებამ, რომელიც ცხადათ ჰმოწმობდა, რომ ილია უკან არ დაიხევდა, რამდენი კაციც უნდა დაჰქვეოდა, და უეჭველად გაუმკლავდებოდა. მაგრამ ამ დროს პეტრუხა ჩაერია. ის გამწარებული მიაპობდა ხალხსა და ჰყვიროდა:

— აა, შე ყაჩალო მ-ო!.. მე შენ გაჩვენებ სეირსა...

— მომაშორეთ ეგა და აბა აქ მობრძანდით, დასტკბით ამ სურათით! — ჩამოშორდა კარებს ილია და ოთახში იწვევდა ხალხ- სა. — უყურეთ, როგორ დაუსახიჩრებია ადამიანი .

რამდენმამე კაცშა შესდგა ოთახში ფეხი და იაკობისკენ დაიხარა. ერთმა, შეშინებულმა და გაკვირვებულმა, წაილაპარაკა.

— ღმერთო, მოუკლავს კაცი, რაღა...

— აი ამასა ჰქვიან დასახიჩრება! — დაუმატა შეორებ.

— მომიტანეთ წყალი... და პოლიციასაც უნდა დაუძახოთ. — ამბობდა ილია.

დამსწრე საზოგადოებამ ილიას მხარე დაიჭირა; ის ჰქედავ-და კიდეც ამას და ჰგრძნობდა კიდეცა. შეგულიანებულმა, ხმა მალლა და მკვახედ დაიწყო:

— თქვენ ყველანი იცნობთ პეტრუხა ფილიმონოვს, ყველაშ კარგათ იცით რომ მთელ ქუჩაზედ მაგისთანა გაიძვერა და უსინიდისო კაცი სხვა აღარავინ მოიძებნება... შვილზედ კი ცუდს ვერავინ იტყვის .. მაგრამ აბა დახედეთ ეხლა მაგის შვილს: დამტვრეულ-დამსხვრეული ჰგრია ერთ აღგილას, იქნება საბრალო სამუდამოთაც არის დასახიჩრებული და მამას კი არაფერი უნდა გადახდეს. მე კი ერთი გავარტყი პეტრუხასა და გამასამართლებენ... კარგია განა ესა? სამართლია? ყველაფერ-შიც ასეა — ერთს ყველაფრის უფლება ეძლევა და შეორებ წარბიც კი ვერ უნდა შეიხაროს...

რამდენმამე კაცმა თანაგრძნობით ამოიოხრეს, ზოგნი ხმა ამოუღებლივ მოშორდნენ. ილია კიდევ რიღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ოთხში უცებ პეტრუხა შემოვარდა და წივილ-კივილით ხალხს რეკა დაუწყო.

— გადით, გადით! ეს ჩემი საქმეა... ჩემი შვილია! მე მამა ვარ! დამეკარგენით!. მე არც პოლიციისა მეშინიან, არც სამართლი მანდა... საჭირო არ გახლავს. მე თითონაც კარგათ გაწრიპინებ, ჩემო კარგო.. დამეკარგე იქნედან!

ილია ცალი მუხლით წაჩინებილი იყო და იაკობს წყალს ასშევდა, თან ამხანაგის დამსხვრეულ-დასიებულ და ჩასისხლიანებულ ცხვირ-პირს უყურებდა; სიბრალულისა და ბრაზისაგან გული ელეოდა და სახე სისხლით ევსებოდა. იაკობი წყალს ძლიერსა ყლაპავდა და ჩურჩულით, ხშირის შესვენებით ეუბნებოდა:

— კბილები ამომამტვრია... ძლიერს-და ვსუნთქავ... წამი-ყვანე საღმე... ილოჯან, შენი ჭირიმე!.. წამიყვანე!..

დასიებული თვალებიდან ცრემლები თქარა თქურით გა-
დმოსდიოდნენ.

— საავათმყოფოში უნდა წავიყვანოთ... — ბრძანების კი-
ლოთი მიუბრუნდა ილია პეტრუხას.

მეღუქნე შვილს დასკეროდა და რაღასაც ჰბუტბუტებდა; ცალი თვალი დაჭუეტილი ჰქონდა და მეორე კი იაკობსავით
ილიას მძლავრი სილისაგან დასიებოდა და ჩალურჯებოდა.

— გეშის, რას გეუბნებიან? — დაულრიალა ილიამ.

— რა გაყვირებს! — მოულოდნელად ტკბილის და ნელის
ხმით გამოელაპარაკა პეტრუხა. — საავადმყოფოში როგორ შეი-
ძლება... მთელი ქვეყანა გაიგებს... შენ ისეც შემიყარე ქვე-
ყანა... მე კი ხმოსანი ვარ... ეს ჩემთვის არ ვარგა...

— ხმოსანი ვარ... შენ უსინიღისო გაიძვერა ხარ, აი რას
გეტყვი! — დაუყვირა ილიამ და ზიზღით გააუტურთხა. — მე შენ
გეუბნები, ამ წუთშივე გაგზავნე საავადმყოფოში, თორემ ქვე-
ყნის შეყრას მერე ნახავ. .

— კარგი, კარგი... ნუ სცხარობ... შენა გგონია, მართლა
შეწუხებულია... ვერა ჰხედავ, თავს იკატუნებს?..

ილია ფეხზე წამოხტა. მაშინ კი იკადრა ფილიმონოვმა
კარებს მივარდა და ბიჭე გასძახა:

— ივანე! გადი ერთი ეტლს გაურიგდი საავადმყოფომდინ
სამ შაურზედ მეტი კი არ მისცე... იაკობ, ტანთ ჩიოცვი! კარგი,
ნუ კი იპრანჭები... შენმა მშობელმა მამამ გცემა, უცხომ ხომ
არა. . მე ეგრე კი არა მბეჭავდნენ ხოლმე შენს ხანში!..

შეფუტხუნებული პეტრუხა დარბოდა ოთახში, ტანთსა-
ცმელს უყრადა ილიას და თან იმაზე ლაპარაკობდა თუ სიყმა-
წვილეში როგორა სცემდნენ და რა სივიწროეში ინახავდნენ...

— გმადლობ! — ძლივს წაიხრიტინა იაკობმა და დასიებულ
თვალებიდან კი ისევ ლაპა-ღუპით გადმოსდგოდა ცრემლები.

დახლის ტერენტი მოსდგომოდა. მისმა ზრდილობიანმა და
შემკრთალმა ხმამ ყურთა სმენა წაართვეს ილიას.

— სამ კაპიკიანი გნებავთ თუ შაურიანი? . მიირთვით —
შაურიანი... ხიზილალა? სულ გაგვითავდა. თევზი შიირთვით.

ლუნევმა იაკობი საავადმყოფოში რომ მიიცვანა, მაშინ
მიხვდა, რომ ფილიმონოვის სახლში დაბრუნება აღარ შეიძლება
და ლამის გასაოევად ოლიმპიადასთან წავიდა. დღევანდელმა
ამბავმა ილია საძაგელ გუნებაზედ დააყენა: რაღაც ბასრი და
ცივი გრძნობა ულრენიდა და უფლეთავდა გულსა. გულზედ
მძიმე კაეშანი მოსწოლოდა და აზრი ეფანტებოდა ის ეხლა
უაზროთ მიაბოტებდა ფეხებს და მხოლოდ ერთად-ერთი ფიქ-
რი ჰქონდა ნათელი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო.
პატარა დუქნის და სუფთა, განმარტოებითი ცხოვრების ოც-
ნებანი ხელ-ახლად გაუცხოვლდნენ და ხელ-ახლად დაისაკუთ
რეს მის აზრთა დენა.. .

მეორე დღეს ერთ სახლში სამზარეულოზედ მიდგმულ-მი-
შენებული პატარა ოთახი იშოვნა ილიამ; ამ ოთახს ვიღაც წი-
თელ ახალ კაბაში გამოწყობილი ახალგაზდა ქალი აქირავებდა;
ვარდის ფერი სახით, კოპტია პირით და შავ-ხუჭუჭა თმით ქა-
ლი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზედ.

— ხუთ მანათად ამისთანა კოხტა ოთახი—სრულიადაც
არ არის ჩევირი! — სხაპა-სხუპით ეუბნებოდა ქალი და, ჰედავდა
რა, რომ მისი შავი, ცოცხალი თვალები ახალგაზდა და გა-
ნიერ მხარ-ბეჭიან ყმაწვილზედ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, სია-
მოვნებით იღიმებოდა. ილია კი თავის... მოშავალ სადგომს ათვა-
ლიერებდა და თან იმს ჰეთიერობდა—ვინ უნდა იყვეს ეს ახალ-
გაზდა ქალიო?

— ჰედავთ, აბი სრულიად ახალი აქვს გაკრული... ბალ-
ში გადიყურება—მეტი რა გინდათ? დილით მე სამოვარს და-
გიდგამთ ხოლმე და ოთახში კი თქვენ თითონ შეიტანთ...

— თქვენ განა მოსამსახურე ხართ? — ცნობის მოყვარეო-
ბით დაეკითხა ილია.

ქალს ლიმილი გაუქრა სახეზედ, წარბები შეერხნენ და,
წელში გამართულმა, მედიდურათ უთხრა:

— მე მოსამსახურე კი არა, თვით პატრონი ვარ ამ ოთა-
ხისა, ჩემი ქმარი...

— თქვენ განა გათხოვილი ბრძანდებით? — შებუფირა გაკვ-
ირვებულმა ილიამ და დაუჯერებლად მის სუსტ და კოხტა

სხეულს ბავლო თვალი. ეს კი არარ ეწყინა სახლის პატრონსა, პირიქით, ქალმა მხიარულად გადიხარხარა.

— რა სასაცილო რამა ხართ! ხან მოსამსახურებს მეძახის, ხან არა სჯერა თუ გათხოვილი ვარ...

— როგორ დავიჯერო, როცა ჯერ სულ პატარა გოგო ბრძანდებით? — მიუგო ილიაშვილი ლიმილით.

— მე კი გეუბნებით, მესამე წელიწადია, რაც გათხოვილი ვარ და ჩემი ქმარი უბნის ზედამხედველია...

ილიამ სახეში შეხედა და ჩუმათ ჩაიცინა, თუმცა, რომ გეკითხნათ, თითონაც არ იცოდა, რაზედ იცინოდა

— რა საკვირველი რამა ყოფილხართ! — მხრების მაღლა აწევით შესძახა ქალმა და თვალიერება დაუწყო ილიას. — რა, ჰქირაობთ ოთახსა, თუ არა?

— გადაწყვეტილია, ვქირაობ! ბე მოგართვათ თუ არა?

— რასა კვირველია! ერთი მანათი მაინც მომეცით...

— ორ, სამ საათს შემდეგ კიდეც გადმოვსახლდები...

— მობრძანდით... მე მოხარული ვარ, რომ თქვენისთანა მდგმური ვიშოვნე, — თქვენ მხიარული უნდა იყვეთ, მგონი...

— ბევრი ვერაფერი.. მიუგო ლუნევმა ლიმილით.

ილია ნასიამოვნები და სახეზედ ლიმ-შეჩერებული გამო ვიდა კარში. მას სუფთა, ცისფერ აბი გაკრული ოთახიც მოსწონდა და კოპტია, ცოცხალი სახლის პატრონიცა, მაგრამ, ყველაზედ ძრიელ კი ის მოსწონდა და უხაროდა, რომ უბნის ზედამხედველის სახლში ვიცხოვდებო. ილია ამაში რაღაც სასაცილოს და საშიშსაც ჰქედავდა. ლუნევს იაკობი უნდა ენახა. მოაგონდა თუ არა, დაიჭირა ეტლი და საავადმყოფოსკენ გასწია — გზაში კი სულ იმას ჰფიქრობდა — რა ვუყო ეხლა და ფული სად დავმალოო. ილია საავათმყოფოში რომ მივიღა, იაკობი ის-ის იყო ებანებინათ და ეხლა მაგარის ძილით ეძინა. ეს რომ გაიგო, გრძელ დერეფანში ფინჯარისთან გაჩერდა და ჯერ ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, — წასულიყო, თუ ამხანაგის გაღვიძებამდის ეცადნა? მის გვერთით ფლოსტების თხლაშუნით გრძელ ნაცრის ფერ ხალათებში გამოწყობილი

ავადმყოფები დაფარფატებდნენ და დაღვრემილ თვალებით ახალ მოსულ ილიას ათვალიერებდნენ. სიარულის დროს ავადმყოფნი ერთმანეთს ჩუმად, დაბალის ხმით ელაპარაკებოდნენ და მათს ერთგვარ გუგუნს შორიდან მონადენი ვიღაცის კვნე. სა-გმინვა უერთდებოდა... ცარიელ და გრძელი დერეფნის გამოხმობა ყოველ ხმას ზრდიდა და ერთი კუთხიდან მეორეში მიჰქონდა... კაცს ეგონებოდა, საავადმყოფოს თავისებურ სუნიან ჰაერში ვიღაც დასცურავს დალონებული და საბრალოდ ჰკვნების და, გმინავსო... ილიას ამ ყვითელი კედლების მოშორება მოუნდა... მაგრამ უცბათ ვიღაც ავადმყოფმა წასდგა ფეხი და ხელის გაწოდებით, ნელის ხმით უთხრა:

— გამარჯვება!..

ლუნევმა შეხედა და გაკვირვებულმა უკან დაიხია...

— პავლე!.. ღმერთო ჩემო! შენც აქა ხარ?

— განა სხვა ვიღაც აქა? — დაეკითხა აჩქარებული ჰავლე.

სახე ნაცრის ფერი ჰქონდა პავლეს და ქუთუთოები ხშირად უხამაშებდნენ...

— იაკობი... მამას ისე ეცემნა, რომ დაესახიჩრებინა საწყალი... შენ რაღამ-მოგიყვანა აქა? დიდი ხანია?

და სიბრალულის ხმით ილიამ ჩუმად წაილაპარაკა.

— ეჭ, ჩემო ძმაო! როგორ გამოცვლილხარ!..

პავლემ ამოიხსრა; ტუჩები შეუკრონენ და თვალებზედ თითქოს ნისლი წამოეფარაო. მან დამნაშავესავით თავი ჩალუნა და ხრინწიანის ჩურჩულით გაიმეორა;

— გამოვიცვალე, დიან...

— მაინც რა დაგემართა? — მოუთმენელად დაეკითხა ლუნევი.

— რაღა რა... ვითომ არ იცი...

პავლემ ცერად შეხედა ილიას სახეში და ისევ ჩალუნა თავი.

— შეგხვდა? — ჩურჩულით დაეკითხა ლუნევი.

— შემხვდა, მა რა ჯანაბაა...

— ნუ თუ ვერასაგანა?

— მაშ ვისგან უნდა შემხვედროდა?.. — ნალვლიანად წაიბუზლუნა პავლემ.

ილიამ გაიქნია თავი და, ცოტა სიჩუმის შემდეგ, დაბეჯითებით წარმოსთქვა:

— აი, მეც შენსავით, აღრე თუ გვიან, კისერს წავიტეხ... ეს უეჭველია...

პავლემ ძალდატანებულად გაილიმა, გვერდში ამოუდგა ილიას და მეგობრულის ღიმილით უთხრა:

— მე მეგონა — ეხლა შევეზიზლები-მეთქი... დავეხეტებოდი აქა და უცბათ თვალი მოგვარი, შემრცხვა... თავი მოგარიდე და გავიარე...

— ჰევიანო! — საყვედურით მიუგო ილიამ.

— არ ვიცოდი, როგორ შეპხედავდი ჩემს აკადმიუოფობას მართალი უნდა სთქვას კაცმა — საზიზლარი რამ კი არის... ეჭ, ჩემო ძმაო! აგერ მეორე კვირაა აქა ვგდივარ... ისეთი ნაღველი და ვარამი მომაწვა გულზე, რომ ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიან!.. დაღიხარ თუ წევხარ, სულ ჰავიქრობ... ლაშე ხომ მით უმეტეს... ასე გგონია, ნაღვერდალზედ ვიწვიო... ღრიო კი მიიზლაზნება ნელა... და ასე გგონია, ჭაობში ვიფლობი და მარტოდ-მარტო ვარ — მშველელიც კი არ მომექებნება დედამიწის ზურგზეო...

პავლე თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, სახე უთროდა და აცახცახებული ხელებით ხალათის საყელოს იძიგნიდა. აქ უცებ თავი ჩაიქნია და ნახევარის ხმით დასძინა:

— როცა აითვალწუნებს კაცს ბედი და აბუჩად აიგდებს — იმის საქმე წასულია...

— ვერა სადღაა ეხლა? — დაეკითხა დაფიქრებული ილია.

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და კისერი — მე რა ვიცი? — მწარე ღიმილით მიუგო გრაჩევმა.

— არ დაიარება?

— მოეთრიი ერთხელ, მაგრამ გავაგდე... თვალით დასანა-სავადაც კი მეჯავრება! — წაიჩურჩულა ბრაზ-მოსულმა პავლემ.

ილიამ საყვედურით, გადახედა ამხანაგს და უთხრა:

— ე მაგას კი მიჰქარავ... თუ სხვისგან ითხოვ სამართალს, თითონ შენც ჭნდა იყვე სამართლიანა... რა იმის ბრალია?.. აბა, დაჭირებული პატარა.

— მაშ ვინ გავამტყუნო? — დაბალის, მაგრამ ფიცხის ხმით დაეკითხა პავლე. — ვინა, აბა, მითხარი? ღამეები არა მძინავს და სულ იმას ვფიქრობ — რისგან არის, ორმ მთელი ჩემი ცხოვრება დასახიჩრებულია და უბედური? იმიტომ, რომ ვერა შევიყვარე?.. ის ერთი ჩემთვის ყველას მაგიერი იყო — დედის, დის, ცოლის და ამხანაგის... სხვა ვინ გამაჩნდა ამ ქვეყნად? ჩემ სიყვარულს სიტყვით კი არა — ვარსკვლავებითაც კი ვერ დასწრერ ზეცაზედ!..

პავლეს თვალები დაუწითლდნენ და მერე ორი მსხვილი ცრემლი გადმოუგორდა თვალთაგან, მაგრამ ფიცხლავ მოიწმინდა ფარაჯის მაჯით და უფრო დაბალის ხმით განაგრძო:

— გადამეჩირა გზაზე კლდესავითა და მეც თავ პირი გადავიჩეხე... .

— მაგასაც მიჰქარავ, — მიუგო ლუნევმა და მიხვდა, რომ ვერა უფრო ებრალებოდა, სინამ პავლე. — რის გზა? შენ რა გზა უნდა გქონდეს?. ეგ სიტყვების რახა-რუხი გახლავს და მეტი არაფერი... ბადაგს სვამდი — აქებდი, დათვერი და იგინვა ბი, რა გიშავს... ახლა იმასაცა ჰკითხე და! იმასაც ხომ სხვაშ შეჰყარა?

— მართალია, იმასაც სხვამ შეჰყარა! — გაიმეორა პავლემ და მოულოდნელად აცახცახებულის ხმით დაეკითხა:

— შენა გგონია, მე კი არ მებრალება?

— აჲა! კიდეც ეგ არის!..

— მაგრამ მაინც კი იმაზე ვჯავრობ .. მაშ ვიზე გავჯავრდე, ვის გავუწყრე? მე რომ გავაგდე... წავიდა და ისეთი მწარე, ისეთი გულ საკლავი ქვითინი მორთო, რომ სული ყელში მომებჯინა... თითონ მეც ვიტირებდი დიდის სიამოვნებით, მაგრამ ცრემლების მაგიერ ქვები მეწყო მე მაშინ გულში... ჩავუფიქრდი ყველა ამას და მივხვდი, რომ ჩვენ კი არა ვცხოვრობთ, ვიტანჯებით მხოლოდ და ვიწვით ცეცხლში...

— მართალია! — გააგრძელა ლუნევმა საოცარის ღიმილით, — რაღაც ჟაკვირველი ხდება ჩენს თავზე. გვავიშროებს რაღაცა და სულს გვიხუთავს. იაკობს მამა არ აძლევს მოსვენებას, მაშიკო — ბებერ ძალლს, მიაჩეჩს ცოლად, შენც ემანდ..

აქ უცბათ ჩაიცინა და დაბალის ხმით განაგრძო:

— ერთი მე ვარ მარტო, რომ ჯერ კიდევ ბედი მწყა-
ლობს! ღმერთმანი! გულში გავლებასაც კი ვერ მოვასწრობ,
რომ სუკველაფერი მისრულდება, რაც მინდა.

— ღმერთმანი? — ცნობის-მოყვარეობით და დაუჯერებ-
ლად დაეკითხა პავლე.

— მერწმუნე! ძალიან ბედი მაქვს... მითრევს და მითრევს
თან-და-თან თავის კენ...

— როგორდაც კარგად ვერ ლაპარაკობ, — ეჭვის თვალით
უყურებდა პავლე და ეუბნებოდა, — დასკინი შენ თავს, თუ რო-
გორ არის შენი საქმე?

— სრულიადაც არა! მე კი არა, სხვა ვიღაც დაიცინება! —
მიუგო ილიამ და შუბლი შეეკრა. — ყველას დაგვცინის ვიღა-
ცა... იცი, მე ბევრი რამე შემიძლიან გითხრა... ვუყურებ ცხოვ-
რებას და სამართალს ვერა ვხედავ ამ ქვეყანაში...

— მაგას მეც ვხედავ! — ნელის ხმით, მაგრამ ჯულის სილრ-
მიდან ამოიძახე პავლემ. — წამო, ერთი იქით მივდგეთ...

და ორთავემ დერეფნის სილრმისკენ გასწიეს. პავლეს სახე
წამოუწითლდა და თვალებმა ისეთივე ელვარება მოურთეს,
როგორც წინად, ჯანსალობის დროს.

— მეც კარგათა ვხედავ — ჩვენი ძმა სულ მთლად გაძარ-
ცვული და ცალიერზედ არის დატოვებული... — ეუბნებოდა
ჩურჩულით ილიას. — რასაც გინდა შეეხე — ჩვენთვის არაფერია ..

— სწორედ!

— ჩვენ — არაფერი! აი, თუ გინდა მაგალითად ქალი ავი-
ლოთ. ის ჩემთვის ცოლია, თუმცა ჯვარი არ დამიწერია, ის
მთლად არის ჩემთვის საჭირო, გესმის, მთლად!.. ყველა კაცს
ქალი მთლად თავისთვის უნდა! მაგრამ მე კი არ შემიძლიან
მარტო ჩემთვის ვიყოლიო... და არც იმას... მეც იმისთვის
მთლადა ვარ საჭირო! რისგან არის ესა, ჰა? მე — ღარიბი ვარ და
იმიტომ? კარგი! მე ვმუშაობ თუ არა, ერთი ეს მითხარი? მთე-
ლი ჩემი სიცოცხლე, ბავშვობიდან მოყოლებული მძიმე ულე-
ლი დამიღვამს კისერზედ და მივაწოდიალებ შეუსვენებლივ! მაშ
მომცუით რალა ნება, რომ მეც ვიცხოვრო და!..

— პეტრუშა ფილიმონვი გდია უსაქმოთ კუნძივით
და რაც იმის სულს და გულს მოესურვება, ყველა უსრულ-
დება, — რადა? — დაუმატა ილიამ და კბილები დაკრაჭუნა გა-
ბრაზებულმა.

— ექიმი ისე მექუვა, როგორც ტუსალსა — მიყვირის,
ფეხებს მიბრახუნებს... რისთვის? — განაგრძო გრაჩევშა. — ის
ნასწავლია და ყველას ერთნაირად, კეთილშობილურად უნდა
ექცეოდეს. მეც აღამიანი ვარ თუარა, მითხარი? აი რაშია სა-
ქმე... მე ვერკა გავაგდე... მაგრამ სულელი არა ვარ, ვიცი,
რომ იმას არაფერი ბრალი არ მიუძღვის...

— მათრახი კი არ გვცემს, ისა ვვცემს, ვისაც მათრახი
უჭირავს...

მეგობრები დერეფნის ბნელ კუნჭულში ფანჯარასთან გა-
ჩერდნენ, რომელსაც შუშები ცვითლად ჰქონდათ შეღებილი, ამო-
ეკვრნენ კედელს და გაცხარებული მუსაიფობდნენ. საიდან ლაც
მძიმე, გულსაკლავი კვნესა მოისმოდა. ეს ერთ გვარი და ერთ-
ფერი კვნესა იმ დაბალი სიმის გუგუნს ემსგავსებოდა, რომელ-
საც დრო გამოშეებით ეხებიან და ის კი ზარმცუად ცახუახებს.
და უიმედოთ ლმუის, თითქოს იცის, რომ არსად მოიძებნება
ისეთი გული, რომელსაც შეეძლოს მისი გულსაკლავი ცახუა-
ხის და საჩივრის შეგნება და გაზიარება... ცხოვრების მძიმე
ხელისგან მიყენებული შეურაცხება ცეცხლს უკიდებდა პავლეს
და სდაგავდა: სიმავით, ისიც ცახუახებდა აღელვებული, აჩქა-
რებული შესჩიოდა ამხანაგს და თვის შავ და მძიმე ფიქრებს
უზიარებდა. ილია ჰერძნობდა, რომ პავლეს სიტყვები მის
გულიდან ნაპერწკლებს აკვესებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ
იმ რაღაც ბნელს, გაურკვეველს და საწინააღმდეგოს, რომელიც
მუდამ აწუხებდა მას და მოსვენებას არ აძლევდა, ცეცხლი
ეკიდებოდა, რომ სამუდამოთ დაბუგულიყო და გამჭრალიყო.
ილია ცხადათა ჰერძნობდა, რომ პავლეს ნაკვერჩხალსავით ცხე-
ლი სიტყვების გავლენის ქვეშ ცხოვრების მძიმე გამოცანის
ნაცვლად, სხვა რაღაც აღმეგზავნა, რაც — საცაა — ბნელითა და
ნისლით მოცულ სულს გამინათლებს, შემიმსუბუქებს ტანჯვას
და სამუდამოდ მომასვენებსო.

— რისგან არის, თუ მაძღარი ხარ — წმიდა ხარ, თუ ნა-
სწავლი ხარ — მართალი? — ეუბნებოდა სისინით პავლე და მკერ-
დი მჯერდზედ მიეკრო ილიასთვის. ლაპარაკის დროს ისე იყუ-
რებოდა აქეთ-იქით, თითქოს იმ უხილავ და უცნობის მტრის
სიახლოებეს ჰერქნობს, რომელმაც ასე უწყალოდ და დაურც-
ხვენელად დაუსახიჩრა და შეუბლალა ცხოვრებაო. — კარგი, მე
მშიერ მწყურვალი ვარ და, მაშასადამე, სულელიც... მაგრამ მაქვს
თუ არა მეც ადამიანური სული და გული? თუ, ლარიბს არც
სული აქვს? ვხედავ — ჩემი ცხოვრება — ცხოვრება აღარ არის...
შემიზღუდეს და შემიხუთეს მე იგი... შემაკვეცეს მე ჩემი სუ-
რვილნი და ნდომანი, ყოველ მხარეს გადუვალი კედლები აღ
მიმართეს... რისთვის?

— ვერავინ გეტყვის! — მკაცრა შესძახა ილიამ, — და არც
არავინ არის, რომ დაეკითხო. ვინ. ვინ გადადეს ჩვენს სიტყვებს,
ვინ მიგვიხვდება ტანჯვას? ყველასთვის ჩვენ უცხოო ფაქთ...

— მართალია... ვის უნდა ელაპარაკო?

პავლემ ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა. ლუნევმა დაფიქრებით
გახედა გრძელ დერეფანს და ლრმათ ამოიოხრა. ეხლა, როდე-
საც გაჩუმდნენ, კვნესა და გმინვა უფრო მკატიოდ გაისმა. ალ-
ბათ, ვიღულის დიდი და ძლიერი გული ჰერქნობდა და ძლიერი.
იყო მისი ტანჯვა...

— შენ ისევ ოლიმპიადასთანა ხარ? — დაეკითხა პავლე
ლუნევს.

— ჰო... ვცხოვრობ, — მწარე ლიმილით მიუგო ილიამ. —
იცი, — ხმის დაღაბლებით განაგრძო ისევ, — წიგნებმა იქამდის
მიიყვანეს იაკობი, რომ ღმერთი აღარა სწამს...

პავლემ შეხედა და გამოურკვევლად დაეკითხა:

— არა?

— ღმერთმანი... ეშოვნა რალაც მაგისთანა წიგნი და...
შენ როგორ-ლა ხარ მაგ მხრივ?

— მე, სწორე გითხრა... — დაფიქრებულის, ნელის ხშირ
ეუბნებოდა პავლე, — მე როგორლაც ისე ვცხოვრობ, რომ...
არც კი მიფიქრია მაგ საგანზედ... ეკკლესიაში არ დავიარები...

— მე კა ვფიქრობ ხოლმე... ბევრსა ვფიქრობ... და ვერ
გამიგია, როგორ ითმენს ღმერთი ყველა ამას?

აქ ისევ დაიწყო მათ შორის ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ჩქარი ლაპარაკი... გატაცებულნი იმ დრომდინ ლაპარაკობდანენ ბნელს კუნკულში მიჩქმალულნი, სანამ მოსამსახურე არ წააღგათ თავზე და შეაცრად არ დაეკითხა ლუნევს:

— შენ რას იმალები აქა, ჰა?

— მე არ ვიმალები... — უთხრა ილიამ.

— ვერა ჰევდავ, რომ გარეშე პირნი ყველანი წავიდნენ?

— ალბათ, რომ ვერ დამინახავს... მშვიდობით, პავლე, იაკობთან შეიიარე, ნახე...

— გაეთრიე — მეთქი, გეუბნები! — დაულრიალა მოსამსახურებ.

— არ დამივიწყო; თუ ღმერთი გრწამს... მნახე კიდევ! — შეეხვეწა გრაჩევი.

— არ გითხარით, წახურიეთ-მეთქი — ალარ ისვენებდა მოსამსახურე.

შეცუ გაძჲვა ილიას უკან და თავისთვის ჰბუზლუნებდა:

— ლატაკები... მაწანწალები... იმალებიან კუნკულებში...

ილიამ ფეხს მოუკლო და როცა გაუსწორდა მოსამსახურეს, მშვიდათ, მაგრამ გესლიანად, ჩასტახა უურში:

— ნუ ბურტყუნებ, თორემ გეტყვი: ხშა ჩაიწყვიტე, შე ბებერო ძალლო-მეთქი!

მოსამსახურე შეჩერდა უცებ და ლუნევმა კი, ნასიამოვნებმა, რომ დაამკირა ადამიანი და შეურაცხუ, გაჭკრა ფეხი და წავიდა...

ქუჩაზედ როცა გამოვიდა, ამხანაგის ხვედრს დაუკვირდა. პავლე პატარაობიდანვე დაწანწალებდა, სატუსალოში იჯდა, ძნელ სამუშაოებს ადგა და წელს იწყვეტდა... რამდენი სიცივე, რამდენი სიმშილი და რამდენი ცემა-ტყეპა აუტანია, საწყალს და აგერ — ეხლა საავადმყოფოშია... მაშო ძნელად თუ ნახვს როდისმე კეთილ ცხოვრებას. აგრეთვე იაკობიც... სად შეუძლიან საწყალს ცხოვრებასთან ბრძოლა?..

ლუნევი მიხვდა. რომ ყველაზედ უკეთ ისევ თითონა სცხოვრობდა, მაგრამ ამ გრძნობაშ არ ასიამოვნა. მან მხოლოდ ჩაიცინა და ეჭვის თვალით მიიხედ-მოიხედა.

(შემდეგი იქნება)

ქართველთა მატიანე

შესაგაბლი

თვით სახელოვან მეცნიერებსაც ბინდ-ბუნდი წარმოდგენა აქვთ ქართლის-ცხოვრებაზედ: ერთნი მას სთვლიან თხზულებად მეფის ვახტანგ VI-ისა, რომელიც მოკვდა აშტარხანს 1737 წელს, მეორენი ამტკიცებენ, ქართლის-ცხოვრება მოგონილია რომელიმე გაუნათლებელ კაცისაგანო, რომელსაც ამ მატიანეში უფრო მეტი სიცრუე შეუტანია, ვიდრე ისტორიული სიმართლე კავკასიის ერთა შესახებო. არის კიდევ ბევრი წინა-უკმო თქმულება შესახებ ქართველთ მატიანისა და ეს თქმულობანი ამტკიცებენ ანუ მათ ავქსონთა უმეტებებას ანუ საგნის არსებითად შეუგნებლობას..

საქართველოს დაწერილი ისტორია ძველადგანვე იწოდება ქართლის-ცხოვრებად, რომელიც დაბეჭდილია ორ დიდ ტომად. პირველი მათგანი შეიცავს საქართველოს ისტორიას უუძველეს დროიდან 1469 წლამდე და დაბეჭდილია ბროსეს-მიერ 1849 წელს, ხოლო მეორე გამოცემულია ჩუბინაშვილის ზედამხედველობით 1854 წელს და შეიცავს საქართველოს ისტორიას 1469 წლიდან 1800 წლამდე.

მაშასადამე, როდესაც ვლაპარაკობთ შესახებ ქართლის-ცხოვრებისა, ვითარუა ისტორიულ ძეგლისა, უნდა გვახსოვდეს, რომელს მისს ნაწილს შეეხება ჩვენი მსჯელობა, უუძველესს, თუ ახალს, რომელიც იწყება 1469 წლითვან.

ორთავე ეს ნაწილები საკმაოდ განირჩევიან ერთმანეთისა-
გან ენის მხრივაც და იმ ქრონიკებითაც, რომელნიც შეაღე-
ნენ ამა თუ იმ ნაწილს ქართლის-ცხოვრებისას.

პირველის ნაწილის ენა, საზოგადოდ, ძველებურ-მწიგნო-
ბრულია, შიგა და შიგ მწერლებს უხმარიათ იმისთანა სიტყვე-
ბი და ფორმები, რომელნიც მეათე-მეთორმეტე საუკუნეს აქეთ
ალარა გვხვდებიან, მეორე ნაწილის ენა კი უფრო ლიტერა-
ტურულია, სასაუბრო ენის მიმსგავსებული.

ავტორები ქართლის-ცხოვრების პირველის ნაწილისა, რა-
ვდენიშეს გარდა, არ ვიცით, ვინ არიან: იგინი, თარგმანთა
მზგავსად, არ გვაცნობებენ თავიანთ სახელსა და გვარს. მეო-
რე ნაწილის ავტორებს კი, ერთის გარდა, ჩვენ არა თუ არ
ვიცნობთ, არამედ სრულიად და სავსებით ვიცით, როდის დაი-
ბადნენ, სად დაასრულეს თვისი ქვეყნიური ცხოვრება.

ამას გარდა, პირველის ნაწილის ქრონიკებში, მეტადრე
რომელნიც დაწერილან IX—X საუკუნეები, შემთხვევათა ქო-
რონიკონები აღნიშნულია აქა-იქ, ხშირად, შეცდომით, მეო-
რე ნაწილის მემატიანები კი, განსაკუთრებით ვახუშტი, თე-
თქმის მუდამ აღნიშნავენ ყოველი ამბის თარიღს.

გარნა, საერთო მგზავსებაც არის მათში: აქაც და იქაც
მემატიანენი აუწყებენ მკითხველს, თანამედროვენია იგინი იმ
ამბებისა, რომელსაც აღწერენ, თუ სხვის ნაშრომთაგან სარგებ-
ლობენ, უცვლელად გადმოაქვთ დედნის პირი, თუ ცვლილე-
ბით ანუ შემოკლებით, ტყავზედ ეწერა დედანი, თუ ქადალდ-
ზედ, ვის, სად და როდის გადაეწერა ეს დედანი.

აღვნიშნეთ-ჩა ქართლის-ცხოვრების საზოგადო თვისებე-
ბი, განვიხილოთ ახლა მისი ნაწილები ცალკ-ცალკე, პირვე-
ლიად კი მეორე ნაწილი, რომელსაც უფრო ნდობით ეპყრო-
ბიან მეცნიერნი.

I. ჩართლის-ცხოვრების შეორე ნაწილი

ა. ავტორები, რომელთა შრომანი შეადგენენ ქართლის-ცხოვრების შეთრე ნაწილს, ესენია:

1. ბატონიშვილი გახუშტი, ავქსონი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიისა, შობილი 1696 წლის ახლო ეპის და გარდაცვლილი მოსკოვს 1772 წელს. ქართლის-ცხოვრების მეორე ტომი იწყება მისის ისტორიით. ვახუშტი ხელმძღვანელობს მრავალ ისტორიულ წყაროებით, რომელთა ბლობა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია, და წარმოგვიღენს საქართველოს ისტორიას 1469 წლითვან 1745 წლამდე (ქართლის ცხ., ტ. II, გვ. 1—258). ვახუშტისა და მის შრომის შესახებ ჩვენი წერილი უკვე დაიბეჭდა 1902 წლის „მოამბეში“ (№ III).

2. „განგრძლება ქართლის-ცხოვრებისა“ (ქართ. ცხ., გვ. 259—306). ეს ქრონიკა შეიცავს ქართლის ისტორიას 1466 წლითვან 1605 წლამდე და თავდება გადამწერის შენიშვნით: „ქ. სამი დედანი ვნახე. ამის მეტი არ ეწერა. და სიტყვანიცა და ლექსნიც ესრეთ ეწერნეს. სხვა თუ არის საღმე მეტი და ან თვით ამისსავე ავქსონსა ლექსსა და სიტყვას დაუწუნებთ, თქვენ იცით და მან, მე შენდობილმცა ვიყო, აღმწერი აღმკითხავთაგან, ცოდვილი ზაქარია, ეგ დეკანოზისა, ულიოსი მღვდელი. აგვისტოს წელსა ქრისტესით ჩდად.“

შორომიკონი ჩდა უდრის 1761 წელს. ამ მატიანის შინაარსს წმოწება: ა) „მესხეთის დავითნის“ ქრონიკა, რომელიც უკვე დაბეჭდა ე. თაყაიშვილმა, ბ) ზემოხსენებული შრომა ვახუშტისა და გ) ზოგიერთი სიგელ-გუჯარი.

3. სესნია ჩხერი (ქ. ცხ., გვ. 307—342). მისი ქრონიკა, მოღწეული 1739 წლამდე, იწყება ისტორიით მეფის ვახტანგ V-ისა, რომელიც აღვიდა ტახტზე 1658 წელს. სესნია ჩხერი კარგად ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა მე-XVII საუკუნის დასასრულისა და მე-XVIII-ის დასაწყისისა, და ამ

დროის ამბებს იგი აღწერს, ვითარცა თვალით მხილველი, ვითარცა თანამშრომელი მის დროის მეფეთა და მმართველთა.

4. პაპუნა არბეჭიანი, ავტორი „ქართლის ისტორიისა“ (ქ. ცხ., გვ. 343—474). მისი შრომა არის გაგრძობა სენია ჩხეიძის მატიანისა და შეიცავს ისტორიას 1739 წლითგან 1758 წლამდე. პაპუნა თანამედროვეა იმ ამბებისა, რომელსაც მოგვითხრობს. თავის მატიანის დასაწყისშივე ეს ავქსონი გვაუწყებს:

შეკულექ აშავს ქართლისას
პაპუნა არბეჭიანი;
განმაძლიერა მეფემან,
გინ არას გვირგვინიანი;
აღვსწერე უოვლი უოფილი,
მრავალგზის საჩივრიანი.
გინ წარიგითხოთ, ნუ მკიცხავთ,
სიტუგა თქვით შენდობიანი.

პაპუნას მატიანე თავდება შენიშვნით: „სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა წიგნი ესე მცირე ქართლის-ცხოვრება ხელითა ხარების საყდრის დეკანოზის ძის დავითისითა. აღმომკითხველთა გვედრებით, უკეთუ ნაწერსა ამას შინა ჩემსა ცოტნილება იხილოთ რაიმე, ნუ მწყევთ, არამედ კურთხევასა ჰყოფდეთ ჩემთვის, თქვენ უზრუნველად იქმნებით და მე დიდად შემწე მექმნება. თვესა აგვისტოსა რიცხვსა ლ, ქორონიკონსა უდა“ (=1773 წ.).

5. ომან ხერხეულიძე, თანამედროვე ერეკლე II-ისა და ავქსონი მატიანისა „ერეკლე მეორის მეფობა“, რომელშიაც მოთხრობილია ამბები 1722 წლითგან 1780 წლამდე (ქ. ცხ. გვ. 475—500).

ომან ხერხეულიძის შრომა უნდა საფუძვლად დასდებოდა 3. გ. ბუტკოვის თხზულებას „Матеріалы для нової исторії Кавказа“, რომელიც, ვითარცა ხერხეულიძის ქრონიკაც, იწყება 1722 წლითგან.

6. ბატონიშვილები დაფით და ბატონი გიორგისძენი, ავესონნი „კახეთის ისტორიისა“, რომელიც არის გაგრძობა ვა- ხუშტის-მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიისა. მათი ის- ტორია შეიცავს 1744 წლითვან 1800 წლამდე მომხდარ ამ- ბების მოთხოვნას (ქ. ცხ., გვ. 501—516).

7. ფარსადან გთავიჯანიძე (ფარსადან გიორგი ჯანაშვი- ლი *), თანამედროვე მეფის როსტომისა († 1658), ვახტანგ V ისა († 1675) და სხვ. მის მიერ შედგენილ ვრცელ „ქართლის- ცხოვრებიდამ“ დაბეჭდილია მხოლოდ ნაწილი, ისტორია როს- ტომისა, ვახტანგისა, გიორგი XI-ისა (ქ. ცხ., გვ 517—569).

ამ მოკლე ნუსხიდგან სჩანს, რომ საქართველოს ისტორია 1469 წლითვან 1800 წლამდე დაუწერიათ კარგად ცნობილ და ფრიად სარწმუნო კაცებს, რომელნიც, აქვე დავუმატებთ, არ კმაყოფილდებიან მარტო საქართველოს ისტორიის მოთხოვ- ბით, არამედ თვისს ნაწერში შემოაქვთ ძვირფასი მასალა არა თუ მარტო კავკასიის უკელა ერთა ისტორიის შესასწავლად, არამედ შორეულებისაც—თურქთა, სპარსთა, ავღანთა, რუსთა, ყირიმელთა.

და ასე, ქართლის-ცხოვრების მეორე ნაწილი ჩვენ უნდა მივიღოთ ნამდვილ და ძვირფას ისტორიულ წყაროდ, თუ, რა- საკვირველია, არ უარ-ვყოფთ მისს უეჭველს ღირსებას მხო- ლოდ მისთვის, რომ დაწერილია ქართველთაგან ქართულს ენაზე.

II. ქართლის-ცხოვრების პირველი ნაწილი

შართლის-ცხოვრების პირველი ნაწილი იწყება ვახუშტის ვრცელის გამოკვლევით (ქ. ცხ., გვ. 1—14), რომელიც მას წაუმძღვანებია თავის საკუთარ შრომისთვის, „საქართველოს ისტორიისა და გუოგრაფიისთვის“. რა ადგილი აქვს აქ ვახუშ-

*) ამ ისტორიკოსის ცხოვრებისა და მის ნაწერების შესახებ ცნობები იხ. ჩვენს წიგნში „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შროვანი.“

ტის შრომის წინასიტყვაობას, მის მიერ დაწერილს სულ სხვა მიზნით, ჩვენ არ ვიცით.

ამ „წინასიტყვაობას“ მიჰყვება მერმენდელი 9-სტრიქონოვანი ჩანამატი, რომლის ღირსებაზე ლაპარაკი გვექმნება ქვემოთ. ამ ჩანამატის შემდეგ იწყება თვით მატიანე.

პლვნიშნავთ იმ წყაროებს, რომლებზედაც დამყარებულია ქართლის-ცხოვრების პირველი ნაწილი.

I. ქართლის ცხოვრების I-ის ნაწილის ფუარობი.

ა. ქრისტიანი.

1. ქართლის მთქცევად. ამ წყაროდგან ქ-ის-ცხოვრების პირველს ნაწილში შეტანილია (გვ. 57—101) ყველა ცნობა შესახებ ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში და საყდრის დაარსებისა ივერიაში. ქართლის-ცხოვრება თვითონვე აღნიშნავს (გვ. 41 და სხ.), რომ ამ ცნობებს იღებს ქართლის-მთქცევადგან, ასე:

„ვითარცა წერილს ას ესე განცხადებულად მოქცევასა-ქართლისას“.

მოქცევად-ქართლისა, როგორც ნათქვამია მასში, უწერიათო წმ. ნინოს თანამედროვეთ, მღვდელს აბიათარს, სიღონიას, სალომეს, პერიფარას და მეფე მირიანს. ყველა ამათ დაუწერიათ ის, რაც თავის თვალით უნახავთ და რაც წმ. ნინოს უამბნია მათვეის.

რომ, მართლაც, ეს ქრონიკა ძველს დროს შედგენილია, სჩანს იქიდგან, რომ იგი თავდება ამ სიტყვებით:

„წიგნი ქართლის-მთქცევისად, რომლითა ღმერთმან ნათეჭი გამოაბრწყინვა,... ვითარცა ტალანტი, წინაშედვართაგან დაფარული, შემდგრმად მრავალთა ჭამთა და წელთა გპლეთა.“

არა სჩანს, ვის ეკუთვნის ეს შენიშნვა, ბერაის, შატბერის კრებულის შემდგენელს, თუ მრთველს, რომელიც სცხოვრებდა მე-VII საუკუნის დასასრულს და მე-VIII-ის დასაწყისს:

ვიცით მხოლოდ, რომ ეს მროველი იძიებდა ქართლის მოქ-
ცევის ამბავს. შეიძლება, ამ მროველის მიერ შეკრებილი ცნო-
ბები ქართლის მოქცევის შესახებ მის შენიშნვითურთ ბერაიმა
უმეტ-ნაკლებოდ შეიტანა თავისს დიდს კრებულში (მე-X ს.).

2. უსახელოს ქრონიკა, ქართლის მოქცევისთვის წამძღვა-
რებული. მასში მოყვანილია მოკლე ისტორია საქართველოსი,
მის მეფეებისა, ღმერთებისა, ეპისკოპოსებისა, კათალიკოზებისა
და სხ. 324 წლითვან ქრ. უწინარეს უამისა მეცხრე საუკუ-
ნემდის საქრისტიანო ხანისა. თუმცა ამ ქრონიკაში ქართლის-
ცხოვრებასთან შედარებით ბევრი ახალი ცნობაც არის, გარნა
ამ ორივე ძეგლების მოთხრობათა მსვლელობა, საზოგადოდ,
ერთნაირია.

3. მცხეთის ცხოველ-მეთველ ჯგრის აღმართვა. ეს ქრო-
ნიკა არის ვარიანტი ამგვარივე მოთხრობათა, რომელიც შე-
ტანილია ქართლის-მოქცევასა და ქართლის ცხოვრებაში. იგი
გადაწერილია ვინშე გოგიანი მიერ მე-X—XI საუკუნეში და
იმანე ბოლნელის ფრიად საყურადღებო ქადაგებებთან ერთად
შეტანილია დიდს ეტრატის კრებულში (№ 144, in folio, გვ.
424). სხვა-და-სხვა ადგილას, წერილებ შეა, გადამწერის ხე-
ლით ჩაწერილია „სტეფანე“. ეს სტეფანე შეიძლება იყოს ის
სტეფანე, რომელიც მე-IV საუკუნეში სთარგმნიდაო წიგნებს
ქართულად ან და ის სტეფანე, რომელიც მე-X საუკუნეში
ითვლებოდა გამოჩენილ მწიგნობრად.

ეს ვარიანტი ჩვენ უკვე სრულად დავბეჭდეთ (ივერია,
1898, №№ 184, 185).

4. სომეხთა მოქცევა, თხზულება აგათანგელისა, რომ-
ლისაგანაც სარგებლობს ქართლის ცხოვრება (გვ. 71), როდე-
საც შეეხება რიტისმეს, გაიანეს და მათთან ერთად წამებულ-
თა ისტორიას („ვითარება წერილარს წიგნსა მას წამებისა მა-
თისისა, მოქცევასა სომეხთასა“). ეს თხზულება თ. ქორდანიაშ
აღმოაჩინა მე XI საუკ. კრებულში და მისი ერთი ნაწილი და-
ბეჭდა თავისს ქრონიკებში (ტ. 1, გვ. 19—27).

5. ჯუანშერ ჯუანშერიანი, სიძე მეფის არჩილ II-ისა ($\times 718$ წ.). მისს ქრონიკას ასრული სათაური აქვს: „ამბავი ვახტანგ გორგასლისა მშობელთა და შემდგომად ოვით მისი, ღიღისა მის და ღვთის მსახურისა მეფისა, რომელი უმეტესად კაცთაგან განთქმულად გამოჩნდა ყოველთა შეფერა ქართველთასა.“ ეს ქრონიკა შეიცავს საქართველოს ისტორიას მე-V საუკუნითგან მე-XIII საუკ. დასაწყისამდე (ქ. ცხ., გვ. 108—184) და თავდება ამ სიტყვებით:

„ხოლო წვენი ესე ქართველთა ცხოვრებასა ვიღრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა უამითო-უამად, ხოლო ვახტანგ მეფისით-გან ვიღრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმა, ძმის-წულის ქმარმა წმ. არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან: და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან უამმან უწყებად მისცეს გონებასა მათსა, ღვთივ განბრძობილსა“ (ქ. ცხ., 184).

ამ ჯუანშერს სამთავროდ მიეცა ჯვარი, ხერკი (საგურამო), ბთიულეთი, ტფილისი და მანგლისი (ქ. ცხ. 179).

6. სუმბატ დავთისძე, ავტორი „ბაგრატოვანთ ამბავისა“ (ქ. ცხ., გვ. 161—221). ბაგრატიონების ამბავს სუმბატი იწყებს ამ სამეფო გვარის გენეალოგიით და საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს მე-XI საუკუნეებდე. მისი მოთხრობა სწყდება ფრაზაზედ: „მარიამ, დედა ბაგრატ მეფისა, წარვიდა კოსტანტინეპოლის რომანოზ იმპერატორის წინაშე, ... ძიებად პატივისა კურატპალატობისა ძისა თვისისათვის, ვითარცა არს ჩვეულებაი და წესი სახლისა მათისა და მოყვანებისათვის მის ცოლისა“.

რომანოზ იმპერატორი გარდაიცვალა 1034 წელს და ამ წლის ახლო წანს, აღბად, სცხოვრებდა ჩვენი სუმბატ დავითისძეც.

ბაგრატიონების ჩამომავლობას ურიათა მეფის დავითისა-გან აღნიშნავს თვით მეათე საუკუნის მწერალი იმპერატორი კოსტანტინე ძოწითმოსილი თავის წიგნში De administrando imperio.

სუმბატის ქრონიკა უკვე გამოსცა ე. თაყაიშვილმა თავის შენიშნვებით (ნახე მისი „სამი ქრონიკა“).

7. ბაგრატ III (980—1014), ქართლისა და აფხაზეთის გამაერთიანებელი 985 წელს. მან დასწერა წიგნი „აფხაზთა ცხოვრება“. ამ თხზულებიდან იერუსალიმის პატრიარქს დოსი-თეოზს, რომელიც მოვიდა საქართველოში მე-XVII საუკ. მე-ორე ნახევარს; როგორც თვითონვე ამბობს, ამოულია ცნო-ბები შესახებ აფხაზთა მეფეებისა და ისტორიისა. ამავე ქრო-ნიკის არა ერთხელ იხსენიებს ქართლის - ცხოვრებაც, მაგ., „და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თვითვეუ-ლად ჰპო ცხოვრებასა აფხაზთასა“ (ქ. ცხ., გვ. 196). ეს წიგნი დღეს დაკარგულად ითვლება.

8. თანამედროვე, ავტორი გიორგი მეფის (1072—1089) და მის ძის დავით ალმაშენებლის (1089—1125) ცხოვრებისა. მწერალი, რომელსაც თავის სახელი არ გამოუცხადებია, ალ-ნიშნულ მეფეების ცხოვრებას მოგვითხრობს ისე, როგორც თვალით მხილველი, როგორც თანამედროვე და უმაღლესს კარჩე მყოფი მოხელე. მაგალითებრ:

(გვ. 239) ესე გოველი თვალითა ჩვენითა ვისილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვინ წარმოთქვა თვითვეუ-ლად, რა დღეთა ჩვენთა მოიწია ჭირ.

(გვ. 254) წინა დაიდეა ოდესშე სამოციქულო წასაკითხვად, და რა ეამს დასრულის, ნიშანი დავის ბოლოს წიგნისას. ხოლო მოქცევასა წელიწდასასა მით ნიშნითა აღვთვალეთ: ოცდაოთხჯერ წარეკითხა.

(გვ. 257) მრავალგზის გვისილავს იგი დამზრულებულ დაწესებულ თვისთა ცრემლითა სილგასა ზედა თვითოთ სახეთა სენთას.

(გვ. 260) ნათესავი ქართველთა არცელ-ბუნება ას პირველ-ითგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ რაუამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპონ და განსვენება, იწუებენ განზრასვად ბოროტისა, ვი-თარცა მოგვითხრობს მეცელ მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი.

ამ დროს ქართველების მატიანე უკვე მგელი ყოფილა, როგორც ზემო ამონაშერიდამ სჩანს. დავით აღმაშენებლის მე-
მატიანე, სახოგადოდ, ფრიად ნასწავლი კაცი ყოფილა, მას
ხელთ ჰქონია არათუ მარტო ქართული წყაროები, არამედ
ევროპიულებიც, რომლებიდამაც აქა-იქ ნაწყვეტები მოჰყავს,
მაგალ..,

(ქ. ცხ.; გვ. 260) ალექსანდრე (მაკედონელმა) ქმნა ესრეთ:
შირველად მამულისა თვისისანი შექრაბნა და მით დაიპერნა დასავ-
ლისნი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი და მათითა წარტანე-
ბითა დაიშერა ეგვიპტე შესრულმან კარქედონით და მიერ ეგვიპტით—
შალესტინე და ფინიკე და კილისკისა თვისად შემქმნელი წინა-განეწყო
დარიაზს და რაჭაშ სპარსეთი მთირთო, მაშინდა ჭედლო შირქს
ჭინდოსა, და ეგრეთცა ამათ მოვლო უფეხლი ქვეყანა და ჭმნა, რა
იგი ქმნა.

ჩვენმა ავტორმა ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის
გარდა იცის აგრეთვე უმიროსი, არისტოტელი, ტროიანელთა
მეომრების მგალობელნი, იოსიპოსი, ტიტლივი და სხ. (ქ. ცხ.,
გვ. 248, 200 და სხ.).

9. თანამედროვე, ავტორი გიორგი III დიდისა (1156—
1184) და მის ასულის თამარ მეფისა (1184—1213). ავქსონის
თანამედროვეობა მტკიცდება მით, რომ იგი წერს ამბავს, რო-
გორც თვალით მხილველი. მაგალ.:

(გვ. 283) რომელი აწ სჩანს დაწერასა შინა ამისსა ათენთმე-
ტია მოქცევათა უამთა თამარ სამეზის სანატორელისათა

(გვ. 271) ესე იქმნა დღეთა ამათ ჩვენთა.

(გვ. 333) ხელო საქმეთა მისთაოვას რადდა სახმარ არს თქმად...,
ვითარცა თვით მოწმე არს ჩვენ მიერ ხილული.

შენიშვ. ენა მე-X—XII საუკ. მემატიანეებისა უმაღლესად
განვითარებულია და პოეზიით აღსავსე, ზოგიერთგან მემატია-
ნე თითქო კიდეც ლექსობს, ისე კეთილხმოვანად, შეწყობი-
ლად სწერს.

აღნიშნულ დროის ამბებს, მემატიანეებს გარდა, შეეხე-
ბიან არა თუ მარტო ქართული წყაროები, რომლების შესა-

ხებ საუბარი გვექმნება ქვემოთ, არამედ არაბულიც, სომხურიც და ბიზანტიურიც.

10. „ამბავი ჩინგიზ-ესასა, თუ ვითარ გამოჩნდეს ქვეყანესა აღმოსავლეთისასა“ თვალითმხილველისა (ქ. ცხ., გვ. 342—425).

მემატიანემ კარგად იცის მონგოლური ენა, მატიანეში ხშირად ურთავს მონგოლურს სიტყვებს, ფრაზებს. იგი მიუდგომელი მწერალია, იმოდენად მიუდგომელი, რომ საკა საჭიროა, იქ უშიშრად ამხილებს თვით მეფესაც კი.

ლეთის მხილველი მოსე იტყვისო, სწერს მემატიანე (ქ. ცხ., გვ. 366), „მთავარის ერისა შენისასა არა რქვა ბოროტი“, განსავინჯთან ესე წიგნი შემდებარე არს კეთილის მოქმედთა და ბოროტის მოქმედთათვის, შენდობილ იყავნ სიტყვანი ჩემნი, რამეთუ ჟამთა აღმწერებობა ჭეშმარიტის მეტყველება : რს და არა თვალხმა ვისთვისმე. შემდეგ ავტორი პკიცხავს რუსუდან მეფეს დასაზრას საქციელისათვის.

რის მოწამეც თითონ არ ყოფილა მემატიანე, იმის შესახებ ცნობებს იღებს სხვათა ნაწერებიდან, მაგ., ვინმე მღვიმელის ქრთვიერამ („ვითარუა დასწერს ბერი ვინმე მღვიმელი“, ქ. ცხ., გვ. 354).

შალვა ახალციხელის დატყვევებისა და წამების ისტორიას ავტორი გადმოგვცემს მოკლედ: უსე აქამომდე სულ მცირედ აღიწერა ჩვენ მოერ“, (ქ. ცხ., გვ. 351).

რომ მემატიანე ყოფილა სამცხელი ანუ მატიანის წერის დროს სამცხეში უცხოვრია, ეს სჩანს მისის: შემდეგის გამოთქმიდამ:

„მოვიდა სამცხეს“ (ქ. ცხ. გვ. 392)

„მოვიდა ბექას წინაშე“ (გვ. 492)

„მოვიდა პირველად კოდას და არტანს“ (გვ. 445)

„მივიდეს ქუთაისს“ (405)

„მივიდეს ტფილისს“ (410).

რომ „მონგოლთა მოსევის ამბის“ დამწერად შეიძლება ყოფილიყო ცნობილი მოღვაწე აბუსერიმე (მე-XIII საუკ.), ამის შესახებ რაოდენიმე სიტყვას ვიტყვით თავის ადგილას.

11. „ქეგლი ეზასთავთა“ თანამედროვისა შეტანილია ეტრატზე გადაწერილს სვინაქსარში. ქრონიკაში წარმოდგენილია მოკლე ისტორია საქართველოსი და ვრცელი—ქსნის ერისთვებისა, ოსეთიდგან მოსულ მთავართა. დაახლოვებით, ქრონიკა შეეხება 1292—1400 წლების ამბებს.

მს შესანიშნავი ძეგლი ხელში ჰქონია ცნობილს მეღვინეთ ხუცესიშვილს, რომელსაც ამ ძეგლის პირი გადულია და მიუკია ბროსესთვის და მას გადუთარებნია ფრანგულად და დაუბეჭდია („Addit.“, გვ. 372—384). მეღვინეთ ხუცესიშვილის გარდა ცვალების შემდეგ ეტრატზე ნაწერი დედანი დაკარგულა, გარნა შენახული მისი პირი, რომელიც თ. უორდანიაშ თავის ძვირფას შენიშნვებით დაბეჭდა მის მიერ გამოცემულ „ქრონიკების“ მეორე ტომში (გვ. 1 30)

როგორც ეს ქრონიკა, ისე ერეკლე II-ის მიერ შედგენილი „სია თავად-აზნაურთა“ ერისთავების შემოსვლას ქსანარაგვის ხეობაში მიაკუთვნებს იმპერატორის იუსტინიანეს დროს.

„ძეგლი ერისთავთა“ ფრიად საყურადღებო წყაროა არათუ მარტო ქართლის ცხოვრებისა, არამედ ოსეთის ისტორიისაც. მასში, ვითარცა ქართლის ცხოვრებაშიაც, სხვათა შორის, მოხსენებულნია ოსთა მთავარნი და მეფენი—სუნდუ, ფარეჯან ამასაჯან, ბალათარი და სხ. ერთ ადგილას ნათქვამია (ქრონიკები, გვ. 7): „შალვა მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფის ასული სახელად ბირდი..“ ეს შალვა, ბალათარი და მეფე ოსთა ფარეჯან თანამედროვენია ვახტანგ II-ისა (1282—1292), დავით VI-ისა (1292—1310).

12. ცხოვრება გიორგი ბრწყინვალისა (1318—1346) შევსებულია ისტორიკოსის ვახუშტის მიერ თანახმად ამ მეფის გუჯრებისა და „სამართლის წიგნისა“ (ქ. ცხ., გვ. 448, შენ. 1).

13. ლანგ-თემურის შემოსევა და მცირებული ბრძოლა ბაგრატ მე V-სთან (1360—1395) და ამის შეილ გიორგი მე-VII-სთან (1395—1407). ეს ქრონიკა დაწერილია თანამედროვესაგან. ლანგ-თემური შეიღვინება საქართველოს, შვიდ გზის ათხრა და ქართველები ყოველთვის მამაცურად უხვდებოდნენ, დიდად აზარალებდნენ. მემატიანე ამბობს (ქ. ცხ., 461):

„მე ეგრეთ ვერ ძალა-მის აღწერა და შესხმა ქებისა ახოვნებათ მათ ჭაბუკთა ქართველთასა, ვითარ იგი სპარსთა წიგნთა შინა წერილ არს ქება სპათა ქართველთასა“. *)

და მართლაც, ქართველებთან ბრძოლისათვის ამ ლანგ-თემურს მაჲმედიანობისაგან მიებობა უმაღლესი ჯილდო — ყაზა-რაბა. (ედ. გიბბონ, ტ. VII, გვ. 178).

ჩვენ გავათავეთ განხილვა ქრონიკებისა, რომელნიც შეადგენენ ქართლის-ცხოვრების პირველს ნაწილს. მკითხველი კარგად დაინახავდა; რომ ეს ქრონიკები დაწერილია სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მდგომარეობის დროს.

ამისთანა ქრონიკები რომ ხელად გვაქვს, უსამართლოდ მიგააჩნია პატკანოვის სიტყვები: „საქართველოს ძელს მატიანეში ჩვენ ვხედავთ, შედარებით, ასალს, უგერგილო კომშილიაციას, გამოუცდელის ხელით გამოჭრილს, ცნობილს უაღიბზე“; „რამდენიმე წიმიდანის ცხოვრების გარდა საქართველოს ფიტერატურის ძელის ხანადგან სხვა ძეგლი ისტორიულ შინაარსისა არ დაშთებილა“ (Вансკ. надписи, გვ. 201, 206).

პირიქით, ქართული მატიანე დამყარებულია არა თუ „რამდენიმე წმიდათა ცხოვრებაზე“ და ჩვენ მიერ ზემო-აღნიშ-ნულ ქრონიკებზე, არამედ კიდევ სხვა უკუნობელ და უხრწნელ ძეგლებზედაც.

*) ზედ მიწევნით არვიცით, სახელდობრ, რა წიგნებია ეს „სპარსთა წიგნები“, რომლებშიაც არის ქება ქართველებისა; ვიცით მხოლოდ თხზულება შიხ-აბ-ედ-დინ ელკალკაშენდისა († 1418), რომელშიაც, მართლაც, დიდი, უმაგალითო ქებაა ქართველ მეფეებისა. (იხ. „Царица Тамара“ 83. 17—18.)

მართველი მემატიანები არას დროს არა სწერენ წინდაუ-
ხედავად, როგორმე, გარნა ყოველთვის სცდილობენ, რაც შე-
იძლება, სიმართლით აღწერონ ეს თუ ის ამბავი, საკა თვითონ
არ დასწრებიან პირად, იქ ცნობებს იღებენ სხვა-და-სხვა სარწ-
მუნო წყაროთაგან—გუჯრებიდამ, სიგელებიდამ, სვინაქსრები-
დამ, წარწერებიდამ, გადმოცემებიდამ და სხ. აი, ამგვარ წყაროე-
ბის განხილვას შევუდგებით აწ.

ბ. ქართლის-ცხოვრების მემატიანეთა წყაროსი.

1. გამოლაშქრება იმპერატორის ითავლისა (622—629)
და სკვითთა ხეანის ჯიბლუსი (ძიბელისა). ამ თხზულებას ხში-
რად იხსენიებენ ქართლის-ცხოვრების ქრონიკების ავტორები
და მისგან მოჰყავთ სხვა და სხვა ცნობებიც.

„თამარ მეფის ცხოვრების“ აღმწერელი რუს-გიორგის სა-
ქციელს ადარებს სკვითთა ხაყანის ჯიბლუს ყოფა-ქცევას; იგი
ამბობს (ქ. ცხ., გვ. 288): „მისვე ძველისა ხალან სკვითისა
შემსგავსებულად მოსდგომია აქაცა: მუნ (ბიზანტიას) თუ იგი
მოადგა დედოფალსა ქალაქთასა (ე. ი. კოსტანტინეპოლის),
აქა ესე დედოფალსა დედოფალთასა და მეფესა მეფეთასა“ (ე.
ი. თამარ მეფეს). ხალანი ჯიბლუ რომ შემოერტყა კოსტანტინე-
პოლესო, ისე გაგდებული რუსი დაბრუნდა და ომი აუტეხა
თამარ მეფესო.

სხვა ადგილის (ქ. ცხ., I, 373) მოყვანილია მისგან შემდეგი
ნაწყვეტი: „ოდესმე იხსნა ერთ თვისი დეთისმშობეჭმან უმსჯავ-
რისა მისგან სიკვდილისა, ვითარ თქესმე იხსნა ქალაქი იგი კოსტან-
ტინეპოლი, რაჟამს ბარბარიზთა გარემოეცვა მხედავრთ მთავრობასა
სარვასნისსა და მძინვარედ აღდგომასა ხადან სკვითთა მთავრისასა,
ვითარ დანიენა მბრძოფლი მისნი ზღვად; რამეთუ აღდეღნა ზღვა და
განდნა ნივისა და დაინთქნეს მძინვარედ და ხმელეთსა ზედა
შეთფთა აწერია ცეცხლი, ვითარ ძველ-თდე მე სოდომელთა ზედა“.

შრონიკა „გამოლაშქრება ირაკლისა და ჯიბლუსი“ ჩვენ
გადმოვწერეთ ტყავზედ ნაწერ წიგნიდან (ეკლ. მუხ., № 471),

რომელიც გამოსუა გიორგი მთაწმინდელმა 1042 წელს, და დაუბეჭდეთ კავკასიის სასწავლო ოლქის „სბორნიკში“ (XXVII).

შრონიკაში წარმოდგენილია საშიშარი მდგომარეობა კოსტანტინეპოლისა, რომელსაც ჩრდილოეთის მხრით მიჰეოდა სკვითთა ხალანი და სამხრეთის მხრით კი სპარსთა ლაშქარი სარგარონის სარტლობით. ღვთისმშობელმა იხსნაო ერი თვისი განწირულებისაგან, ჰქმნა მრავალი სასწაულები, ზღვა ააღელვა და დაანთემევინა მტრის ნავები ლაშქრითურთ, ცეცხლის წვიმა აწვიმაო და სხ.

ირაკლი შეურიგდა სკვითთა ხალანს და მასთან ერთად გამოილა შექრა, დაამარცხა ყაენი, აიღო ტფილისიც და ძლევა-მოსილებით დაბრუნდა.

მს ქრონიკა არ უნდა იყოს ბერძნულ თქმულებათაგან ნათარგმნი, ამ თქმულებათა ნამდვილი პირი, რადგან ასრე დაწვრილებით, როგორც ჩვენი ქრონიკა, აღნიშნულ ამბებს არ გადმოგვცემს არც ერთი უცხოური წყარო.

ჩვენი ქრონიკა შედგენილი უნდა იყოს ქართულის ძე-ლის გადმოცემების თანახმად: მისი ნაწყვეტები გვხვდება ა) დავითისა და კოსტანტინეს ცხოვრებაში (სამოთხე, 323), ბ) ქართ. ცხოვრებაში (გვ. 170—174) და გ) ბაგრატის შრომაში (№ 186, გვ. 2315—2322). ბაგრატი ამბობს, რომ მოთხრობა ულვოო მაჰმადიანთა სარწმუნოების შესახებ ამოვილე-ძელ წიგნებიდანო, და ამგვარ წიგნებად კი ჩვენ მიგვაჩნია ა) აბუ-კურად (XI ს.), ბ) წინამდლვარი 1217 წელს გადაწერილი (№ 65), გ) უწყებანი არსენი კათალიკოზისა (X ს), დ) უწყე-ბანი ეფრემ-მცირისა (XI—XII ს.). ეს ეფრემ-მცირე, მოგვით-ხრობს-რა ირაკლის გამოლაშექრების ამბავს და მაჰმადის გამო-ჩენისას, ისევ იმოწმებს მველს წიგნებს (№ 162, გვ. 144 და სხ.).

2. ნებრთოს წიგნი. მირიანს († 342) ცხოვრებაში ნათქვამია, ამ მეფემ ქრისტიანობის მიღება ინება მხოლოდ მა-შინ, როდესაც დარწმუნდა“, რომ მველნი და ახალნი წიგნი-

ერთნაირად მოგვითხრობენ კრისტეს მოსვლის ამბავს და „ნებროთის წიგნიც“ ამტკიცებს მათს ნათქვამსო:

ამ ნებროთის წიგნიდამ ჯუანშერიანს ამოულია ცნობები (ქ. ცხ., 122—123) შესახებ ბაბილონის გოდლის აშენებისა, ენათა შერევნისა, ერთა გადასახლებისა (მოხსენებულია სულ შვიდი ერი: ინდი, სინდი, ჰრომი, ბერძენი, აგმაგუგი, სპარსი, ასური).

ამავე ენათა შერევნის ამბავს მთელს 91-ს ტაეპს უძღვნის პოეტი შავთელი (XII საუკ.) და ჩამოსთვლის იმავე შვიდს ერს—ასურს, ინდს, რომს, სინდს, ბერძენს, სპარსს, აგმაგუგს.

„ნებროთის წიგნის“ ზოგი ადგილები ჩვენ უკვე დავბეჭდეთ ქართლის-ცხოვრების მაგვარსავე ცნობებთან შედარებით („სბორნ.“, XXIX).

ძველის-ძველად საქართველოში მეფობდნენ ნებროთიანნი. ამ ნებროთიანებს შეიძლება ჰქონდათ საგვარეულო ძეგლი— „ნებროთის წიგნი“ და როგორც ქ. ცხოვრება ამბობს (გვ. 123), საიდუმლოდ დაეცვათ იგი თავიანთ გვარეულობაში.

3. ცხოვრება ანდრია მოციქულისა. ეს თხზულება, როგორც მოწმობს გიორგი მთაწმინდელის მოწაფე გიორგივე, ძველადვე თარგმნილი იყო ქართულად და ითვლებოდა საეკლესიო—სარჯულო კითხვების განსამარტივ წიგნად. ამავე წიგნით სარგებლობდნენ ქართველი მემატიანები, როდესაც საჭირო იყო აღეარათ, რომ საქართველოს ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია და დამყარებულია იმისთანა სიმტკიცეზედ, ვითარიც არის კვართი უფლისა (ქ. ცხ., 39—37 და სხ.).

4. ცხოვრება პეტრე (მურვანოს) მაიუმელასა. ამ ეპისკოპოზის ცხოვრება ასურულს ენაზე დასწერა მისმა მოწაფემ ზაქარიამ და მერე ითარგმნა ქართულად*) (ქ. ცხ. 102—103).

*) 5. მარმა შემოკრიბა სრული ცნობები შესახებ პეტრესი და მის „ცხოვრებასთან“ ერთად ჩინებულად გამოსუა (Житие Петра-ивера, патропевича, подвожника и епископа майумского, V вѣка).

5. ცხოვრება აბთ ტფილელისა († 786 წ. 6. იანვ.). ეს შესანიშნავი თხზულება დაწერილია თანამედროვე იოანე საბანიძისაგან ქართლის კათოლიკოზის სამოელის ბრძანებით და შეტანილი ტყავზედ ნაწერ კრებულებში—IX საუკუნისა (№ 19), IX—X საუკუნისა (№ 95) და X საუკუნისა (№ 425 წ. კ. საზოგად.).

ამ ვრცელს ნაწარმოებში ბევრი ძვირფასი ცნობებია, შესახებ საქართველოს, აფხაზეთის და ხაზარეთის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ყოფა — მდგომარეობისა არაბთა მფლობელობის პირველს საუკუნეს.

აბოს ცხოვრება უკვე გადმოვსწერეთ სამივე ვარიანტიდამ და ერთად დავხეჭდავთ მაშინდელ დროის ლექსიკონითურთ.

6. ცხოვრება წმ. არჩილისა († 718), დაწერილი თანამედროვის ლეონტი მროვლისაგან, შემოკლებულად შეტანილია ქ. ცხოვრებაში (გვ. 181—184) და სრული პირი კი ჩვენ გადმოვიდეთ 1733 წლის მამათ ცხოვრებიდამ და დავბეჭდეთ ჩვენს წიგნში ამწერლობა მეათე საუკუნემდე.“

7. ცხოვრება წმ. რაფენისა († 504 წელს ანუ ზის ახლო ხანს) შედგენილია, როგორც ამბობს ავქსინი, ფანახმად მგელთა მაციანეთა და აღწერათა (სამოთხე, გვ. 169, 178).

8. ცხოვრება წმ. შუმანიკისა († VII საუკ.). შეტანილია ტყავზე ნაწყრს კრებულში მე IX საუკუნისა (№ 95). ენა ამ თხზულებისა არის შვენიერი ნიმუში ძველის ქართულ ლიტერატურულ ენისა. მასში დაცულა წარმართულ დროინდელი სახელები თვეებისა (აპანი, ვარდობისა).

მს საყურადღებო თხზულება უკვე გადმოვსწერეთ და დასაბეჭდად დავამზადეთ.

9. ცხოვრება ასურთა მამათა (სამოთხე, 193—302; ქ. ცხ.; 151—158). ამ მამების ცხოვრებამ ჩვენამდე მოაღწია მე-XVII—XVIII საუკ. ნუსხებით, თუმცა ზოგიერთის ცხოვრება შედგენილი იყო ძველადგანვე, მაგალ., კათოლიკოზის ბასილის მიერ. პატრიკის ვაჩეს ძისა (სამოთხე, 253).

10. ცხოვრება ნეოფიტე ურბნელისა (სამოთ., 306—313), რომელიც აწამა აპმალმა, ამირა, მუმლის ბალდადელის სპესპეტიმა. ამ ეპისკოპოსის „ცხოვრება“ თავდება ასრე: „ვპოვეთ ისტორიად ნეოფიტესი სასწაულების მოთხოვნათა შინა ღირსისა შინ საკვირველით მოქმედისათა, რომელნიცა სხვა და სხვათა მიერ აღწერილნი შეჰქრიბნა ნეტარმან ბასილი, მამათ მთავარმან ქართველთამან, ძემან პატრიკის ვაჩესმან“ (გვ. 312),

11. ცხოვრება ევსტათი მცხეთელისა, რომელიც აწამეს ტფილის ხოსრო ნუშირვანის (531—589) ღროს (სამოთხე. 413—322). ეს თხზულება შეიცავს კარგს ისტორიულ მასალას და ემოწმება ქართლის მოქცევის ცნობებს.

12. ცხოვრება არგვეთის მთავრების და კოსტანტინები († 741). ამ მატიანის ავტორს მოჰყავს ცნობები შესახებ ერეკლე იმპერატორის გამოლაშერებისა, მაჰმადის შობისა, არაბთა ლაშქრის შემოსევისა მურვან-ყრუს მეთაურობით (ქ. ცხ., გვ. 170, 173—174). არაბნი იჭერენ დავით და კოსტანტინე მთავრებს და აწამებენ წყალ-წითელას კიდეზედ (ქუთაისის ახლოს, მოწამეთს). მემატიანე თანამედროვე არ არის, რგო ცნობებს იღებს, როგორც თვითონვე ამბობს (სამოთ., გვ. 324), მეეღთა უწევებათაგან.

13. ცხოვრება წმ. კოსტანტინისა, რომელიც აწამა ჯაფარმა ბაბილონს 854 წ. 10 ნოემბერს. მისი ცხოვრება დაწერილია თვალითმხილველისაგან (№ 97 და № 170 ეკლ. მუზ.), რომელსაც თავის შრომაში შეუტანია მრავალი საყურადღებო ცნობები მაშინდელი ღროვის აღმოსავლეთის პოლიტიკურ მდგრადრეობისა.

14. ცხოვრება იღარიშონ-ქართველისა, კახეთის თავადისა. ამან თვისმიერ დაარსებულნი სკოლანი და მონასტერნი შეამკო მრავალგვარ წიგნებით, მერე წავიდა პალესტინას, ბიზანტიას, თესალონიკეს, რომს; მისი დიდი მეგობარი იყო იმპერატორი ბასილი (867—880), რომელსაც თავის შვილების აღზრდა მიენდო ილარიონისთვის. ეს დიდი მოღვაწე გარდაიცვალა ულუმბოს (თესალონიკეში), მის მიერვე დაარსებული

ქართველთა მონასტერში 53 წლისა. გვამი შისი იმპერ. ბასილიმ გადმოასვენა კოსტანტინეპოლის ერის სათაყვანოდ და მერე აქედგან მისავენა ქართველთავე მონასტერს, რომანას.

იმპერატორის მინდობით ილარიონ-ქართველის ცხოვრება აღწერა ფილოსოფოსმა ვასილიმ ბერძნულად. და შერმებერძნულიდგან ქართულადაც თარგმნეს. მისი ცხოვრება შეტანილია ათონის კრებულში 1074 წლის (ტფილისი, 1901 წელს), ეტრატზე ნაწერს სვინაქსარში XI საუკუნისა (№ 222 ეკლ. მუხ.), სამოთხეში და მოკლედ პროფეს. ცაგარლის წიგნში—Палестинскій сюбор. ვЫП. 10, გვ. 32—42.

15. ცხოვრება გობრონისა, დაწერილი ტბეთის ეპისკოპოზის სტეფანესაგან ერისთავთ-ერისთავის აშოტის († 918) მინდობილობით. გობრონი არაბებმა შეიძყრეს ციხე ყველში და აწამეს 914 წლის ახლო ხანს; მაშასადამე, მისი ცხოვრების აღმწერელი სტეფანე არის თანამედროვე. ეს სტეფანე იყო ფრიად განათლებული კაცი. იგი ცნობილია არა მარტო გობრონის ცხოვრებით, არამედ შატბერდის ტყავზე ნაწერ კრებულითაც.

16. მტრატზე ნაწერი კრებული IX—X ს. (№ 19 ეკლ. მუხ., in folio, გვ. 489).

17. მტრატზე ნაწერი კრებული X ს. (№ 95 ეკლ. მუხ., in folio, გვ. 1316).

18. მტრატზე ნაწერი კრებული X ს. (№ 144 ეკლ. მუხ., in folio, გვ. 424).

19. მტრატზე ნაწერი კრებული X ს. № 425, გვ. 1088)

20. მტრატზე ნაწერი კრებული X ს.—შატბერდის კრებული იოანე-ბერაისა (№ 1141. წ. კ. საჩ., გვ. 634).

ამ დღიდ-დღიდ ხელთნაწერებში მრავალნაირი წერილებია, სახელდობრ: ცხოვრებანი და სწავლანი. ქართველთა და მსოფლიო მამათა, ფასტიოლოგი, ¹⁾ თუალთაჭ, ²⁾ ტაძრის აგება.

¹⁾ ჩვენის ნუსხით დაბეჭდა პროფ. ა. ხახანაშვილმა თავის წიგნში—Очерки истории груз. словес. (გამოც. 2, 325—328)

²⁾ დავბეჭდეთ მე XXIV გამოც. Сборникъ-ისა.

ლუდს³), ფსალმუნთა განმარტება, ქართლის - მოქცევად და ქართველთა მეფენი 324 წლითგან ქრ. ღაბალებამდე მე-IX საუკუნემდე ქრ. შ.,⁴) მცხეთის ჯვრის აღმართვა, წმ. ნინოს ქადაგებანი, ბოლნელ ეპისკოპოზის ქადაგებანი, ცხოვრებანი შუშანიკისა, აბოსი, გულანდუბტისა, სატინიკისა (სატინიკის „ცხოვრება“ ვიღაც ბარბაროზს ამოუგლეჯია დედნიდან და დაკარგულა), გადამწერთა და მთარგმნელთა შენიშვნანი და წარწერანი. თუ რა ფასისა არიან ესრეთნი წარწერანი და შენიშვნანი, ამას ცხადად გვიჩვენებს თუნდა შემდეგი შენიშვნა № 95-ის გადამწერისა (იხ. გვ. 1222):

დიდებად შენდა, სამებათ წმიდათ. დასრულდა წამებად წმიდათა მოწამეთა საკითხავები. თავი: და.

კუთხეულნო ერთ მოშავალნო, ოთმელნი ჩუქნის შემდგომად ეფუძნ ხართ:

შირველ თდეს ამას წიგნსა დავიწე, ესრე შედვა გულსა, ვითა დედათა წამებად და ცხორებად თდენ დავწერო და მით გავასრულო. და გისარგვი, დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა გქებნებედა და ესთენ ვაჟვე, ვერდარა შემეძლო ძებისა; მერმე ესე მამათა მოწამეთა, ოთმელი პარსალს არა ეწერა, იშხნიო შივალე და მით გავასრულე.

და ესე ცხორებნი დედათა და დუთის მოუქარეთა მამათანი მაწებით ამას ქუმოსა ქურისა მოყაქციენ; თუმცა შირველ გამეგონა, თავსა ზედა მამათა მოწამეთა გამდა. განა დედათა წამებითა და ცხორებითა თდენ ჭდამოდე გასრულებას...

ჭირნი კულა დიდი მინახიან. დმერთმან დაგაჯეროს. სული გრიგოლ პატარაისა მოიხსენეთ. წმიდათა ჭოცვათა ოქუენთა.

გაბრძელ ჭიკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა (ღმერთმან შეუნდგენ ცოდფანი!): თდეს შიმწირდის, მათ მივჭმართი, შურა შციან.

³⁾ გამოსცა პროფეს. ნ. მარტო პეტერბურგს 1901 წელს.

⁴⁾ გამოსცეს ე. თაყაიშვილმა და თ. კორდანიამ განმარტებით და ძვირფას შენიშვნებით.

იოვანე გარუეთიშვილის კუტაფილთა დაწყობ მთმართუა.

პრებული № 425 შესანიშნავია კიდევ მით, რომ თავიდან ბოლომდის საგალოობო ნიშნებით მოწყობილია. მისი შემდგენილი მიქელ მოღრეკილი ამბობს, რომ ეს საგალოობლები ვპოვე ძველს წიგნებშით, ქართულს ენაზე გავაწყეო საგალობლები ქართული, ბეჭმული და მეხური.

აღნიშნულს ხელონაწერებზე, ვითარცა ხელო - უქმნელ ძეგლებზე მე IX-X საუკუნოებისა, დამყარებულია აგრედ-წოდებული ოქროს ხასია საქართველოისა.

21. „განეოფა ქართველთა და სომეხთ ებლესისა“, თხ-ზულება კათალიკოზის არსენისა (მე X ს.). ეს ვრცელი მატიანე იძლევა ძვირფასს ცნობებს, რომელნიც საკმაოდ შეავსებენ ამგვარსავე ქარ.-ცხოვრების უწყებას. არსენის შრომა თ. უორდანიამ საყურადღებო შენიშვნებითა და საფუძვლიან განმარტებით დაბეჭდა თავის ქრონიკებში (ნაწილი I, გვ. 303—342).

22. ათონის ეტრატზე ნაწერი კრებული 1074 წლისა, უკვე დაბეჭდილი ჩვენ მიერ საეკლ. მუზეუმის საფასით და ა. ხახანაშვილის წინასიტყვაობით (XXVI + 368).

შინაარსი: ა) ივერიის დაგრის დამაარსებელთა ისტორია, დაწერილი გიორგი მთაწმინდელის მიერ 1035 წლის ახლო ხანს იმის ჩვენებით, რომ იგი ამ ისტორიას სწერს ოვალით მხალველთა სიტყვით, აგრეთვე თანახმად „მამათა ცხოვრებისა“, ეფთვიმეს ნუსხისა, მამათა ნაწერებისა, წიგნისა, რომელშიაც შეტანილი იყო სახელები ძველთა წიგნთა (გვ. 1, 17, 18, 24); ბ) ცხოვრება ილარიონ-ქართველისა, გ) ცხოვრება მოციქულის იოვანესი, დ) საგალოობლები პატივად ზე-მოქსენებულთა წმ. მამათა, ე) აღაპნი მათ მოსახსენებლად, ვინც რაიმე სამსახური გაუწია ლავრას. დამატება: ცხოვრება: ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა (+ 1066), დაწერილი მის მოწაფის გიორგი-მწერლისაგან.

პრებული შეიცავს დიდს მასალის არა თუ მხოლო საქართველოს მე-X—XI საუკ, ისტორიისათვის, არამედ ქართველ-

ბერძნთა და ქართველ-რუსთა კავშირისა და განწყობილების შესახებაც. ორიოდე მაგალითი.

5) ქართველ-ათონელნი ბერძნებს უთმობენ კუნძულ ნეონის შემოსავალს და კარაკალის მონასტერს; სალუნის სლალვიანებს აძლევენ მიწას ტაძრის ასაგებად. ბულგარიაში, დღევანდელს ჩეპელდერეს და მაშინდელს პეტრიჩს, აგებენ საკუთარს ეკლესის ბულგართა გასანათლებლად, აგრეთვე აშენებენ ტაძრებს თესალონიკეს ნათლის მცემლისას და დობროკის წმ. გიორგისას, და ყველა ამ ტაძრებში ამწესებენ სახელოვან მოღვაწეთ, მაგალ., ფილოსოფოსს იოვანე პეტრიშის და სხვ. თვით წმ. გიორგი მთაწმინდელი ჰმუსრავს საკერპოს ლიველიაში, საკა მოსახლეობდნენ ბულგარნი.

ბ) ქართველ-ათონელთა ლვაწლით მყარდება კეთილი განწყობილება საქართველოსა და ბიზანტიის შორის. ქართველები ჰუკელიან უკანასკნელს ამბოხებათა და უბედურებათა უამს: ნიჭიერ ქართველებს იმპერატორები ამწესებენ თავის სამსახურში. ქართველ წმიდანთა ცხოვრება იწერება ბერძნულს სვინაქსრებში. ქართულს წიგნებს ასწორებენ ბერძნულის თანახმად.

შველა ეს ცნობები მტკიცდება არა მხოლოდ ქართულის მატიანით და მის წყაროებით, არამედ ბერძნთა და სომეხთ მწერლების გადმოცემითაც. ჩვენ ვიცით, მაგალ., რომ ჯოჯიკი (Tzitzikis), ძე ივერიის პატრიკიის თევდოტესი, იყო დაროსტოლოს პრეფეკტად 1016 წელს, რომ ბიძაშვილი თევდოტესი, ვარაზვაჩე იყო იმპერატორის პროტოსფათარად და 1038 წელს ისნა ედესა არაბთა აოხრებისაგან, რომ აბულარბის (Aboucarib) შვილმა ვასილიმ დავით კურატპალატის (+ 1001) კარვის მცველმა, მანძიკერტის რაზმით უკუაბრუნა სახელოვანი ტოლრულბეგი 1054 წელს. ყველამ იცის ისიც, რა სამსახური გაუწიეს ბიზანტიის თორნიკიმ (ზე-X ს.) და ლიპარიტ ორბელიანმა 1048 წელს.

8) ქ. ცხოვრებაში ვკითხულობთ (გვ. 215): საბერძნეთში შეიქმნა დიდი ლელვა. ბასილი იმპერატორის სპასალარი და წარვიზი, ძე განდგომილის ფოკასი, შეითქვნენ და მეფედ

გამოაცხადეს კსიფენი და მიიბირეს მთელი აღმოსავლეთი. ბა-
სილი შეძრწუნდა, გარნა ღმერთმა უშველა მას. წარვიზი გა-
ნუდგა კსიფენს თავის მომხრეებით; გარნა წარვიზი მოჰკლეს
და კსიფენი კი შეამწყვდიეს დალასონის ცახეს, შეიპყრეს და
მიჰვარეს იმპერატორს. ამან კსიფენი დამწყვდია ერთს კუნ-
ძულზე და მისთა თანაგამზრახთა თავები გააყრევინა და მათ
შორის ფერისსაც, ჯოჯიკის ძეს.

ამ ფერისის შესახებ ათონის კრებული იუწყება (გვ. 290—
291): ბევრს ჰსურს შეიტყოს, სად შეისწავლა ჩვენმა მამამ
(გიორგი მთაწმინდელმა) ბერძნული ენა და ვინ მოგვიძლვნა
ჩვენ ეს დაუშრეტელი საუნჯე. ვინ და ფერის ჯოჯიკის ძემ,
ქმარმა ბაგრატ მეფის († 1014) ასულის წულისაც. რად მოვი-
ხსენე აქ ბაგრატის ასული, დაი ვასილი ბერისა? იმიტომ, რომ
ეს ქალი თავის ძმას ვასილზე ნაკლები არ იყო სიწმინდით. ამ
ფერისმა და მისმა მეუღლემ მოინდომეს მიეწვიათ. თავისთვის
რჯულის მოძლვარი და მასწავლებელი, და ორივემ გადასწყი-
ტეს მიეწვიათ გიორგი-მწერალი, დავით კურარპალატის (†1001)
მწერალთა უხუცესი. მიიწვიეს და მიანდეს შას თვისი სასუ-
ლიერო და სახორციელო საქმენი. ამ გიორგისთანვე იყო მცი-
რე წლოვანი მისი ძმისწული გიორგი მთაწმინდელი. ცოლი-
ქმარმა, ნახეს-რა მშვენიერი ყრმა გიორგი, თავის შეილად გა-
მოაცხადეს. გავიდა რამდენიმე ბანი. იმპერატორი შასილი გაუ-
რისხდა ფერისს და თავი მოჰკვეთა: ამბობში მონაწილეობის
მიღება შესწამეს; მისი სახლობა კი კოსტანტინეპოლის წაასხეს.
იქ დარჩენენ 12 წელს. ფერისის ცოლმა და გიორგი მწერა-
ლმა ყრმა გიორგი მიაბარეს სწავლულ კაცებს, რომელთაგან
ისწავლა ბერძენთ ფილოსოფია და სიბრძენე. შემდეგ ფერი-
სის ცოლს ჟატია და ნება მიეცა სამშობლოში დაბრუნებუ-
ლიყო. გამოეთხოვნენ კოსტანტინეპოლის და მოვიღენ სამ-
შობლო სოფელს ტვარწატაფას. აქ გიორგი ყრმამ შეიტყო,
რომ მისი დედა მომკვდარიყო. ეს ცნობა მოუტანა მას მისმავე
მამამ, აქ გადმოსახლებულმა...

აჯანყება ნიკიფორე ფოკასი, როგორც ვიცით, იყო 1022 წელს. არისტაკესი ამბობს, ფერისს და მისს სიძეს ანდრონიკეს თავები გააყრევინეს აგარაკს, არსენის (არზრუმის) სანახებზედო (Hist. de la Géorg, გვ. 308; არისტაკესი, თ III).

თუ რა გვარი ძვირფასი ცნობებია ათონის კრებულის აღაპებში შეტანილი, სჩანს შემდეგის ორიოდე მაგალითიდამაც.

ა) აღაპი №№ 60, 120 და 121: აპრილსა 30-ს დავაწესეთ აღაპი სუმბატ კურატპალტისათვის საბა ქმნილისა და მეუღლელისა მისისა მარიამისთვის, ბასილიკის ასულისა...

სუმბატ კურატპალტისათვის იყვნენ, ერთი იყო სუმბატ დავითისძე († 992) და მეორე სუმბატ ბაგრატისძე († 1011). აღაპში სუმბატი ახლად გარდაცვალებულად სჩანს. გარნა აღაპი შეუდგენია (დაუწერია) ლავრის მამას იოვანეს, ბერძნთაგან ქართველთ მონასტრის (ათონის) გაძარცვის თვალით მხილველს. ეს იოვანე უნდა იყოს ეფთვიმეს მამა, ვინაითგან მამა ივონე II იყო მხოლოდ 1168 წელს და ბერძნებმა კი ქართველთა ათონი აიკლეს 1021—1022 წ.

ბ) აღაპი № 153: ივლისის 25-ს, წმ. ანას გარდაცვალების დღეს ვაწესებთ თამარ მეფის აღაპს. ოდეს ჩვენნი კელინი გადიწვა, აღმოსავლეთს (საქართველოს) წარვგზავნეთ ჩვენნი ძმანი, რომელთაც თამარმა უბოძა 20 დუკატი და 2-ნი სტავრანი, ლირებულნი ოც-ოც დუკატად. კვალად იმავე თამარ მეფეს ნიკოლოზ გულაბრიძის ხელით გამოეგზავნა ჩვენთვის 20 პერპერი, რომლითაც საწისქვილე არხი გამოვიყვანეთ; აუგვენეთ წისქვილი და ბოსტანი შევჭმენთ. მანვე გაიმეტა ჩვენთვის გიდევ ბევრი, გარნა ამ წყალობათ ჩვენამდის ვერ მოაღწიეს დორთა კაცთა გამო.

დორ-ჯაფებად, აღმად, იგულისხმება იმპერ. ალექსი, რომელმაც ფულის მოყვარეობით შეიცყრა საქართველოდგან დილის შესაწირავით მიმავალი ბერები პალესტინეს და ათონს და გაძარცვა იგინი. ბერები ისევ დაბრუნდნენ საქართველოში. თამარმა წინანდელზე მეტი მიუბოძა მათ და ალექსის წინააღმდეგ კი გაგზავნა დიდალი ლაშქარი, რომელმაც კირ-ალექსი

კომნიანესთან ერთად დაიჭირა ტრაპეზუნტი (Le beau—Hist. du Bas Emp., XVII, 254, შენ. 2; ქართ. ცხ., გვ. 318).

ნიკოლოზ გულამბრისძე ფრიდად განათლებული კაცი იყო: კათალიკოზობა და მწიგნობართ უხუცესობა მისთვის მიეტაცა მიქელ კათალიკოზს, თამარმა გამეფებისავე უმაღლ ნიკოლოზ გულამბრისძე დაიბარა იერუსალიმიდან.

8) მარ.-ცხოვრება არ ამბობს, სად ასაფლავია ბაგრატ IV († 1072). ათონის კრებული კი ამბობს (გვ. 305):

„ხოლო არს მამულსა მისსა (ბაგრატ მეფის) წარჩინებული სამღვდელთ მოძღვრო საყდართა შორის სამეფოსა მისისათა — საყდარი ჰყონდიდისა, სადა იგი მრავალთა წმიდათა მარტვილნი დაუსუენებიან და ოვისი საფლავი მუნ განემზადა, რათა, რაუამს აღესრულოს, მუნ დაემარხოს“.

დ) აღაპი № 164: ოკტომბრის 10-ს აღაპი არს ბააღურისთვის, ყვარყვარეს († 1582) ძისა. იგი გარდაიცვალა 21—22-ის წლისა. მშობელნი და ძენი მისნი დიდად შეწუხდნენ და გამოგზავნეს დიდი საწირავი იერუსალიმს, სინას, ტრაპიზიუნტს, კოსტანტინეპოლს და ათონს; მხოლოდ ჩვენს ლავრას მოსცეს 20,000 ოთმანური ოქრო და ვერცხლი (ათ. ცხ., გვ. 267—269; ქ. ცხ., ტ. 2, გვ. 165—167)

ე) შმ. ეფთვიმემა და წმ. გიორგი მთაწმინდელმა ბევრი სიკეთე დასთესეს. უკანასკნელი საქართველოში მოგზაურობდა 1059—1065 წ. და ყველგან ასწავლიდა ერს, აგროვებდა ყმა-წვილებს ათონს აღსაზრდელად. გიორგი მთაწმინდელს სამგოსნო ნიჭიც არ აკლდა. მის მიერ გამართულ და გადაწერილ სახარებაში სწერია. შემდეგი აკროსტიხონი:

განსაკრთმელთა ღვთასა საქმეთა წიგნი,

ემბაზითა მაღლით აღმოშენებელი ჩვენი,

ოტევრად გაქუს აფლით ნამუშავევნი;

რომელთა გწეურის, სეუმდათ წყალსა ცხოველსა,

გარნა ჩვენდაღდა ითხდით, რომლისაცა

იტევან თავნი სტიქართნთანი სახელსა.

მართლაც, სტიქარონთა მეთაური ასოები შეაღგენენ სახელს: გეორგი. ამავე მოღვაწეს გამოუთქვამს სხვა ლექსიც, რომლის შინაარსი ესრეთია:

რეგა მწუხარისა, რეგა მწუხარისა
რავდენის ადგვიძრავის საგონებელისა
სიყრმისა დღისას საშშობლო მხარეს,
რომელ შივარდა, სად ას სისფი მშობლისა,
და, მას რომ ვშორდებოდი ჟამისა მიმდებსა,
უკანასკნელად მესმა რეგა ძელისა!

და ვეღარც ვიხილავ მე ბოწეანგალე ღლეთა
ჩემისა მაცთურის გაზაფხულისასა.
რავდენი აკლარა ჩანს აწ შორის ცოცხალია
მაშინდელთაგან კისკასთა, ნორჩთა ყრმთა!
რეგა მწუხარისა არდა ესმისო უურთა მათთა
და მტკიც ას დაძინებად მათი საფლავთა...

მხვდება მერა წოლამ მიწას ნესტიანსა,
ჩემზედა ხმასა მწუხარეს, ნაღვლიანსა
ქარი მიმოჭყვენს მიდამის ველიანსა;
სხვა მღერალი კაივლის ამას ადგილსა
და, ეჭა, არა თუ მე. არამედ ის
დაჭმდენს ხმასა მწუხარეს და ნაღვლიანსა, *)

23. არტანუჯის კრების დადგენილებაზე. ეს კრება შესდგა ხრტილის (ქ. ცხ., 225) ბაგრატ შ-ის († 1014 წ.) მეფობაში. დადგენილება ამ კრებისა დაბეჭდით. ეორდანიამ (ქრისიკები, 125—128).

24. ძეგლის-წერა ანუ დადგენილებანი ურბნისის კრებისა 1103 წელს. (ქ. ცხ., 242).

*) ეს ლექსი, კალინოვსკის ცნობით, სიტუაცია იოტუკო + კახლოვს უკარგმია ინგლისურიდამ. რუსულად ასრე იწყება: „Вечерний звонъ, вечерний звонъ, какъ много думъ наводитъ онъ“...

25. ანდერძი დავით აღმაშენებელისა

26. დავით აღმაშენებლის „შესხმა“, თქმული მის მოძღვრის არსენის მიერ.

მს სამი ძეგლი (23, 24, და 25) შეტანილია დიდს სჯულის წიგნში, რომელიც გადაწერილია 1217 წელს და აგრეთვე გელათის კრებულში (თ. ეორდანია. ქრონიკები, 1, 238.).

27. თამარ მეფის „შესხმა“ ანუ შავთელის (ჩახრუხაძის) „აბდულმესიანი“.

28. თამარ მეფის „შესხმა“ შოთა რუსთაველისა.

29. ვეფხის-ტყაოსანი მისივე.

ამ სამს თხზულებაში (27, 28, 29) გალეჭილია თამარ მეფის „ცხოვრება“, უფრო ვრცლად მოთხრობილი მემატიანის მიერ (იხ. ჩვენი წერილები „ივერიაში“, №№-ები 160, 162, 167, 188, 199, 204, 223 და აგრეთვე ჩვენივე ჯერ დაუბეჭდავი წერილი რუსთველისა და შავთელის (ჩახრუხაძის) შესახება.

30. ეტრატზე გჲდაწერილი ქრებული მე XIII ს. (№ 85, 83, 752). შინაარსი: გამოკვლევა ქართულის კვინკლოსისა იოვანე შავთელის მიერ 1233 წელს. საგალობელნი კათალიკოზის არსენი ბულმაისიმისძისა და კარელ ეპისკ. საბასი. საგალობელნი დაირით აღმაშენებლისა. ქრონიკა აბუსერიძე-ტბელისა შესახებ ლავრის აშენებრა ლპიზის ახლოს, საქართველოს და პყრობისა ხორაზმელთაგან, მონასტრის აგერისა ხიხას

მარტო სახელები ამ წერილებისა კმარა, რომ კრებული № 85 ჩავსთვალოთ დიდ-ფასიან ძეგლად მე XIII საუკუნისა. კრებულის შემდგენელნი და ის პირნი, რომელთა ცხოვრება ან ნაწერები შეტანილია მასში, კარგად ცნობილ არიან ქართ. ცხოვრებითაც. იგინი არიან სახელმწიფო მოღვაწენი მე XI, XII და XIII საუკ.

თვით აბუსერიძე, ვგონებთ, არის ის მესხი, რომელმა დაგვიტოვა საქართველოში ჯელალედინის და მონგოლთა შემოსევის ძმბავი (ნახე ზემო, გვ.).

ძრებულის ზოგიერთი წერილები თ. ეორდანის შენიშვნებით და განმარტებით დაბეჭდილია ქრონიკებში (ნახე 2,

103—123), გარნა იოვანე შავთელის კვინკლოსის გამოკვლევა და კრებულის ზოგიერთი წერილები გადმოწერილია ჩვენ მიერ სრულად და დასაბეჭდად დამზადებული.

31. ქეგლის-წერა განანის მონასტრისა ეტრატზე დაწერილი და დამტკიცებული კათოლიკოზის გიორგისა და თამარ-მეფის სპასალარის ივანე მხარგძელის მიერ. († 1227 წ.). ეს შესანიშნავი ძეგლი წარმოგვიდგენს არა მხოლო თამარის, ლაშა-გიორგის და რუსულანის ღროის მოღვაწეთა ისტორიას, არა მედ საქართველოს შინაურ ცხოვრებასაც საზოგადოდ და მონასტრებისა კი განსაკუთრებით. ენა და ხერხი წერისა და შინაარსი ნაწერისა ღირსია ყოველმხრივ შესწავლისა.

ძეგლის-წერა მთლად გადმოწერილია დაუღალავის ო. უორდანიას მიერ და სათანადო შენიშვნებით დაბეჭდილია მისს წიგნში—Историч. документы Шиомгвимского монастыря (Тифлисъ. 1896, გვ. 29—49).

ქ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

უცხოეთის მიმოხილვა

საფრანგეთი.— შორენის სიტყვა.

კაცობრიობის პროგრესი ბრძენთა გიუურ ოცნებათა გატაცებით
გაიზამება; და როდესაც ეს სიგიურ მთელს კაცობრიობას მოედება,
მაშინ ვიტყვით, რომ კაცობრიობამ განვლო თავის ვზა. უან-უორესი.

დიდი ხანია ასეთი ყოველ მხრივ შესანიშნავი სიტყვა სა-
ფრანგეთის პარლამენტში არ წარმოთქმულა, როგორიც 23-ს
იანვარს სოციალისტების ლიდერმა უორესმა წარმოსთქვა. აქამ-
დინ სოციალისტებს ისე უყურებდნენ, როგორც ბაეშვებს, რა-
ღაც გიუურ ოცნებებით გატაცებულებს, რომელთაც ნამდვილ
ჩელიურ ცხოვრებისა არა ესმოდათ-რა და მარტო ხელს უშ-
ლიდნენ ბრძენთ სახელმწიფო საქმეების მართვაში. მაგრამ უო-
რესის სიტყვისა არ იყოს, სოციალისტების გიუური ოცნებანი
ნელ-ნელა ბრძნებსაც თავში უჯდებათ და თუ აქამდინ მათ
ხსენებასაც კი ერიდებოდნენ, ეხლა ამ რამდენსამე დღის წინად
რეიხსტაგში გერმანიის იმპერიის კანცლერმა ბიულოვმა დიდის
ქება-დიდებით მოიხსენია მინისტრად ნამყოფი სოციალისტი
მილიერანი და თავის მოწინააღმდევებს უსურვა—ნეტავ თქვენ-
შიაც ბევრი მილიერინისთანა მენახოსო.

უან-უორესი კარგი წარმოსადევი, ლაბაზის სახის და ჯერ
ისევ ყმაწვილი კაცია. კარგა ხანია, რაც პუბლიცისტიკაში სა-
პატიო ალაგი უჭირავს და განთქმულია თავის მჭევრმეტყვე-
ლობით. საფრანგეთში რომ დიდი ორატორის სახელი დაიმსა-
ხუროს კაცმა, მართლა, რომ დიდის ნიჭით უნდა იყოს და-
ჯილდოვებული. ლაბარაკობს ზეპირად, მაშინაც კი, როდესაც
მომზადებულია; სიტყვას რომ იწყებს, თავდაპარველად ისე
ნელა; ისე გაჭირებით იდგამს ენას, რომ მაყურებელს პეტრია-
ერთი სიტყვის თქმასაც ვურ მოახერხებსო, მაგრამ ერთ წამს:

შემდეგ მსმენელი უკვე შეპყრობილი უჭირავს: ისეთი ბუნებრივი, ისეთი ნათელი, თან ისეთი ლაპარაკი აქვს; აზრი აზრზე ისე წყალსავით შეუწყვეტლად მომდინარობს, რომ ადამიანს არ უნდა ყური მოაშოროს, ვერც გაუბედნია შეაჩეროს, რაღვან ამ დროს თვით გატაცებულია იმავე აზრით, რომელიც ორატორისაგან ესმის, და არ უნდა თავის ფიქრის ძაფი შესწყვიტოს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აგერ მეორეჯერ წარმოსთქვა მან საჯაროთ სიტყვა იმისთანა მწვავე კითხვაზე, როგორიც ფრანგებისთვის ალზას-ლორენის კითხვა არის და ორჯერვე შესძლო გაუჭირვებლად დაესრულებინა თავის სიტყვა ისე, რომ დიდი აყალ-მაყალი არა გამოუწვევია-რა დეპუტატთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო.

მკითხველს გავახსენებ, რომ ეხლანდელ საფრანგეთის სამინისტროს მხარს უჭირენ მარცხენა რესპუბლიკურთა უმრავლესობა და სოციალისტები; მისი მოწინააღმდეგენი არიან მონარქისტები, ნაციონალისტები და ზოგიერთი რესპუბლიკულებიც. ეს უკანასკნელი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ თავიანთ მოწინააღმდეგეთ. ჯერ ისევ ვალდეკ-რუსოს სამინისტროს დროს ხალხს სულ იმას ჩასჩინებდნენ — რუსეთი ჩვენზე გულს იცრუებს, რაღვან სამინისტროში სოციალისტი არისო. ამით რომ ვერას გახდნენ, ეხლა იმას უსაყველურებენ — სამინისტრო სოციალისტების გავლენის ქვეშ არისო; იმ სოციალისტებისა, რომელთაც არ უნდათ გერმანიასთან ომი, რომ ჩვენის გულიდან ძალად მოგლეჯილი მოძმე ხალხი დავიბრუნოთო. იმ ამ თრ კითხვს უნდა შეჰებოდა უორესი და საქვეყნოდ უნდა ეთქვა და გამოერკვია ის, თუ როგორ ესმის მამულის და ქვეყნის სამსახური.

თავდაპირველად პასუხი გასცა დეშანელს და რიბოს; მოკლედ გაარკვია მათგან წარმოთქმული აზრები; ნათლად დაანახვა მათი ერთმანერთის წინააღმდეგობა და ირონიულად სტქვა: „ჩალიან მინდა ვაქო და მოვუწონო რიბოს აზრებიო, მაგრამ მეშინიან დეშანელმა არ იფიქროს, რომ მათ შეა რამე განხეთქილების ჩამოგდება მწადიანო“ იმ დღეს ბევრი ილაპარაკესო

და ბ. რობომაც ბევრი ილაპარაკა ჩვენ ოცნებებზედო, მაგრამ... „კაცობრიობის პროგრესი ბრძენთა გიუურ ოცნებათა გატაცებით გაიზომება; და როდესაც ეს სიგიურ მთელს კაცობრიობას მოედება და წინად გიუური ოცნებები სიბრძნის სახით დაეხატება, მაშინ ვიტყვი, რომ კაცობრიობამ განვლო თავის გზა. ეხლაც ბევრია იმის ნიშნები, რომ ხალხთა ურთიერთ ცხოვრებაში ბევრი იმისთანა იმედები განხორციელდა, ბევრი კიდევ ახლაა განსახორციელებელი, რც უწინ ძალიან შორს გვეწვენ ებოდა და შეუძლებლად მიგვაჩნდა.

დღეს ერთ რამ მოვლენას ვხედავთ, რაზედაც მოელ ჩვენ მოქმედებას ვამყარებთ: დღეიდან შესაძლებელია ევროპაში მშვიდობიანობა დამყარდეს; მშვიდობიანობა მკვიდრი, ხანგრძლივი და დაბოლოვებული. ვიცი, პირზე ხელს მომაფარებენ და მეტყვიან: გაფრთხილდითო, თქვენი იდეალური მშვიდობიანობა ისე ახლოს არ არის; როგორც გგონიათო; მართლაც რომ, რამე სასწაულით, კაცობრიობამ მიაგნოს ამ მყუდროებას, რომელსაც საუკუნოებით ეძებს და ვერ მოუპოვიაო, მაშინაც კი უგუნურობა იქნება მშვიდობიანობის მოტრფიალე ხალხს ეგ გააგონითო; იმიტომ რომ ხალხი მოეშვება, სიმამაცეს დაჰკარგავს და ვინ იცის? ისე რომ მოხდეს და ხალხს დასკირდეს სიმამაცის გამოყენებაო!.. აი რას გვეუბნებიან. და მე კი, სულ წინააღმდეგ, მგონია, რომ ხალხის მუდმივ წაქეზებით—მზად იყავი, განსაცდელი მოგელისო და ეს განსაცდელი კი არ მოდიოდეს, ისე შეაჩვევთ გამოუყენებელ სიმამაცეს, რომ ბოლოს ცარიელ ტრაბახის მეტი არა იქნება რა.

რა საჭიროა ხალხს უთხრათ, ესა და ეს შენი ძალა ამა და ამისთვის შეინახეთ? მიეცით მას მარტო საღი სასიცოცხლო ძალები: ენერგია შრომისა, ფიქრისა, თავისუფლებისა და უფლებისა; თუ რომელიმე გარეშე სახელმწიფო გაპბედავს მის დათრგუნვას, ყველა ეს ძალები თავის თავად სამაგალითო სიმამაცედ გადიქცევიან.... „ხალხს სამი რამ უმცირებს გულადობას და სიმამაცეს: სიცრუ, სიზარმაცე და იდეალის უქონლობა... ჩვენ, ყველა რესპუბლიკელები, კულტილობთ ყველგან

სიმარტლე და ჰეშმარიტება შევიტანოთ; ვადიდოთ შრომა; რაღაც თვით შრომის შეიღნი ვართ; ეს არის ჩვენი იდეალი და მაშასადამე ლაქრობას კი არ ვასწავლით ხალხს, არამედ სიმა-მაცეს და გულადობისთვის ვამზადებთ.“ ორატორს მოჟყავს რამ დენიმე ისტორიული მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ როდესაც ხალხი თავისუფალ და საღს ცხოვრებას მისდევდა, მტერს ყოველთვის მედგრად უხვდებოდა. ამის შემდეგ გადა-ვიდა ეხლანდელი ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობაზე. დიდ შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ამოდენა ხანი დიდ სახელმწიფოთა შორის ომი არ მომხ-დარა. სამთა კავშირი იმიტომ შესდგა, რომ დაეცვა ის, რაც უკვე მოხდა და ტყუილად გონიათ, რომ იგი ჩვენ წინააღმდეგ ყოფილიყოს მომართულით და როდესაც ამ სამთა კავშირს დაუპირდაპირდა ორთა კავშირი და ამნაირად მთელი ევრო-პა ორ დიდ ბანაკად გაიყო, ეხლა უფრო მეტი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველი უთანხმოება მშვიდობიან მორიგებით გათავდებათ. წინად მოსისხლე მტერნი ეჩვევიან ერთმანერთის პატივისცემას და ყოველის ლონის ძიებით სცდილობენ ერთმა-ნერთს დაუახლოვდნენო. ვიცი, ბევრი არა დაშეთანხმებათ; ბევრს კიდევ პგონია და სჯერა, რომ ჩვენ რუსეთთან კავშირს სულ სხვა მიზანი და სხვა მნიშვნელობა აქვს; ამას წინად ბ. დეშა-ნელმა კიდეც საჯაროდ წარმოსთქვა — რუსეთმა საფრანგეთს გული გაუთბოვო. და ეხლა მე ვეკითხები, ნუ თუ მართლა სიკვდილის შიშმა ისე გაუცივა ჩვენ სამშობლოს გული, რომ სხვის მიერ გათბობას საჭიროებდა! სად იყო რუსეთი მაშინ, როდესაც ჩვენ ასეთის ენერგიით შევუდექით ჩვენის ლონის განახლებას, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მარტო, სხვის დაუხმარებლად შევიძინეთ დიდი კოლონიები, შევიძი-ნეთ სიმდირე, ფეხზე დავდექით და გავლონიერდით. მხო-ლოდ მაშინ მოისურვა ჩვენთან კავშირი, როდესაც ნათლად დაინახა რა ლონის პატრონიც ვიყავით. პრინციპიალურად მე არა ვარ წინააღმდევგი რუსეთთან კავშირისა; მაგრამ ყოველის ფერს თავისი შესაფერი ალაგი უნდა მივანიჭოთ. ბევრნი ძა-ლიან აზერადებდნენ ამ კავშირის მნიშვნელობას. იქამდისინ

გააზიადეს, რომ ჩვენ შინაურ საქმეებშიაც კი ურევდენ რუსეთს; ეგონათ, რომ ჩვენი შინაური პოლიტიკა იმნაირად უნდა წა-მართულიყო, როგორადაც პეტერბურგის კაბინეტს მოეწონ ე-ბოდა. ამნაირი განმარტება რუსეთთან კავშირისა ჩვენი დამ-ცირება იყო; ხალხმა პროტესტი განაცხადა და ამ პროტესტით კავშირი კი არ დაირღვა; როგორც ბევრი გვიქადაგებდნენ, პირიქით უფრო გაძლიერდა, უფრო მკვიდრი შეიქნა, რადგან თავის ბუნებრივი საზღვარი მიენიჭა, ზღვედე დაედო, რომლის იქით გადაცილება არ შეეძლო. ამასთანავე ყველას თვის აშეარა შეიქმნა ისიც, რომ რუსეთთან კავშირს სრულიად ის ხასიათი არა ჰქონდა, როგორიც ჩვენ პატრიოტებს ეგონათ. ევროპის სახელმწიფოთა მინისტრები ომიანობაზე კი არ ლა-პარაკობენ, არამედ მშვიდობიანობაზედაო; სცდილობენ ერთ-მანერთს ასიამოვნონ და დაუახლოვდნენო. ეს მოვლენა ძალიან ღირს-შესანიშნავად მიმაჩნიაო და ამაში ვხედავ უტყურ ნიშანს, რომ დღეიდან მშვიდობიანობა უნდა დამყარდესო. ნელ ნელა ვუახლოვდებით იმ დროს, როდესაც მთელი ევროპა იარაღს დაჰყრის, ხალხთა შორის ნდობა, სიყვარული და მშვიდობია-ნობა დამყარდებაო. სოციალისტების პოლიტიკაც იმაში მდგო-მარეობს, რომ ყოველი მოვლენა მშვიდობიანობის მხრით გაი-თვალისწინოსო. და ამნაირ წესით უნდა უყურებდნენ გარეშე პოლიტიკას, როგორც სოციალისტები ისე რესპუბლიკურე-ბიო. მაგრამ საჭირო იყო ორატორის აღზას-ლორენის შესახებ განემარტა — იმ ხალხთ რაღა იმედს აძლევდა, რომელნიც დღეს, ძალად დამონავებული მძლავრ სახელმწიფოებს ხელში უჭი-რავთ და სულს უხუთავენ, იმ ხალხთ, რომელთა შვილებს სკო-ლებში სისტემატიურად გონებას უმახინჯებენ, ენას ართმევენ და ხელში იარაღს აძლევენ თავისიანებზედ აღსამართავად? ამა-ზედაც უგო პასუხი: როდესაც მშვიდობიანობა დამყარდებაო, მაშინ თვითეული აღამიანი თავისუფალი იქნება, როგორც უნ-და ისე შოთქეს, ვისაც უნდა მიეკედლოს და ამნაირად ბუ-ნებრივად სამშობლოც დაუბრუნდებალ.

როგორც მკითხველი ამ ამოკრეფილ აზრებიდან დაინახავდა, სოციალისტებს უმართებულოდ უყურებდნენ ისე, როგორც რაღაც საფრთხობელებს. თუ მართლა ევროპა მოწადინებულია მშვიდობიანობა დაიცვას, სოციალისტებისთანა უკეთესს შემწეს ვერ იპოვნის; მაშასადამე დღეიდან სიამოვნებით უნდა დაუ-

ხედნენ მათს სამინისტროში არჩევას. ჯერ-ჯერობით სოციალისტების წინ-მსვლელობისთვის ესეც კმარა.

ძალიან მოსაწონი დეფისნიერი თეორია არის, ყველა უნდა ვესწრაფებოდეთ, რომ მაღლ მივაღწიოთ ამ საერთო მშვიდობიანობას; მაგრამ ნეტა იმას, ვინც ამ დროს მოესწრება და მანამდინ კი ბევრი თავი გახსება და იქნება ბევრი ერის სახელიც გაქრეს. მართალია, დიდი ხანია ევროპაში ომიანობა არ მომხდარა, მაგრამ განა აწინდელ ევროპის მდგომარეობაზე შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიანობა არისო! უდიდესი რესპუბლიკის თავი რუსეველტი ერთ თავის თხზულებაში ამბობს, რომ ობიანობა მეტად მავნე და ცუდი საქციელიაო, მაგრამ ამაზე უფრო ცუდი საქციელი იმნაირი მშვიდობიანობაა, რომელიც უსეინიდისობას და უსირცხვობას ჩადენინებს ადამიანთაო. შეარცხვინოს იმნაირი მშვიდობიანობა, რომ ხედავდე უსმართლოდ ხალხს ულეტავდნენ და თქვენ კი ხმას არ იღებდეთ — ამას ამბობდნენ ევროპის შეიარაღებულ მშვიდობიანობაზე, როდესაც ოსმალეთი სომხებს ულეტავდა. რამდენია სომხებსავით გაჭირვებული ხალხი, რომელთაც გულზე დაბჯენილ ხიშტით აჩუმებენ! ეს არის ეხლანდელი მშვიდობიანობა, რომლითაც ევროპას თავი მოაქვს?! ვინ გაჭბედავს პირველი, იარაღი დაპყაროს? როგორც ერთმა ისტორიკოსმა სთქვა, პარიზიდან ბერლინამდე და ბერლინიდან კიდევ პეტერბურგამდინ მარტო რამდენიმე ასი ვერსიის მანძილი კი არ არისო, არამედ მთელი-საუკუნოების მანძილიაო. მაშასადამე, ვინც უფრო მაღლ შეიგნებს ამ მშვიდობიანობის სამართლიანობას, იმან პირველად უნდა დაპყაროს იარაღი! ამის თქმას საფრანგეთის ორატორი უორესი ვერა ბედავს; ყველამ ერთ დროს ერთად უნდა დავყაროთ იარაღიო. ერთად რომ არ დაყარონ იარაღი, მაშინ შეიძლება მაღა-გაღვიძებულ მეზობლები ქორებსავით დაესივნენ და გაგლიჯონ ის, ვინც პირველი გაბედავს იარაღის დაყრას; თორემ ჩინელებმა კარგად იციან, რა ძალის პატრონია განათლებული ევროპა და ეხლა კიდევ ვენეცუელასაც გამოც ცდილი აქვს, რა პატივიცა აქვს მძლავრს და შეიარაღებულ ერს.